პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საბეგრო გადასახადს, [illegible]. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დღიური

— გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა ფართოვდება.
— საბჭოთა კავშირმა ინგლისში შეუკვეთა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგის სამანქანო მოწყობილობა.
— საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა ფინანსიური მახინაციების გამოაშკარავება.
— საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. ბრონი ამხელს საბჭოთა კავშირის მტრების ხრიკებს.
— ინგლისი აძლიერებს შეიარაღებას.

შაბათი, 14 მარტი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 60 (3015)

დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ საგაზაფხულო კამპანიის სამზადისის ნაკლოვანებანი

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის მზადება აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გამორკვეულია, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი მუშაობა ვერ გარდაქმნეს გაზაფხულის კამპანიის სამეურნეო - პოლიტიკურ ამოცანასთან შეფარდებით და ვერ ჩაატარეს სათანადო მასიური მუშაობა აღნიშნული კამპანიის ირგვლივ ღარიბ - საშუალო გლეხთა და კოლმეურნეთა დასარაზმავად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგან მიმდინარე კამპანიასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციულ განმტკიცებას და ღარიბ-საშუალო გლეხთა ახალი მასების მიზიდვას კოლმეურნეობებში; საკოლმეურნეო მშენებლობაში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრას, რაც იწვევს საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხებას. არის იმის ნიშნებიც, რომ აქა-იქ კიდევ სურთ განიმეორონ „მემარცხენე" ნახტომები და საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო პრაქტიკა, რასაც გასული წლის გაზაფხულზე ქონდა ადგილი და რასაც არაფერი საერთო არა აქვს პარტიის ლენინურ პოლიტიკასთან.

თესვისათვის მზადების შემოწმებამ გამოაშკარავა, რომ მიმდინარე წლის პირველ მარტამდე თესვის გეგმის კომლამდე დაყვანა შესრულებული იყო 83,4 პროცენტით, და დამზღვევი სათესლე ფონდების შეგროვება მხოლოდ 46 პროცენტით; განსაკუთრებით ჩამორჩენილი მდგომარეობა გვაქვს **ჩაის და ბამბის** თესვისათვის მზადების მხრივ: ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების იანვრის გეგმა შესრულდა 29 პროცენტით, ხოლო თებერვლის გეგმა 67 პროცენტით, ბამბისათვის ანეულად ხვნის გეგმა შესრულებულია 67 პროცენტით.

შეუწყნარებელ დაუდევრობას აქვს ადგილი გაზაფხულის **კონტრაქტაციის** გატარების დარგში. მეორე თვე სრულდება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება კონტრაქტაციის გატარების შესახებ, —ეს ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება მთელ რიგ რაიონებში, სოფლებში და კოლმეურნეობებში დღემდე დამუშავებულიც არ არის. არის ისეთი რაიონებიც, რომელთაც ჯერაც არა აქვთ შედგენილი კონტრაქტაციის საკონტროლო ციფრები ცალკე კულტურების მიხედვით.

გარდა ამისა, საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიის და ხელისუფლების იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც **მესაქონლეობის** განვითარებას და მის სოციალისტურ რეკონსტრუქციას შეეხება.

ეს დეფექტები საფრთხეში აყენებს გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულების საქმეს. საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია და გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ გაზაფხულის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარება. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილებაში, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, მოცემულია ამომწურავი მითითებანი ამ დეფექტების აღკვეთის შესახებ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამ მითითებების საფუძველზე უახლოეს დღეებში მოახდინონ გარდატეხა სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე ფონდების შეგროვებას. გაზაფხულის კამპანიისათვის საჭირო თესლი უნდა დაგროვდეს **ადგილობრივ.** უნდა მოგვარდეს აგრეთვე მუშა - საქონლის მთლიანად გამოყენების და ტრაქტორების მაქსიმალურად დატვირთვის საქმე. სამცვლიანი მუშაობის შემოღებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ტრაქტორები დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდნენ არა ნაკლებ 20 საათისა.

კოლმეურნეობებმა დაკვრითი წესით უნდა გააძლიერონ თესვისათვის მზადება და უნდა დააჩქარონ მოსავლის განაწილების დამთავრება. კოლმეურნცეტრმა და მისმა ქვედა ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები, რათა კოლმეურნეობების წლიური საწარმოო გეგმის შედგენა დამთავრდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველ აპრილისა. საწარმოო გეგმების შედგენაში განსაკუთრებული დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს ახლად დაარსებულ კოლმეურნეობებს.

ჩაის და ბამბის თესვისათვის მზადებას უმთავრესად აფერხებს მუშახელის სიმცირე. შრომის სახალხო კომისარიატმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწესრიგოს ბამბის და ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშა-ხელის მოწოდების საქმე. ამ მხრივ სასწრაფო დახმარება პირველ რიგში უნდა აღმოუჩინოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებს.

უნდა გაიშალოს მასიური ახსნა-განმარტებითი კამპანია კონტრაქტაციის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის გასარკვევად. ღარიბთა, კოლმეურნეთა კრებებზე, სოფლის საბჭოების სხდომებზე და სასოფლო ყრილობებზე უნდა დამუშავდეს ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს დირექტივები გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ. სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს კულაკებს და მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომელნიც სახელს უტეხენ კონტრაქტაციას და ცდილობენ მის ჩაშლას.

ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების თანახმად კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებთან არ იქნება დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულება, კულაკებს და შეძლებულებს ეძლევათ მტკიცე დავალებები თესვის დარგში; საჭიროა მტკიცე კონტროლის და მეთვალყურეობის გაწევა იმაზე, რომ კულაკებმა და შეძლებულებმა მიცემული მტკიცე დავალებები დროზე და მთლიანად შეასრულონ: „ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, საკოლმეურნეო და კომკავშირის ორგანიზაციებს ბოლშევიკურად მოკიდონ ხელი გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის საქმეს, მოახდინონ თავიანთი ძალების მობილიზაცია, განუმარტონ მუშათა და გლეხთა მასებს იმ ზომების მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს გლეხური მეურნეობის ხელახლა შეიარაღებისა და კოლექტივიზაციისათვის, სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მილიონიანი მასების საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ აზვირთებას და ამით უზრუნველყონ გადამწყვეტი მიღწევები კულაკობის ლიკვიდაციის და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში" (საქ. სახკომსაბჭოს და ცეკას დადგენილებიდან).

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმების შესასრულებლად მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს მთელს ჩვენს ძალებს. ჩვენი დაკვრითი მუშაობის ამოცანას უნდა შეადგენდეს: საკოლმეურნეო მშენებლობის გამაგრება - განმტკიცება, საბჭოთა მეურნეობების გაძლიერება-გაფართოება, მინდვრად მუშაობის სწორი ორგანიზაცია, მესაქონლეობის პრობლემის გადასაწყვეტად პარტიის და ხელისუფლების მიერ მოცემულ დირექტივების განხორციელება, ნათესების კონტრაქტაციის გატარება და თესვის გეგმის მთლიანად შესრულება.

ამ ამოცანათა წარმატებით განხორციელება შეიძლება პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ დაცვის საფუძველზე, მემარჯვენე ოპორტუნისტების და კულაკობის წინააღმდეგ სისტემატიური და დამაწყვეტი ბრძოლით. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის და მათთან შემრიგებლობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეუნელებელი ბრძოლა ბოლშევიკური გაზაფხულის გეგმის მთლიანად შესრულების აუცილებელი პირობაა.

აღვკვეთოთ ყველა დეფექტები გაზაფხულის კამპანიისათვის მზადების საქმეში და მით უზრუნველვყოთ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა მთლიანად შესრულება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში.

მარქსი კარლ კაუცკის შესახებ

მოსკოვი, 13 მარტი. ამ უკანასკნელ დროს, კონტრ - რევოლიუციონერ ინტერვენციონისტ - მენშევიკების ყოვლად სამარცხვინო მხილებასთან დაკავშირებით, დაჩანაკებული კარლ კაუტსკი განსაკუთრებით გაცოფებული და გაბოროტებულია საბჭოთა კავშირის — პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. კაუტსკის მიერ მარქსიზმიდან კონტრრევოლიუციონურ სოციალ - ფაშიზმამდე განვლილი ევოლიუციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აშკარავდება კაუტსკის შესახებ მარქსის აზრის სისწორე. ეს აზრი მარქსმა გამოსთქვა იმ წერილში, რომელიც მან თავის ქალიშვილს ჯენის გაუგზავნა 1881 წლის 11 აპრილს. ამ წერილის რუსული თარგმანი არა სრულად (გამოტოვებული ადგილებით, დაახლოებით ფურცელნახევარი) დაიბეჭდა ლეგალურ მარქსისტულ ჟურნალ „ნაჩალო"-ს 1899 წლის მაისის წიგნში. გამოქვეყნებული თარგმანის გამოტოვებულ ადგილებს შორის იყო მარქსის აზრი კაუტსკის შესახებ. მთლიანად წერილი არასოდეს არ გამოქვეყნებულა.

აი როგორ ახასიათებს მარქსი კაუტსკის:

„ენგელსიც ამ სუბიექტის (კაუტსკის) შესახებ გაცილებით უფრო რბილად მსჯელობს მას შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა, რომ კაუტსკის ღვინის სმის დიდი ნიჭი აქვს. როდესაც ეს ლამაზი ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან (ვლაპარაკობ კაუტსკის შესახებ), პირველი კითხვა, რომელიც მაშინვე მომადგა ენაზე, იყო: ჰგევხართ თუ არა დედა თქვენს? — სრულიადაც არა, — მიპასუხა მან. ჩემს გულში მივულოცე დედა მისს. იგი ჩვეულებრივი ნიჭის პატრონია წვრილმანი შეხედულებებით, ზებრძენი (სულ 26 წლისა), დარწმუნებული იმაში, რომ ყველაფერი იცის, რამდენადმე შრომის მოყვარე, ძალიან ბევრს მუშაობს სტატისტიკაზე, მაგრამ ცოტა რამეს იძენს აქედან, იკუთვნის ფილისტერთა ტომს, თუმცა თავისებურად რიგიანი კაცია. მე, რაც შეიძლება ვცდილობ გადავულოცო იგი ჩემს მეგობარს ენგელსს".

ამ წერილის დედანი რიაზანოვს გადასცა ცნობილმა მენშევიკმა ლიდია ცედერბაუმ-დანმა ჯერ კიდევ 1905 წელს. ამ წერილს რიაზანოვი გულდასმით მალავდა.

მარქსის და ენგელსის ინსტიტუტი.

გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 11 მარტის დადგენილება.

ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელმაც მოისმინა საქართველოს მიწსახკომის მოხსენება და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამოხსენება, აღნიშნავს, რომ მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის და მიწსახკომის მიერ თავის დროზე დირექტივების მოცემისა, მთელმა რიგმა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა (მებაღეობა - მებოსტნეობის კავშირი, კოლმეურნეობათა ცენტრი, ცეკავშირი, შრომის სახალხო კომისარიატი და სხვ.), აგრეთვე რაიონულმა ორგანოებმა არასაკმაოდ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა პარტიის იმ გადაწყვეტილებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ეხება გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მომზადებასა და გატარებას. მთელ რიგ რაიონებში პარტიულმა, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ვერ გაშალეს ფართო მასიური მუშაობა და მზადება თესვისათვის ვერ დაუკავშირეს კოლმეურნეობათა განმტკიცების ამოცანებს. ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, მზადება გაზაფხულის თესვისათვის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც ცალკე კულტურების გეგმის შესრულების ჩაშლის საფრთხეს ჰქმნის.

სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმები პირველ მარტისათვის მიყვანილია 186,9 ათას კომლამდე (ყველა მეურნეობათა 83,4 პროცენტი), მოსავლის განაწილება დამთავრდა მხოლოდ კოლმეურნეობათა 85,5 პროც. არ არის დამთავრებული მუშაობა საწარმოო გეგმების შესადგენათ არსებულ კოლმეურნეობებში და დაუშვებლად ნელა მიმდინარეობს ეს მუშაობა ახლა მოწყობილ კოლმეურნეობებში; დაზღვევის ფონდი საქართველოში შეგროვილია 46%-ით, კოლმეურნეობებში კი — 73,4%-ით, სათესლე ფონდი კი კოლმეურნეობებში შეგროვილია 81%-ით, არ არის შესრულებული თესვისათვის ფართობის მომზადების გეგმები (ჩაის ფართობის მომზადების იანვრის გეგმა შესრულებულია 29%-ით, თებერვლის — 67%-ით, საანეულო ხვნის გეგმა ბამბის დარგში შესრულებულია 74%-ით), სასოფლო - სამეურნეო იარაღებს არ მიუღწევია მომხმარებლამდე; არ სრულდება ტრაქტორების დატვირთვის ნორმები, არ არის გაშლილი კამპანია საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დასადებათ მთესველებთან, ხოლო ზოგიერთ კულტურების დარგში ჯერ კიდევ არ იცნობენ რაიონები და სოფლები კონტრაქტაციის პირობებს; მიწსახკომს არ დაუმუშავებია მიმდინარე კამპანიის პერიოდში მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა გეგმა.

მიუხედავად საკოლმეურნეო სექტორის საერთოდ დამაკმაყოფილებელ ზრდისა საქართველოში (1-ლ მარტისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მეურნეობათა 27,2 პროც.), მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის გამოაშკარავების შემთხვევებს (იმედის დამყარება თვითმდინარებაზე, ერთ წერტილზე გაჭინვა, კოლმეურნეობებიდან გასვლა) და შარმანდელ „მომემარცხენო" შეცდომების გამეორებას.

იმ მიზნით, რომ უმოკლეს ხანში მოხდეს გარდატეხა გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის მომზადების და ამ კამპანიის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში, ცენტრალური კომიტეტის ბიურო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მიწსახკომს —დაუყოვნებლივ შეუდგეს ცოცხალი გამწევი ძალის ორგანიზაციას და მომზადებას, აგრეთვე არსებულ იარაღების გამოყენებას ტრაქტორებისათვის. ამასთანავე ერთი დეკადის ვადაში დაამთავროს ყველა დაგროვილ სას.-სამ. იარაღების გადაგზავნა იმ რაიონებში, რომელთაც სჭირდებათ ისინი და პირველ რიგში დააკმაყოფილოს ტექნიკური კულტურების რაიონები, კერძოდ მებამბეობის რაიონები.

მიწსახკომმა მიიღოს აუცილებელი ზომები ტრაქტორების მუშაობის ნორმების სასტიკად დასაცავად (20 საათის მუშაობა დღე-ღამეში სრული დატვირთვით).

2. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მიწსახკომთან ერთად ორი დეკადის ვადაში შეამოწმოს მთესველებისათვის სას.-სამ. ინვენტარის მიწოდების პრაქტიკა და დასახოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწყობებში არსებულ სას.-სამ. იარაღების თავის დროზე გადაგზავნას. ამასთან მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმოს სას.-სამ. იარაღების სარემონტო მუშაობის მდგომარეობა და მიმდინარეობა.

3. ოლქკომებმა და რაიკომებმა მიიღონ საჭირო ზომები ცოცხალი გამწევი ძალის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის საკვების ადგილობრივად დამზადების გაძლიერების და კოლმეურნეობებში პირუტყვის საკვების დაჯავშნული ფონდების შექმნის გზით.

4. წინადადება მიეცეს მიწსახკომს — სასწრაფოდ დაამთავროს მეცხოველეობის განვითარების გეგმის დამუშავება და უზრუნველჰყოს გეგმის მიყვანა რაიონებამდე და სოფლებამდე არა უგვიანეს ა.წ. 1-ლ აპრილისა, კერძოდ მიწსახკომმა დააჩქაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების განვითარების გეგმის რეალიზაცია.

5. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს, ოლქკომებს და რაიკომებს მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში სათესლე და დაზღვევის ფონდების შეგროვების გეგმების შესასრულებლად და ამასთან უზრუნველჰყონ სათესლე ფონდების შეტანა იმ ინდივიდუალურ მეურნეობათა მიერ, რომლებიც კოლმეურნეობებში ერთიანდებიან.

6. კომპარტიის ოლქკომებმა და რაიკომებმა მიიღონ ზომები ადგილობრივი სათესლე რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისათვის და გაშალონ ფართო მუშაობა თესლის დასამზადებლად სათესლე და დაზღვევის ფონდების შეგროვების გეგმების მიყვანით კულაკურ და შეძლებულ გლეხთა მეურნეობამდე მტკიცე დავალებების წესით.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს მემინდვრეობა - მეცხოველეობის კავშირს გააძლიეროს დამზადება საკვები ბალახების თესლის დარგში, საქართველოს მებაღეობა-მებოსტნეობის კავშირმა კი კარტოფილის თესლის დარგში.

8. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა ცენტრს — დაამთავროს საწარმოო გეგმების შედგენა როგორც ძველ, ისე ახლად მოწყობილ კოლმეურნეობებში ა.-წ. 1-ლ აპრილამდე; ამასთან კოლმეურნეობათა ცენტრმა უზრუნველჰყოს ახლად მოწყობილ და იმ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რომლებიც ეწყობა.

9. წინადადება მიეცეს სას.-სამ. კოოპერაციის სისტემას—დაამთავროს დაწესებულ ვადებში სას.-სამ. კულტურების კონტრაქტაცია, ხოლო კომპარტიის ოლქკომებმა და რაიკომებმა უზრუნველჰყონ საკონტრაქტაციო კამპანია შესაფერი ახსნა-განმარტებითი მასიური მუშაობით.

შემოღებულ იქნეს როგორც წესი, რომ კულაკურ და შეძლებულ გლეხების მეურნეობათა კონტრაქტაცია არ ხდება, ისინი თესავს აწარმოებენ მათთვის მიცემულ მტკიცე დავალებების საფუძველზე.

10. დადასტურდეს მიწსახკომის მიერ სხვადასხვა სახის ბოსტნეულის და სათესლე ბალახების გავრცელების სარაიონო გეგმებში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ამ კულტურების თესლის შემოტანის გეგმის შეუსრულებლობით.

11. აღინიშნოს შრომის სახალხო კომისარიატის სუსტი მუშაობა ცალკე ორგანიზაციების მიერ მუშახელის შესახებ წარდგენილ მოთხოვნილების დაკმაყოფილების დარგში, განსაკუთრებით მებამბეობის და ჩაის რაიონებისათვის, და წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს მიიღოს გადამწყვეტი ზომები ცალკე რაიონების საჭიროების მთლიანად დასაკმაყოფილებლად მუშახელის დარგში.

დაევალოს სამდივნოს არა უგვიანეს 16 მარტისა დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ამ დავალების შესასრულებლად.

12. წინადადება მიეცეს ყველა ოლქკომებს და რაიკომებს უზრუნველჰყონ სახ.-სამ. მშენებლობის დასახულ გეგმების აუცილებლად შესრულება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში (საღორეები, საპლანტაციო ტექნიკური ნაგებობანი, საწყობები, ფარდულები და სხვ.) და მაქსიმალურად გამოიყენონ ამ მიზნით ყოველგვარი სამშენებლო რესურსები.

13. მიწსახკომმა გასცეს შესაფერი დირექტივები ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში იმ ბამბის ფართობების დაუყოვნებლივ გადახვნის შესახებ, რომელიც მარცვლეულ კულტურებით დაითესა.

14. წინადადება მიეცეს ცეკავშირს უზრუნველჰყოს სატრაქტორო პარკის შეუფერხებლად მომარაგება საწვავი მასალით და ამ მიზნისათვის გამოიყენოს ადგილობრივი სატრანსპორტო რესურსები და მობილიზაცია უყოს ადგილებზე არსებულ ტარას, რომელიც გამოდგება საწვავი მასალის გადასაზიდად.

ოლქკომებმა და რაიკომებმა უზრუნველჰყონ ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებებსა და სადგურებთან არსებულ პუნქტებისათვის სატრანსპორტო საშუალებების თავის დროზე მიწოდება საწვავ მასალის მისაზიდად და საჭირო ტარის მობილიზაცია.

15. წინადადება მიეცეს ცეკავშირს ფაქტიური თესვის დაწყებამდე უზრუნველჰყოს რაიონები მოძრავი სამზარეულოების საჭირო რაოდენობით და მოაგვაროს საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია იმ ადგილებში, სადაც მინდვრის მუშაობა სწარმოებს; ეს ღონისძიებები პირველ რიგში გაატაროს ბამბის და ჩაის რაიონებში.

16. წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციებს — გააძლიერონ გაზაფხულის სახ.-სამ. კამპანიის მიმდინარეობის გაშუქება და გაამახვილონ [illegible] გაზაფხულის სახ.-სამ. კამპანიის კონკრეტულ ამოცანებზე და ცალკე მომენტებზე.

17. დადასტურდეს სამდივნოს გადაწყვეტილება 45 პასუხისმგებელი მუშაკის მობილიზაციის შესახებ და მათი მიმაგრება რაიონებზე არანაკლებ ერთი თვის ვადით.

გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია 15 აპრილისათვის უნდა შესრულდეს

დავრაზმოთ მთელი ძალები საკონტრაქტაციო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის

დადგენილება № 13

საქართველოს ს.ს.რ.-ის მომარაგების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების
1931 წლის 5 მარტი.

მარცვლეულ და ცერცოვან კულტურების გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ საქართველოს ს.ს.რ.-ში 1931 წელს

1. ჩატარებულ იქნეს მარცვლეულ და ცერცოვან კულტურების გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია საქართველოს ს.ს.რ.-ში შემდეგი რაოდენობით და რაიონებისა და სექტორების მიხედვით ასეთი განაწილებით:

ხორბლის

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდ.-ვიდ. სექტორში	სულ
ახალქალაქის	1000 ჰექტ.	5.700 ჰექტ.	6.700 ჰექტ.
ბოგდანოვკის	100 „	900 „	1.000 „
ადიგენის	100 „	1.250 „	1.350 „
ტოლოშის	50 „	1.000 „	1.050 „
სტალინისის	150 „	300 „	450 „
გორის	150 „	300 „	450 „
აღბულაღ-მანგლისის	—	500 „	500 „
წალკის	400 „	4.300 „	4.700 „
დუშეთის	150 „	850 „	1.000 „
ერწო-თიანეთის	250 „	550 „	800 „
ახალციხის	50 „	650 „	700 „
სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი	600 „	700 „	1.300 „
სულ ხორბალი	3.000 ჰექტ.	17.000 ჰექტ.	20.000 ჰექტ.

ქერის

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდივიდ. სექტორში	სულ
ახალქალაქის	700 ჰექტ.	4.500 ჰექტ.	5.200 ჰექტ.
ბოგდანოვკის	250 „	2.500 „	2.750 „
ადიგენის	50 „	800 „	850 „
ტოლოშის	100 „	1.500 „	1.600 „
სტალინისის	600 „	1.200 „	1.800 „
გორის	600 „	900 „	1.500 „
აღბულაღ მანგლისის	100 „	400 „	500 „
დუშეთის	200 „	400 „	600 „
ერწო-თიანეთის	450 „	600 „	1.050 „
ახალციხის	150 „	2.200 „	2.350 „
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	800 „	1.000 „	1.800 „
სულ ქერი	4.000 ჰექტ.	16.000 ჰექტ.	20.000 ჰექტ.

ბრინჯის

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდივიდ. სექტორში	სულ
ლანჩხუთის	140	10	150
ოზურგეთის	120	20	140
აჭარისტანის	50	250	300
სულ ბრინჯი	310	280	590

სიმინდის

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდივიდუალ. სექტორში	სულ
სტალინისის	700 ჰექტ.	2.000 ჰექტ.	2.700 ჰექტ.
გორის	500 „	700 „	1.200 „
თელავის	400 „	2.400 „	2.800 „
ლაგოდეხის	800 „	1.200 „	2.000 „
გარე-კახეთის	200 „	1.200 „	1.400 „
ქუთაისის	2.000 „	5.000 „	7.000 „
სამტრედიის	5.000 „	3.000 „	8.000 „
ხონის	500 „	3.000 „	3.500 „
ვანის	3.000 „	3.000 „	6.000 „
აბაშის	4.000 „	4.300 „	8.300 „
სენაკის	5.000 „	4.300 „	9.300 „
მარტვილის	3.000 „	3.500 „	6.500 „
ზუგდიდის	2.000 „	10.000 „	12.000 „
ხობის	1.500 „	3.500 „	5.000 „
წალენჯიხის	900 „	2.000 „	2.900 „
ჩხოროწყუს	1.200 „	2.000 „	3.200 „
ოზურგეთის	6.500 „	2.000 „	8.500 „
ლანჩხუთის	6.500 „	1.000 „	7.500 „
აფხაზეთის სსრ	5.500 „	15.000 „	20.500 „
აჭარისტანის ავტ. სსრ	800 „	900 „	1.700 „
სულ სიმინდი	50.000 ჰექტ.	70.000 ჰექტ.	120.000 ჰექტ.

ლობიოსი

(მთლიანი ნათესების ანგარიშიდან)

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდივიდუალ. სექტორში	სულ
ახალციხის	10 ჰექტ.	55 ჰექტ.	65 ჰექტ.
ადიგენის	10 „	90 „	100 „
სტალინისის	100 „	200 „	300 „
გორის	100 „	200 „	300 „
კასპის	75 „	225 „	300 „
გურჯაანის	30 „	200 „	230 „
თელავის	80 „	320 „	400 „
თბილისის	110 „	210 „	320 „
ქუთაისის	150 „	350 „	500 „
ზესტაფონის	75 „	100 „	175 „
ჭიათურის	300 „	700 „	1000 „
ხარაგოულის	50 „	60 „	110 „
ამბროლაური	50 „	—	50 „
აბაშის	200 „	300 „	500 „
სენაკის	200 „	300 „	500 „
მარტვილის	100 „	200 „	300 „
ზუგდიდის	75 „	225 „	300 „
აფხაზეთის	190 „	200 „	390 „
აჭარისტანის	200 „	800 „	1000 „
გარე-კახეთის	10 „	40 „	50 „
ყვარელის	15 „	65 „	80 „
სულ ლობიო	2.130 ჰექტ.	4.840 ჰექტ.	6.970 ჰექტ.

შენიშვნა: ლობიოს ნათესის ჰექტარის დამოკიდებულება მწკრივებს შორის ნათესი ჰექტარისადმი დაწესებულია როგორც 1-სა 3-თან.

2. აღნიშნულ კულტურების კონტრაქტაციის ჩატარება დაევალოს მემინდვრეობის კავშირს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელის მეშვეობით.

3. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჩაატაროს კონტრაქტაცია კოლმეურნეობებში, სასოფლო-საწარმოო ამხანაგობებში, უმარტივეს საწარმოო გაერთიანებებში და მთესველთა ჯგუფებში.

კულაკურ-შეძლებული მეურნეობების კონტრაქტაცია არ სწარმოებს, ხოლო მათი მიერ დათესვა და პროდუქციის ჩაბარება ხდება იმ მტკიცე დავალებათა საფუძველზე, რომლებსაც მათ აძლევენ სოფლის საბჭოები დამკონტრაქტებელ ორგანიზაციებთან ერთად.

4. მემინდვრეობის კავშირმა 5 დღის ვადაში დაუგზავნოს ადგილებს გეგმები და ტიპიური ხელშეკრულებანი. დაევალოს რაიონულ ორგანიზაციებს ერთი კვირის ვადაში მიიყვანონ გეგმა სოფლამდე და კოლმეურნეობამდე, უზრუნველჰყონ გეგმის განხილვა სასოფლო ყრილობებზე და კოლმეურნეთა კრებებზე, მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მონაწილეობით.

5. სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიწოდება უნდა ჩატარდეს სოფლის მომარაგების არსებულ წესის მიხედვით, ხოლო სამრეწველო და სასურსათო საქონელი პირველ რიგში უნდა მიიღონ მთესველებმა, რომელნიც წესიერად ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს.

6. საწარმოო კრედიტები და მანქანები პირველ რიგში უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს (რომელთაც დააკონტრაქტეს თავიანთი ნათესები), რაიკოლმეურნკავშირის მიერ დამტკიცებული მათი საწარმოო გეგმების მიხედვით და კოლმეურნეობათა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ საწარმოო კრედიტები და მანქანები მიეცეს აგრეთვე უმარტივეს საწარმოო გაერთიანებებს და სხვ.

7. ცალკე ხელმოკლე კოლმეურნეობანი და ღარიბ გლეხთა მეურნეობანი სათესლე მასალით უზრუნველყოფილ უნდა იქნას დასაზღვევ ფონდების გამოყენებით.

„სოიუზხლებ"-მა გაიღოს სათესლე მასალა—500 ცენტნერი ბრინჯი—დაკონტრაქტებულ ფართობისათვის კოლმეურნეობებში.

სათესლე ბრინჯი გაცემულ უნდა იქნას ნაღდ ფულზე გაცემული ფულადი ავანსების ანგარიშში.

8. ხორბლის, ქერის და სიმინდის კონტრაქტაცია ჩატარებულ უნდა იქნას ავანსების გაცემის გარეშე.

9. დაკონტრაქტებულ მეურნეობათათვის საწარმოო კრედიტების გარდა ფულადი ავანსების მიცემა დაწესებულ იქნას მხოლოდ ბრინჯზე და ლობიოზე შემდეგი რაოდენობით 1 ჰექტარ დაკონტრაქტებულ ფართობზე:

ბრინჯზე—40 მან. კოლმეურნეობებს და 25 მან. ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებს; ლობიოზე—[illegible] მანეთი კოლმეურნეობებს და 6 მ. 50 კაპ. ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებს; ამასთანავე ფულადი ავანსების გაცემა ხდება კოლმეურნეობის ან ინდივიდუალური მეურნეობის დაკონტრაქტებული ფართობის მხოლოდ 75 პროცენტზე.

ავანსის გაცემა უნდა მოხდეს: 50 პროცენტის ხელშეკრულების დადების დროს და 50 პროცენტის ივნისში, ფაქტიურად დათესილ დაკონტრაქტებულ ფართობების შემოწმების შემდეგ.

დაწესდეს დაკონტრაქტებულ მეურნეობათა მტკიცე მომარაგება—ერთი ტონა ბრინჯის ჩაბარებისათვის კოლმეურნეობებს მიეცეთ 2 ცენტნერი, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებს 1,5 ცენტნერი პური.

10. დაწესდეს კონტრაქტაციის ხაზით პროდუქციის ჩაბარების შემდეგი ნორმები

ა) მარცვლეულზე (ხორბალი, ქერი, სიმინდი) ძირითად მარცვლეულ რაიონების კოლმეურნეობებში—დაკონტრაქტებულ ფართობის მარცვლის საერთო მოსავლის ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე წლევანდელი საშუალო მოსავლის ანგარიშით. ხოლო არამარცვლეულ რაიონებში საერთო მოსავლის არა უმეტეს ერთი-მერვედისა.

ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებმა დაკონტრაქტებულ ფართობის პროდუქციიდან სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ ძირითად მარცვლეულ რაიონებში საერთო მოსავლის ერთი მეოთხედიდან—ერთ-მესამედამდე, ხოლო არამარცვლეულ რაიონებში—საერთო მოსავლის არა უმეტეს ერთი მერვედისა საშუალო მოსავლის ანგარიშით და სოციალურ ჯგუფების დიფერენციაციით იმგვარად, რომ ღარიბ გლეხთა მეურნეობებმა ჩააბარონ საშუალო გლეხთა მეურნეობებზე 20 პროცენტით ნაკლები.

ბ) ბრინჯზე—საერთო შემოსავლის 60 პროცენტი, როგორც კოლმეურნეობებისათვის, ისე ინდივიდუალურ სექტორისათვის.

გ) ლობიოზე—საერთო მოსავლის 50 პროცენტი კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის.

მარცვლის რაოდენობა, რომელიც ინდივიდუალურ მეურნე კონტრაქტანტებმა უნდა ჩააბარონ თვითეულ ჰექტარზე სახელმწიფოს, არ უნდა იყოს სათანადო კულტურის მარცვლის იმ რაოდენობაზე ნაკლები, რომელსაც თითო ჰექტარზე აბარებს მახლობელი კოლმეურნეობა.

11. პროდუქციის სავალდებულო მტკიცე რაოდენობას, რომელიც კოლმეურნეობებმა უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს მე-10 მუხლში გათვალისწინებულ ნორმების მიხედვით, აწესებს მოსავლის გამორკვევის შემდეგ რაიონული კომისია დაინტერესებულ კოლმეურნეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

პროდუქციის სავალდებულო მტკიცე რაოდენობას, რომელიც სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ ინდივიდუალურ მეურნე კონტრაქტორისტებმა, აწესებს სოფლების მიხედვით პურის დამზ. გეგმის მიღების დროს რაიონული კომისია მთესველთა და საად.-მამულო ორგანოს წარმომადგენლების მონაწილეობით და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების ჩაბმით ამ საქმეში.

12. კონტრაქტანტები მოვალენი არიან პროდუქციის ჩაბარებას დაუყოვნებლივ შეუდგენ მოსავლის აკრეფის შემდეგ; მათ არ უნდა უცადონ ჩასაბარებელი მარცვლის რაოდენობის დაზუსტებას. ამ შემთხვევაში ჩაბარებული მარცვალი ჩარიცხული იქნება საკონტრაქტაციო ხელშეკრულების შესრულების ანგარიშში.

13. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების ხაზით პროდუქციის ჩაბარების საზღვრითი ვადით დაწესდეს 3 თვე მოსავლის აკრეფის დაწყების დღიდან.

14. დაწესდეს კონტრაქტაციის მსვლელობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ტელეგრაფით თვითეულ დეკადაში.

15. წინადადება მიეცეს დამკონტრაქტებელ ორგანიზაციებს შეუდგენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებას, ჩაატარონ მთელი კამპანია დაკვრითი ტემპებით, მოახდინონ თავიანთი აპარატის მუშაკთა მობილიზაცია, დარაზმონ ღარიბ და საშუალო გლეხთა და კოლმეურნეთა ფართო მასები, გამოიყენონ პრესა, ფართოდ განავითარონ მუშაობის სოციალისტური მეთოდები.

16. კამპანიის დამთავრების ვადათ დაწესდეს 1931 წლის 15 აპრილი.

საქ. ს. ს. რ. მომარაგების სახალხო კომისარი **ურუშაძე.**

საქ. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **მათიკაშვილი.**

გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა ფართოვდება

გერმანელი მრეწველები განცვიფრებული არიან ყოველივე ნანახით

ბერლინი, 13 მარტი. გერმანიის საზოგადოებრიობის ყურადღებას ისევ მთლიანად იქცევს გერმანიის მრეწველების გამგზავრება და მომავალი საბჭოთა დიდი შეკვეთებით გამოწვეული შთაბეჭდილება.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ" აღნიშნავს, რომ მრეწველებზე ფრიად ხელსაყრელი შთაბეჭდილება დასტოვა საბჭოთა კავშირში ნახულმა. მათ ისეთი დასკვნა გამოიტანეს, რომ საბჭოთა კავშირის ნებისყოფა ეკონომიურ მშენებლობისადმი უაღრესად მტკიცეა და რომ ეს მშენებლობა წარმატებით ვითარდება (ადს).

გერმანიის მთავრობა მზადაა საბჭოთა შეკვეთები უზრუნველყოს კრედიტებით

ბერლინი, 13 მარტი. იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც გაიმართა რეიხკანცლერსა და საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანელ მრეწველებს შორის, დილის გაზეთები იუწყებიან, რომ როგორც სრულიად გერმანიის მთავრობა, ისე გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა მთავრობები თანახმანი არიან ფართო მასშტაბით უზრუნველყონ ახალი დაკვეთები 300 მილიონი მარკის რაოდენობით. გაზეთების სიტყვით, რეხსბანკის თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა საბჭოთა თამასუქების ქვეშ გასცეს 20 პროცენტიანი ავანსი. ცალკე ქალაქებიც სურვილს გამოსთქვამენ უზრუნველყონ შეკვეთები. მთავრობა სპეციალურ თათბირზე, 16 მარტს, განიხილავს საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის საკითხს.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზის აზრი

ბერლინი, 13 მარტი. წერილში, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირში გერმანელ მრეწველების გამგზავრებისადმი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენც" სწერს: „ამ გამგზავრების მიზანს წარმოადგენდა პირადი კავშირის დამყარება საბჭოთა მეურნეობასა და გერმანიის მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის. მრეწველობის წარმოდგენილი დარგების ხასიათი, — ნათქვამია წერილში,—მოწმობს, რომ საკითხი ეხება საბჭოთა მრეწველობის მომარაგებას მოწყობილობით ხუთწლედის ფარგლებში. გერმანიის მრეწველობის მონაწილეობა ხუთწლიანი გეგმის საიმპორტო პროგრამაში შეიძლება გატარდეს და გაფართოვდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამის ყოველგვარი შეფასების გარეშე, თუ ამისათვის გვექნება მკვიდრი ფინანსიური და ეკონომიური წინაპირობები. ამიტომ გერმანიის მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით პრინციპში მხოლოდ უნდა მივესალმოთ ორივე ხალხს შორის კარგ ურთიერთობას და გერმანელ მრეწველების გამგზავრების შედეგებს (ადს).

სოციალ-ფაშისტები უკმაყოფილონი არიან

ბერლინი, 13 მარტი. სოციალ-ფაშისტების პრესა აშკარად გამოსთქვამს დიდ უკმაყოფილებას საბჭოთა კავშირში გერმანელ მრეწველთა გამგზავრების შედეგად გერმანია-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცების გამო.

სოციალ-ფაშისტური „ფორვერტს" ყოველნაირად ცდილობს შეასუსტოს ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც გერმანელ მუშებზე, განსაკუთრებით უმუშევრებზე, საბჭოთა ახალ შეკვეთებმა მოახდინეს,—შეკვეთებმა, რომელნიც მოწმობენ სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ზრდას, მაშინ, როცა კაპიტალიზმი უსასტიკეს კრიზისს განიცდის (ადს).

ამხ. ბრონის სიტყვა

რუსეთ - ბრიტანეთის სავაჭრო პალატის კრებაზე

ლონდონი, 13 მარტი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში ამხ. **ბრონი** გამოვიდა სიტყვით ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც მოაწყო რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატამ. ბრონმა აღნიშნა, რომ ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის განვითარების ხელსაყრელ პერსპექტივებს ჩრდილავენ მთელი რიგი ბოროტი კამპანიები საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ. ამხ. ბრონმა სენსაცია მოახდინა, როდესაც მოიყვანა ნაწყვეტები საიდუმლო დოკუმენტიდან, რომელშიაც საერთაშორისო სავაჭრო პალატა პალატის ნაციონალურ კომიტეტებს შემდეგ სამ კითხვას უყენებს: 1. გსურთ თუ არა თქვენ მოგვაწოდოთ ვრცელი ინფორმაცია რუსეთიდან თქვენი იმპორტის შესახებ; 2. თანახმა იქნება თუ არა თქვენი ქვეყანა იმ კრედიტების შეთანხმებულ საერთაშორისო შეზღუდვაზე, რომლებიც რუსეთს ეძლევა და 3. თანახმა ხართ თუ არა თქვენ სხვა ქვეყნებთან ერთად განიხილოთ რუსეთიდან იმპორტის გაერთიანებული საერთაშორისო აღკვეთის საკითხი.

დასასრულ ამხ. ბრონმა განაცხადა, რომ საბჭოთა სავაჭრო დელეგაციას არ სურს განსაზღვროს მოლაპარაკება მხოლოდ 1931 წლის გეგმით, მას სურს განიხილოს აგრეთვე ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან 1932 წლის გეგმასთან. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქმიანი წრეები არ დაემორჩილებიან საბჭოთა იმპორტის წინააღმდეგ უპასუხისმგებლო კამპანიების გავლენას (ადს).

დადგენილება

საბჭ. კავშირის მუშმლეხინის სახკომის კოლეგიისა და ს.მ.უ.ს პრეზიდიუმისა

მოსკოვი, 13 მარტი. ვინაიდან „კუზნეცკსტროის" ფარგლებში და „მაგნიტოსტროიზე" მუშაობა უაღრესად დაძაბულია და შეუძლებელია მშენებლობის აპარატის გაცდენა იმ სხვადასხვა კომისიების და ბრიგადებისათვის სამსახურის გასაწევად, რომელნიც მშენებლობაზე მოდიან—კომისიების და ბრიგადების შესვლა „კუზნეცკსტროი"-ში მრეწველობის ხაზით წარმოებდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით, დანარჩენი უწყებების და ორგანიზაციების ხაზით კი—საბჭოთა კავშირის მუშმლეხინის სახკომის კოლეგიის ნებართვით.

საბჭოთა კავშირის მუშმლეხინის სახალხო კომისარი **ანდრეევი.**

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე **ორჯონიკიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო საბჭოთა VI ყრილობა

საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მოლოტოვის (სკრიაბინის) მოხსენება*)

ხუთწლედის შესრულების შედეგები ორი წლის განმავლობაში

ამხანაგებო, ლაპარაკი ჩვენი საშინაო პოლიტიკის საკითხების შესახებ ნიშნავს ლაპარაკს, უწინარეს ყოვლისა, ხუთწლიანი გეგმის და მისთვის ბრძოლის შესახებ. სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც საბჭოების წინანდელმა ყრილობამ მიიღო, მთელ ჩვენ მუშაობად გადაიქცა. ხუთწლიან გეგმაში თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს პარტიის პოლიტიკური ხაზი. ხუთწლიან გეგმაში ასახულია ჩვენი მუშაობის ყველა დარგები. ხუთწლიანი გეგმა გადაიქცა მუშათა კლასის დროშად.

დავიწყებ შედეგებიდან. სანამ ციფრებზე გადავიდოდე, შევჩერდები გასული წლის პოლიტიკურ შედეგებზე. პირველი ძირითადი შედეგი გამოიხატება იმაში, რომ გასული ორი წლის განმავლობაში სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა სრულდებოდა არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებით ყველა ძირითად მაჩვენებლების მიხედვით. ხუთწლიან გეგმას ბევრი მტერი ჰყავდა. მტრები იმედს ამყარებდნენ ხუთწლიანი გეგმის აუცილებლად დამარცხებაზე. ამ დამარცხებას უკავშირებდენ ისინი საბჭოთა ხელისუფლების ბედს, ბოლშევიკებმა გაუცრუეს მათ ეს იმედი. საბჭოთა ხელისუფლება არამც თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებით ასრულებს სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიან პროგრამას. ასეთია უმნიშვნელოვანესი შედეგი.

გასული პერიოდის მეორე შედეგი. ეს შედეგი უშუალოდ დაკავშირებულია მუშათა კლასის მდგომარეობასთან, სახელდობრ: გასული ორი წლის მანძილზე ჩვენ ძირითადათ მოვსპეთ უმუშევრობა. ამ შედეგების პოლიტიკური მნიშვნელობა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მსოფლიო კრიზისის და კაპიტალიზმის ქვეყნებში არსებულ უმაგალითო უმუშევრობის პირობებში.

მესამე შედეგი გამოიხატება მარცვლეულის პრობლემის გადაჭრაში. პურის პრობლემის გადაჭრა ძირითადათ მარტო სამეურნეო საკითხი როდია. ეს, როგორც ვიცით, ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია. ჩვენი წარმატება ამ საქმეში დაკავშირებულია ჩვენი პარტიის მთელი მუშაობის წარმატებასთან ხუთწლედის პირველ პერიოდში. ჩვენ მოვახერხეთ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა იმ გარდატეხასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა საბჭოთა სოფლის განვითარებაში.

მეოთხე შედეგი: ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგს ორი წლის პერიოდის ყველა შედეგებს შორის წარმოადგენს გლეხური მასების საბოლოოდ მობრუნება კოლექტივიზაციის გზაზე. მთელ რიგ წლების განმავლობაში სოციალიზმის მშენებლობის წარმატება უმთავრესად მიდიოდა მრეწველობის, საქონლის ბრუნვის და სხვა ხაზით. სოფლის მეურნეობა კი რჩებოდა თითქმის მთლიანად წვრილი დაქუცმაცებული ინდივიდუალურ მეურნეობის საფუძველზე. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მე12 წელიწადში საბოლოოდ გამოირკვა საშუალო გლეხის მობრუნება სოციალიზმისაკენ. გასულმა ორმა წელმა განამტკიცა ეს ისტორიული მობრუნება.

ბოლოს, უკანასკნელი შედეგი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ზემო აღნიშნულ გარდატეხასთან სოფლად. მას შემდეგ, რაც ღარიბი და საშუალო გლეხის მასები ნამდვილად დაადგნენ კოლმეურნეობების გზას, ამ მოძრაობამ მიიღო მთელი რაიონების და შემდეგ მთელი მხარეების მთლიანი კოლექტივიზაციის ხასიათი. ამან სულ სხვანაირად დასვა საკითხი სოფლად კაპიტალისტური ელემენტებისადმი (კულაკობისადმი) დამოკიდებულების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ასეთია გასული პერიოდის მეხუთე პოლიტიკური შედეგი. ეხლა მე გადავალ კონკრეტულ ცნობებზე ორი წლის განმავლობაში მეურნეობის ზრდის შესახებ. აი მთავარი ციფრები: (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობები): ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 1928-29 და 1929-30 წლებში ახასიათებენ შემდეგი ცნობები: ხუთწლიანი გეგმის ორი წლისათვის გათვალისწინებული იყო სახალხო შემოსავალი 58,8 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო ბიუჯეტი—17 მილიარდი მანეთი, კაპიტალური დაბანდებანი—12,7 მილიარდი მანეთი, დაგეგმილი მრეწველობის საერთო პროდუქცია (გემოკვების მრეწველობის პროდუქციის ჩათვლით) 1926—27 წლის ფასებში—29,3 მილიარდი მანეთი, ნათესის ფართობი—139 მილიონი ჰექტარი, მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია—221,8 მილიონი ცენტნერი, ტვირთბრუნვა — 359,9 მილ. ტონა. ხუთწლედის ორი წლის განმავლობაში შესრულდა: სახალხო შემოსავალი—59,5 მილიარდი მან.—102 პროცენტი, სახელმწიფო ბიუჯეტი—21 მილიარდი მანეთი—124 პროცენტი, კაპიტალური დაბანდებანი—13,8 მილიარდი—109 პროცენტი, დაგეგმილი მრეწველობის საერთო პროდუქცია—30,5 მილიარდი—104 პროცენტი, ნათესის ფართობი—245,8 მილიონი ჰექტარი—108 პროცენტი, მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია—267,3 მილიონი ცენტნ.—121 პროცენტი, ტვირთბრუნვა—409,2 მილიონი ტონა—117 პროცენტი.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ისეთი ძირითადი ამოცანების მიმართ, როგორიცაა სახალხო შემოსავალი, სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური დაბანდებანი განსაზოგადოებულ სექტორში, მარცვლეულის საერთო პროდუქცია და რკინის გზების ტვირთბრუნვა ხუთწლედის დავალებანი პირველი ორი წლის განმავლობაში შევასრულეთ არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებით. მართალია, მარცვლეულის კულტურების საერთო პროდუქციის დარგში ჩვენ მხოლოდ 94 პროცენტით შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, მაგრამ მარცვლეული სასაქონლო პროდუქციის დარგში ჩვენ საგრძნობლად გადავაჭარბეთ გეგმას.

ხუთწლიანი გეგმის ვარაუდის გადაჭარბებით შესრულებაში მრეწველობის ხაზით ყველაზე მეტი მიღწევები გვაქვს მძიმე მრეწველობაში—110 პროცენტი და მსუბუქ მრეწველობაში—99 პროცენტი. თუ მრეწველობის ზოგიერთი დარგების მხრით, როგორიცაა, მაგალითად, თუჯი (99 პროცენტი), ქვანახშირი (96 პროცენტი) და განსაკუთრებით ბამბის ქსოვილები (84 პროცენტი) მთლიანად არ შესრულებულა ხუთწლიანი გეგმა, სამაგიეროდ ინდუსტრიის მეტწილ დარგებში, განსაკუთრებით, საწარმოო საშუალებების წარმოების დარგში საგრძნობლად გადავაჭარბეთ იმ გეგმას, რომელიც საბჭოების წინანდელმა ყრილობამ დაამტკიცა. ს.მ.უ.ს. მრეწველობის ზრდამ ორი წლის განმავლობაში უზრუნველჰყო იმ საერთო პროდუქციის გადიდება 9,5 მილიარდიდან—15,6 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 64 პროცენტით, რაც გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით. ამასთან მძიმე მრეწველობაში საერთო პროდუქცია ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა თითქმის ორჯერ—(193 პროცენტით), განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ჩვენი მანქანათ-მშენებლობის პროდუქცია ორჯერ უფრო მეტად, სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მშენებლობის პროდუქცია კი გაიზარდა 2 ნახევარჯერ. ელექტროენერგიის გამომუშავების დარგში ჩვენ უკვე მთლიანად შევასრულეთ ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის გეგმა. რამდენადმე ჩამორჩა ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის გეგმის ტემპებს რაიონულ ელსადგურების სიმძლავრის გადიდება. წელს სწორედ ამ დარგში ჩვენ უდიდეს ნაბიჯებს ვდგამთ წინ და თითქმის ორჯერ ვადიდებთ რაიონულ ელსადგურების სიმძლავრეს. ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესრულება კი ელექტროენერგიის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირს პირველ ადგილზე დააყენებს ევროპასა და მთელს მსოფლიოში.

ორიოდე სიტყვა ხუთწლიანი გეგმის დავალებების შესრულების შესახებ თვითღირებულების დარგში. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ს.მ.უ.ს. მიერ დაგეგმილ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 14,5 პროცენტით, ფაქტიურად შემცირებულია მხოლოდ 11,4 პროცენტით (საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს. ცნობები). ამგვარად არ არის შესრულებული მთლიანად თვითღირებულების შემცირების გეგმა. მაგრამ ამ შეუსრულებელი ნაწილის ფარგლები მოწმობს იმას, რომ 5 წლიანი გეგმის დავალების შესრულება თვითღირებულების დარგში უსათუოდ შესაძლებელი იყო და ეს ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იქნეს მომავალში. თუ როგორ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში შეფარდება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ამას, უწინარეს ყოვლისა, მოწმობენ ცნობები საერთო პროდუქციის შესახებ. ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ მთელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციასთან შედარებით ორი წლის განმავლობაში 57 პროცენტიდან გაიზარდა [illegible]7 პროცენტამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის პროდუქცია გასულ წელში სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის უკვე ორ მესამედს შეადგენდა. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიდის წინ ინდუსტრიალიზაციის გზით. იგი გვიჩვენებს აგრეთვე სოციალისტ. ელემენტების ხვედრითი წონის სწრაფ გადიდებას ჩვენს ქვეყანაში. ზედმეტია რაიმე ცნობების მოყვანა უმუშევრობის ლიკვიდაციის შესახებ. ეს ისედაც ცხადია.

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა თავის გამოხატულებას პოულობს შემდეგ ცნობებში: შარშან პურის დამზადებამ მიაღწია უკვე 1 მილიარდ ფუთს, რაზედაც წინად ფიქრიც კი არ შეგვეძლო. წელს თუმცა პურის დამზადების კამპანია კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ პირველი მარტისათვის დამზადებული იყო 1313 მილიონ ფუთი პური. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ციფრს, ეს იქიდან სჩანს, რომ 1913 წელს მთელი სასაქონლო პური (სოფლის პურის გამოკლებით) 1.300 მილ. ფუთს შეადგენდა, ე. ი. რამდენადმე უფრო ცოტას, ვიდრე ჩვენ მიერ 1930 წელს დამზადებულ პურის რაოდენობა. ამასთან 1913 წელს 1300 მილიონ სასაქონლო ფუთ პურში შედიოდა მემამულეების პური—281 მილიონი ფუთი და კულაკების პური—650 მილიონი ფუთი, სულ მემამულეების და კულაკების პური ერთად შეადგენდა 931 მილიონი ფუთს, ე. ი. მთელი მაშინდელი სასაქონლო პურის სამი მეოთხედს. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ როგორ სწარმოებდა ჩვენში მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. იგი სწარმოებდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზით, საბჭოთა მეურნეობების და, განსაკუთრებით, კოლმეურნეობების როლის გადიდების გზით. არ შეიძლება არ მოვიგონოთ მემარჯვენეების წინასწარმეტყველებანი, რომელთაც სულ ამ ორი წლის წინად ჰქონდა ადგილი. მაშინ ჩვენ გვეუბნებოდნენ: „საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ მოგვცემენ სახეირო რაოდენობის პურს. ჩვენ კი ეხლავე გვჭირდება გამოსავალი"-ო ან კიდევ ლაპარაკობდნენ ასე: „საეჭვოა, რომ ნათესის ფართობი კოლმეურნეობებში 5 წლიდის განმავლობაში 5 ჯერ უფრო მეტად გაიზარდოს"-ო. ეს განცხადებანი ყველა მემარჯვენე უკლონისტურ ელემენტების შეხედულებებს გამოხატავდნენ. ამ წინასწარმეტყველებებით ჰფარავდნენ მემარჯვენე ელემენტები თავიანთ ხაზს; ისინი კულაკობაზე გაშლილი შეტევის პოლიტიკის ნაცვლად, რომელსაც პარტია ატარებს, გვირჩევდნენ უკან დახევას მტრის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პოზიციების დათმობას კლასობრივი მტრისათვის. ეს წინასწარმეტყველებანი ცხოვრებამ გააცამტვერა. პარტიის პოლიტიკა სავსებით გამართლდა. მარცვლეულის პროგრამის შესრულების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აი ფაქტები. უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა სასაქონლო მარცვლეულის პროდუქციის ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება გასული 2 წლის მანძილზე. კიდევ უფრო საყურადღებოა შემდეგი შედარება: თავის დროზე მომჰყავდათ ცხრილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1926-27 წელს ჩვენს ქვეყანაში არსებულ მთელ სასაქონლო პურიდან—630 მილიონ ფუთიდან—კულაკებს ეკუთვნოდა 126 მილიონი ფუთი, საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი ერთად გვაძლევდნენ მხოლოდ 38 მილიონ ფუთს. ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ კულაკობაზე შეტევის განხორციელებით კულაკური (მსხვილი) მეურნეობის პური შეგვეცვალა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პურით. ეს ამოცანა დასახული იქნა, როგორც ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. შევასრულეთ თუ არა ეს ამოცანა? შევასრულეთ არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მიმდინარე პურის დამზადების კამპანიაში საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ერთად უკვე 1 მარტისათვის მოგვცეს 487 მილიონი ფუთი (ტაში). ბოლოს ამასვე მოწმობენ ცნობები, რომლებიც უშუალოდ კოლმეურნეობებს ეხება. წინანდელ ყრილობის მიერ მიღებულ ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტით კოლმეურნეობებს 1933 წელს უნდა მოეცათ 300 მილიონი ფუთი ხორბალი. როგორია ფაქტები? 1930 წლის მოსავალმა უკვე საშუალება მოგვცა დაგვემზადებია კოლმეურნეობებში (მინდთან ერთად) 460 მილიონი ფუთი. ამგვარად ხუთწლიანი გეგმის დავალება კოლმეურნეობების სასაქონლო პროდუქციის დარგში 1933 წლისათვის ჩვენ უკვე წელს შევასრულეთ ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გადაჭარბებით. ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური ვარიანტით საბჭოთა მეურნეობებს 1933 წელს უნდა მოეცათ 207 მილიონი ფუთი სასაქონლო ხორბალი. ამავე დროს მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ველოდეთ საბჭოთა მეურნეობებისაგან უკვე 1931 წელს 190-195 მილიონ ფუთ პურს. ამრიგად საბჭოთა მეურნეობებისათვის მიღებული დავალებას ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის ჩვენ თითქმის წელს ვასრულებთ.

ცალკე აღსანიშნავ მარცვლეულის ტრესტის წარმატებას. მისი მუშაობის ტემპები სანიმუშოა ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციებისათვის. მარცვლეულის ტრესტის მიერ მიღწეული წარმატება—საბჭოთა ხელისუფლების სიამაყეა. ცნობები გლეხური მასების კოლექტივიზაციის გზაზე დადგომის შესახებ ხშირად მოჰყავდათ საბჭოთა პრესაში. შევჩერდები მხოლოდ უმთავრეს ცნობებზე. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია შემდეგი ცხრილი:

გლეხურ მეურნეობათა ჩაბმა კოლმეურნეობებში (საკავშირო მიწსახკომის ცნობები).

კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა

1000 ჰექტ.

1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	286	კოლექტივიზაციის 1 პროც.
1928 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	595	კოლექტივიზაციის 2,3 პროც.
1929 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	2131	კოლექტივიზაციის 8,1 პროც.
1930 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	5565	კოლექტივიზაციის 22,2 პროც.
1931 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	8830	კოლექტივიზაციის 35,3 პროც.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა პარტიის მე-15 ყრილობას, რომელმაც კოლექტივიზაციის ლოზუნგი გამოაცხადა პარტიის ცენტრალურ ლოზუნგად სოფლად, კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა ერთ პროცენტზე ცოტათი მეტი.

მე-15 ყრილობის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვი ორჯერ მეტად გაიზარდა. მაგრამ საბოლოო გარდატეხა მოხდა 1929 წლის შემოდგომაზე, როცა კოლმეურნეობებში გაერთიანდა გლეხურ მეურნეობათა 8 პროცენტზე მეტი. ეხლა საკოლმეურნეო მოძრაობაში მიღწეულ წარმატების შემდეგ ციფრი 8 სულ უმნიშვნელო ციფრად გვეჩვენება, მაგრამ თავის დროზე 1929 წლის შემოდგომაზე იგი, ჯერ ერთი, მოასწავებდა კოლექტივიზაციის ტემპის დიდათ დაჩქარებას და მეორეს მხრით, მარცვლეულის უაღრესად მსხვილ რაიონებში მას უფარდდებოდა კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა სხვა გაცილებით უფრო მაღალი პროცენტები. ერთი წლის შემდეგ ამ მომენტიდან — 1930 წლის ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო უკვე 22 პროცენტი, მიმდინარე წლის პირველ მარტისათვის 35 პროცენტზე მეტი. უკვე 1929 წლის შემოდგომაზე ისეთ რაიონებში, როგორიცაა ჩრდილო-კავკასია, კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვი ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე მაშინ მიღწეული საშუალო პროცენტი საბჭოთა კავშირში. ზოგიერთ სხვა რაიონში, როგორიცაა მაგალითად, ვოლგის ქვემო მხარე და უკრაინის ველი, კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვი სწრაფი ტემპით იზრდებოდა. როგორც ვიცით, პარტიული ხაზის გატარების დროს მთელ რიგ რაიონების მუშაობის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა დამახინჯებას. პარტიამ ამას უწოდა „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" და გადაჭრით გამოასწორა დაშვებული გადახვევები. კოლექტივიზაციის პოლიტიკის ამ დამახინჯებათა ანტილენინური ხასიათი საგრძნობლად გამოაშკარავებულია.

ბრძოლამ გადახვევებთან — უწინარეს ყოვლისა, ბრძოლამ კოლმეურნეობებში ნებაყოფლობით შესვლის პრინციპის დარღვევასთან—უკვე შესაფერი შედეგები გამოიღო, საკოლმეურნეო მოძრაობა 1929 წლის შემდეგ მომხდარმა გარდატეხამ ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმ ფაქტში, რომ გაჩნდა მთელი რაიონები, რომლებიც უკვე დაადგნენ მთლიანი კოლექტივიზაციის გზას და ამ რაიონების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ეს ფაქტები გადაიქცნენ წინასწარ პირობად ჩვენი პოლიტიკის შეცვლისათვის სოფლად. კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან პარტია გადავიდა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა საფუძვლად დაედვა საბჭოთა ხელისუფლების მთელს მუშაობას და ის განსაზღვრავს ჩვენს ამოცანებს სოფლად ეხლანდელ პერიოდში. ამ პოლიტიკამ საბჭოთა ხაზით გამოხატულება ჰპოვა დეკრეტის გამოცემაში 1930 წლის პირველ თებერვალს „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განმტკიცების ღონისძიებების და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ". ამ დეკრეტით მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში უქმდებოდა კანონის ის მოქმედება ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში მიწის იჯარის და დაქირავებული შრომის გამოყენების შესრულების შესახებ. ამ დეკრეტით ადგილობრივ ორგანოებს ეძლევა მიეცათ გამოიყენონ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში „ყველა საჭირო ზომები კულაკობასთან საბრძოლველად კულაკების ქონების სრულ კონფისკაციამდე და მათ გადასახლებამდე ცალკე რაიონებისა და მხარეების (ოლქების) ფარგლებიდან".

კოლმეურნეობათა უპირატესობა ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით ახლა სრული სიცხადით გამოაშკარავდა გლეხების მასის წინაშე. ეს გამოხატულებას ჰპოვებს იმ ფაქტში, რომ ისეთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, როგორიცაა ჩრდილოეთ-კავკასია, უკრაინა (ველიანი ზოლი), ქვემო ვოლგა, ვოლგის შუა მხარე (მარცხენა ნაპირი), ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკა და ყირიმი, —კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებულია მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტი. რაიონების უმრავლესობაში შარშანდელი წლის შემოდგომისათვის დაიწყო ახალი დიდი სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ. ახლა უკვე ყველგან ამგვარი ხმები გაისმის: „მე ინდივიდუალური მეურნე ქალი და სოფლკორი კლავდია კურბატოვა თავს დამკვრელად ვაცხადებ. სასირცხვილოდ მიმაჩნია შემდეგში ინდივიდუალურ მეურნედ დარჩენა და ამიტომ კოლმეურნეობათა სამხარეო ყრილობის გახსნის დღეს შევდივარ კოლმეურნეობაში". ასეთი განცხადებანი მასიურ მოვლენად გადაიქცნენ. უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში კოლმეურნეობებში შევიდა ახალ 3 მილიონ გლეხურ მეურნეობაზე მეტი. კოლექტივიზაციის ტემპი დღევანდელ მომენტში იმით ხასიათდება, რომ აღნიშნულ 3 მილიონიდან მხოლოდ თებერვლის განმავლობაში შევიდა მილიონნახევარი გლეხური მეურნეობა, ე. ი. ნახევარი.

საკოლმეურნეო საქმის უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით შეიძლება ნათელვყოთ შემდეგი მაგალითებით. კოლმეურნეობებმა უზრუნველჰყვეს სათესი სივრცის განსაკუთრებული გაფართოება. ეს იქიდან სჩანს, რომ 1930 წლის გაზაფხულის ნათესი ინდივიდუალურ მეურნეებთან საშუალოდ საბჭოთა კავშირში აღწევდა 2,7 ჰექტარს, ხოლო კოლმეურნეობებში (თვითეულ კომლზე) მოდიოდა 5,2 ჰექტარი. ცნობები გასული წლის მოსავლიანობის შესახებ არსებითად ასეთივე სურათს იძლევიან. შემოდგომის ჭვავის მოსავალი ერთ ჰექტარზე 1930 წელს ინდივიდუალურ მეურნეებთან საშუალოდ აღწევს 8,4 ცენტნერს, ხოლო კოლმეურნეობებში—9,1-ს, შემოდგომის ხორბალი ინდივიდუალურ მეურნეებთან—9,6-ს კოლმეურნეობებში-კი—10,6-ს და სხ. ბოლოს, სოფლის ღარიბ-საშუალო მასები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება საკოლმეურნეო მშენებლობას უდიდეს დახმარებას უწევს; ეს აადვილებს სოფლის მეურნეობის ნამდვილად სწრაფ განვითარებას და ღარიბ და საშუალო გლეხის მდგომარეობის ნამდვილად გაუმჯობესებას. რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი, რომელსაც რევოლუციამდე სახელმწიფო ხარჯავდა სოფლის მეურნეობის ყველა საჭიროებისათვის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების საჭიროებისათვის, —შეუდარებელია იმასთან, რასაც ახლა საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის აკეთებს. მარტო მიმდინარე წელში სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის სახელმწიფო ხარჯავს 3 მილიარდ მანეთს. აგრეთვე სწრაფად იზრდება სოფლის მეურნეობის მომარაგება ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მინერალური სასუქით და სხვ. კოლექტივიზაციის საქმისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ჰქონდა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზატორის — სატრაქტორო ცენტრის შექმნას. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უკვე გადაიქცნენ საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ პუნქტებად სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში. მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების განსაკუთრებით სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, 1929 წლის შემოდგომაზე გადაწყდა მიწადმოქმედების საკავშირო კომისარიატის დაარსების საკითხი. ეს კომისარიატი მის ყველა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ახლა უკვე გადაიქცა ნამდვილ საწარმოო კომისარიატად. ეს—მიწადმოქმედების თავისებური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოა. რა თქმა უნდა, ეს კომისარიატი სავსებით უწევს ანგარიშს იმ ძირითად განსხვავებას, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, საბჭოთა მეურნეობებსა, სადაც ბატონპატრონს სახელმწიფო წარმოადგენს, და, მეორე მხრივ—კოლმეურნეობებს შორის, სადაც ბატონ-პატრონები არიან კოლმეურნეობებში გაერთიანებული გლეხები. მისი ამოცანაა მსხვილი სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ყოველნაირად განმტკიცება და განვითარება, რომელმაც მთელ რიგ დარგებში უკვე ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ გამოიწვია ახალი საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნა. ამ ყრილობაზე თქვენ მოისმენთ მოხსენებებს მიწადმოქმედების საკავშირო სახალხო კომისარიატის და მისი ძირითადი ორგანოების მუშაობის შესახებ.

უაღრესად დიდია კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობის წარმოების პრინციპიალური მნიშვნელობა. მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ზრდით საბჭოთა კავშირში სწყდება უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ამოცანა. კაპიტალიზმმა დაამტკიცა, რომ მას უნარი არა აქვს უზრუნველჰყოს წვრილი სასოფლო მეურნეობის შეცვლა მსხვილი მეურნეობით. ჯერ კიდევ 1850 წელს მარქსი ამბობდა: „თუ საფრანგეთში უკვე დაიწყო მობრუნება დაქუცმაცებიდან კონცენტრაციისაკენ, სამაგიეროდ ინგლისში მსხვილი მიწადმფლობელობა ბუმბერაზული ნაბიჯებით მიდის წინანდელი გზით—დაქუცმაცებისაკენ, რითაც უდავოდ ამტკიცებს, რომ მიწადმოქმედება მუდმივად უნდა ტრიალებდეს მიწის კონცენტრაციისა და დაქუცმაცების ამ წრეში, სანამ საერთოდ არსებობს ბურჟუაზიული ურთიერთობა" („ნეიე რეინიშე ცეიტუნგ"). ესევე აზრი ლენინმა შემდეგ სიტყვებში ჩამოაყალიბა: „წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში შეუძლებელია წვრილი წარმოების სრული განდევნა მიწადმოქმედებაში, ვინაიდან თვით კაპიტალისტ-აგრარიები ცდილობენ მის აღორძინებას, როდესაც გლეხობის განადგურება უაღრესად შორს წავიდა".

რამდენადაც მსხვილი კაპიტალისტური მიწადმოქმედების საკითხი სწორედ ისე სდგას, როგორც მარქსი და ლენინი წერდნენ, ამდენად ამ თვალსაზრისით მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე დამყარებულ მსხვილი წარმოების ძლევამოსილ მსვლელობის ეპოქაში აუცილებელია კაპიტალიზმის, როგორც რეაქციონური ნაშთის, დალუპვა. კაპიტალიზმმა შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებები მაღალ ტექნიკურ საფუძველზე. მაგრამ მსხვილი სასოფლო მეურნეობის წარმატება და მნიშვნელობა კაპიტალიზმის პირობებში შეუდარებელია, მაგალითად, მსხვილ ინდუსტრიალურ წარმოების წარმატებასთან, წარმოების, რომელმაც თავის დარგში სრულ ბატონობას მიაღწია. კაპიტალიზმი, პირიქით, ხელს უწყობს წვრილ გლეხურ მეურნეობათა უდიდესი მასის არსებობას, მათი ტექნიკის მთელი ჩამორჩენილობით, წარმოების დაბალი დონით და სოფლის უდიდესი მასის სიღარიბით. მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობას შეაქვს ძირითადი ცვლილებები სოფლის მდგომარეობაში, ვინაიდან ის უზრუნველყოფს გლეხურ მეურნეობათა მთელი მასის გადასვლას მსხვილი სოციალისტური მეურნეობის გზაზე. კაპიტალიზმს ახასიათებს მის ფარგლებში დაუძლეველი წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს შორის, რასაც საფუძვლად უდევს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. „კაპიტალიზმმა,— ამბობდა ლენინი,—არამც თუ არ მოსპო წინააღმდეგობა მრეწველობასა და მიწადმოქმედებას შორის, არამედ, პირიქით, ის ამ წინააღმდეგობას უფრო და უფრო აფართოებს და ამწვავებს". სოციალიზმის მშენებლობას სულ წინააღმდეგისაკენ მივყავართ. მას მივყავართ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობათა მოსპობისაკენ.

წვრილ გლეხურ წარმოებიდან მსხვილ სოციალისტურ წარმოებაზე გადასვლა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა გზას გვიხსნიან ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების ისტორიულ ამოცანას წარმოადგენს ამ საქმის განხორციელება.

მიმდინარე წელიწადი და ხუთწლედის შესრულება

მიმდინარე წლის გეგმაში დასახულ ამოცანებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი ხუთწლედის შესრულებისთვის. სოფლის მიმართ ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა—მოვიყვანოთ გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, სულ ცოტა, 50 პროცენტამდე. შემოდგომაზე დაწყებული ახალი მასიური ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ და ლტოლვის აჩქარებული ტემპი გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის შესრულება უსათუოდ შესაძლებელია, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისაგან. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მიმართვა შემოდგომის ნათესის კონტრაქტაციის შესახებ იძლევა გაზაფხულის თესვის პრაქტიკულ პროგრამას. აქ ყველაფერია ნათქვამი, რაც კი საჭიროა—როგორც სახელმწიფოს ვალდებულებებზე გლეხური მეურნეობების და, პირველ ყოვლისა, კოლმეურნეობებისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, ისე სოფლის ვალდებულებებზე სახელმწიფოს წინაშე. ეს პროგრამა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევასრულოთ. კოლექტივიზაციის საქმეში უკვე მიღწეულმა წარმატებებმა უდიდესად გააფართოვეს და განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი სოფლად. ამ წარმატებათა საფუძველზე ამხ. იაკოვლევის, თურკინის და მარკევიჩის თეზისებში, რომლებიც ყრილობას წარმოედგინა, ნათქვამია: „მიერიდან ძირითად და მთავარ დასაყრდენს სოფლად წარმოადგენს საკოლმეურნეო გლეხობა". მეტიც: ამჟამად ჩვენ ყოველი ინდივიდუალური-საშუალო გლეხის წინაშე უნდა დავსვათ კითხვა: „კოლმეურნეობის მხარეზეა იგი თუ მის წინააღმდეგ".

იმავე თეზისებში ნათქვამია: „ამჟამად, როცა ღარიბ და საშუალო გლეხთა მრავალ მილიონიანი მასები დარწმუნდნენ კოლმეურნეობის უპირატესობაში და დაადგნენ საკოლმეურნეო გზას, როდესაც ხდება კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია,—ყოველი ღარიბი და საშუალო ინდივიდუალური გლეხის წინაშე, რომელიც ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობაში, დაისვა ძირითადი კითხვა: „ვისთან არის იგი—კოლმეურნეობასთან თუ მის წინააღმდეგ".

კოლმეურნეობასთან თუ მის წინააღმდეგ —ასე სდგას საკითხი მთელი ღარიბ-საშუალო გლეხთა მასის წინაშე. კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო მოძრაობისათვის მხარის დაჭერა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერას და გადამჭრელ ბრძოლას კულაკთან. კოლმეურნეობის წინააღმდეგ, საკოლმეურნეო მოძრაობის მხარის დაჭერის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს კულაკის დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ნეიტრალობა ამ საქმეში შეუძლებელია. წელს საკითხი კოლმეურნეობისადმი დამოკიდებულების შესახებ მთელი სიგრძე-სიგანით არის დასმული თვითეული ღარიბი და საშუალო გლეხის წინაშე. არჩევანი მათზეა დამოკიდებული. მარტო ეს ერთი გარემოებაც ცხადჰყოფს იმას, რომ 1931 წელი არის გადამწყვეტი წელიწადი მთელი კოლექტივიზაციის საქმისთვის, მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობისთვის (ხმები ადგილიდან: „მართალია" ტაში).

არ შევჩერდები მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გეგმაზე. ამას მიეძღვნა მოხსენებები ცაკის უკანასკნელი სესიაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა გავახსენოთ მხოლოდ რამდენიმე ციფრი. მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებულია სახალხო შემოსავლის გადიდება 39 პროცენტით. ეს ციფრი ადასტურებს მთელი სახალხო მეურნეობის უდიდეს ამაღლებას, უდიდეს აღორძინებას.

გავახსენებთ კიდევ, რომ გეგმით გათვალისწინებულია მთელი სახელმწიფო მრეწველობის (ს.მ.უ. საბჭოს და მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის) საერთო პროდუქციის გადიდება 45 პროცენტით. დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დავალებანი თვითღირებულების შემცირების შესახებ: ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობაში თვითღირებულება შემცირებულ უნდა იქნას 10 პროცენტით, ხოლო მომარაგების სახ. კომისარიატში — 11 პროცენტით. ამჟამად დავკმაყოფილდები სახალხო-სამეურნეო გეგმის ამ გადამწყვეტი ციფრების მოყვანით. იმისდა მიხედვით, თუ როგორ შევასრულებთ ამ დავალებებს, შეგვეძლება ვიმსჯელოთ ბოლშევიკური ტემპებისთვის ჩვენი ბრძოლის შემდგომ წარმატებათა შესახებ. იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს ბოლშევიკური ტემპები, მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: განვლილი ოთხი წლის მანძილზე—1927 წლიდან 1930 წლის დამლევამდე ჩვენ ავამუშავეთ 323 ახალი საწარმო, ხოლო მარტო 1931 წელს ჩვენ უნდა ავამუშაოთ 518 ახალი საწარმო (ტაში). ამ ახალი ობიექტების ძირითადი კაპიტალის ღირებულება და მათი საერთო პროდუქცია წელს ორჯერ გადააჭარბებს იმას, რაც ჩვენ ახალ სამრეწველო საწარმოებისაგან მივიღეთ ოთხი წინა წლის განმავლობაში. ბოლშევიკურმა ტემპებმა გამოხატულება ჰპოვეს ლოზუნგში. „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში". ხორციელდება თუ არა ეს ლოზუნგი? ამ კითხვაზე პასუხს თვით ფაქტები გვაძლევენ. ამრიგად, მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა არის თუჯი, ფოლადი, რკინა, აგრეთვე ბამბის ქსოვილები, ხუთწლედი საერთოდ შესრულებული იქნება ოთხ წელიწადში.

თუ ბამბეულის მრეწველობისთვის ეს ვადა ოთხ წელიწადზე ცოტა მეტი იქნება, სამაგიეროდ თუჯის პროგრამას, ეჭვს გარეშეა, შევასრულებთ არა 4 წელიწადში, არამედ უფრო ნაკლებ ვადაში. ცემენტის გეგმა შესრულდება 3 ნახევარ წელიწადში, ელექტრო-ტექნიკის, ქვანახშირის, ტორფისა და შაქრის გეგმა—3 წელიწადში, ნავთის, სპილენძის, საერთო მანქანათმშენებლობის, ავტოტრაქტორის და სას.-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობისა და ორთქლმავალთმშენებლობის გეგმა, დაახლოვებით ორნახევარ წელიწადში.

საერთოდ კი ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობის ხაზით ხუთწლედის შესრულებას დასჭირდება დაახლოვებით სამ ნახევარი წელიწადი. აქედან სჩანს, რომ სრულდება ლოზუნგი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში". მეტიც: ყველა ნიშნებია, რომ იგი გადაჭარბებით შესრულდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ხუთწლედის შესრულება მძიმე მრეწველობის ხაზით (საერთოდ) დასახული სამ წელიწადში. ეს სჩანს შემდეგიდან: „ა" ჯგუფის ხაზით 1931 წლის საერთო პროდუქცია დასახულია 17,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1932-33 წლისთავის ხუთწლიანი გეგმით დასახული 15,2 მილიარდი მანეთისა. მაშასადამე, ჩვენი გეგმა მრეწველობის ძირითად დარგებში აგებულია ხუთწლედის 3 წელიწადში შესრულების საფუძველზე.

ხუთწლედის ყველა საკითხებში ძირითად საკითხს წარმოადგენს **მეტალურგიის საკითხი**. ამასთან დაკავშირებით, უფრო დიდხანს შევჩერდები თუჯის საწარმოო პროგრამაზე. საბჭოების წარსული ყრილობის მიერ მიღებულმა ხუთწლედმა თუჯის ხაზით უკანასკნელი (1932-33) წლისთვის დასახა 10 მილიონი ტონა. მას შემდეგ გამოირკვა, რომ ეს რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს ზრდის გზაზე დამდგარ მეურნეობის მოთხოვნილებას. იძულებული გავხდით „დაგვერღვია" საბჭოების წარსული ყრილობის გადაწყვეტილება და გადაგვეთვალიერებინა პროგრამა. ამის შედეგად თუჯის პროგრამა ხუთწლედის უკანასკნელი წლისთვის დასახული იქნა 17 მილიონი ტონის რაოდენობით. ნება მიბოძეთ, იმედი ვიქონიო, რომ ეს ყრილობა მთლიანად მოიწონებს მთავრობის გადაწყვეტილებას და საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის დამლევისთვის სავსებით განვახორციელოთ პროგრამა 17 მილიარდი ტონა თუჯის დამზადების შესახებ.

ამ პროგრამის განხორციელება დიდ სიძნელეებს გულისხმობს, მაგრამ პარტია მის შესრულებას უაღრესი დაჟინებით შეუდგა. პარტია ფიქრობს, რომ ეს პროგრამა აუცილებლად ვადაზე უნდა შესრულდეს. სახკომსაბჭოს ამას წინად გამოქვეყნებული დადგენილება შავი მეტალურგიის შესახებ მიმართულია არა მარტო იქითკენ, რომ შესრულდეს პროგრამა, არამედ იქითკენაც, რომ უზრუნველყოფილ იქნას მისი შესრულების დაჩქარება. ამ დადგენილებით გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-ნაწილში ხუთი ახალი, 1,4—1,5 მილიონ ტონიანი ნაყოფიერების ბრძმედის აგება და, გარდა ამისა, აგება სამი ახალი ქარხნის—ტულის, ლიპეცკის და სინარსკის. თვითეული ქარხნის ნაყოფიერება 350.000 ტონას უნდა უდრიდეს. ამ დადგენილებამ, გარდა ამისა, ურალის ქარხნებში 1933 წლისათვის უნდა უზრუნველჰყოს, სულ ცოტა, 700.000 ტონის საუკეთესო ღირსების ნატკეცი ლითონი. ამ ობიექტების მშენებლობას უნდა შევუდგეთ ეხლავე, მიმდინარე წელსვე, დავამთავროთ ერთი წლის განმავლობაში. ასე იშლება ჩვენი სამეტალურგიო საქმე.

დასასრულ, როგორ სრულდება პარტიის მე-16 ყრილობის დავალება იმის შესახებ, რომ, სამხრეთში არსებული მეტალურგიული ბაზის გარდა, **შეიქმნას მეორე მსხვილი მეტალურგიული ბაზა აღმოსავლეთში**. ამაზე პასუხს გვაძლევს ორი ციფრი. წარსულ წელს ურალ-კუზნეცკის ბასეინის როლი განისაზღვრებოდა დაახლოვებით მეტალურგიის მთელი პროდუქციის მეხუთედი ნაწილით. მიღებულ გეგმის მიხედვით, ხუთწლედის დამლევისთვის ურალ-კუზნეცკის რაიონმა უნდა მოგვცეს მთელი მეტალურგიული პროდუქციის ორი მეხუთედი მთლიანად აღებული პროდუქციის ზრდის პირობებში. ამნაირად, ურალ-კუზნეცკის რაიონი უნდა გადაიქცეს საბჭოთა კავშირის მეორე ძირითად მეტალურგიულ ბაზად.

ბოლოს, ვიტყვი ორიოდე სიტყვას მიმდინარე წლის პირველი თვეების შესახებ.

როგორც ვიცით, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებამ იანვარ-თებერვალში არადამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ასეთი მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ამას ვერას შემთხვევაში ვერ შევურიგდებით. საჭიროა გამოვასწოროთ ფრონტი და საქმით უზრუნველვყოთ მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადაზე შესრულება. ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი პროდუქციის ხარისხიც. დღემდე ვერ მივაღწიეთ გარდატეხას ამ მხრივ. ბევრ შემთხვევაში ყურადღებასაც კი არ ვაქცევთ ამას. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ამნაირად, ბოლშევიკური ხაზი იმარჯვებს. წელს განსაკუთრებულად უნდა გაიშალოს ბრძოლა ბოლშევიკური ტემპებისთვის. უამისოდ მიმდინარე წლის ბუმბერაზული გეგმა ჩაიშლება.

გამოვიყვანოთ აქედან ბოლშევიკური დასკვნა. საწარმოო პროგრამის შესრულების საქმეში ბოლშევიკები უნდა გამომდინარეობდნენ იქიდან, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენი ორგანიზაციები პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებას, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ტემპებისთვის შეადგენს არა მარტო ყოველი ბოლშევიკის მოვალეობას, არამედ ყოველი მუშის მოვალეობას, საბჭოთა სახელმწიფოს ყოველი პატიოსანი მუშაკის მოვალეობას. პარტიამ დაამარცხა მემარჯვენე უკლონისტები, მაგრამ მემარჯვენე უკლონისტური ტენდენციები პრაქტიკაში ჯერ კიდევ ძლიერია, ამ ტენდენციებთან ჯერ კიდევ სერიოზული ბრძოლა გვმართებს, ამ ბრძოლის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ ისეთ სიმაღლეს, რომელიც უზრუნველჰყოფს ხუთწლედის გადამჭრელი წლის ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებას. მემარჯვენე უკლონისტური ტენდენციები ჩვენი ორგანოების პრაქტიკაში ხელს უწყობენ ჩვენ მტრებს.

გავაძლიეროთ ბრძოლა ამ მთავარ საფრთხესთან ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ამავე დროს მაგრად დავცხოთ მკვეხარა უზრუნველობას, რომელიც „მემარცხენე" ფრაზებს ეფარება. ჩვენ სხვა გვჭირია: ნაკლები კვეხნა, მეტი მზადყოფნა ტემპებისათვის საბრძოლველად. ხაზი მიცემულია პარტიის მიერ. პროგრამა შემუშავებულ-დამტკიცებულია. შევუდგეთ როგორც საჭიროა დასახული პროგრამების შესრულებას. საქმის წარმატება ჩვენზეა დამოკიდებული. პარტიულმა და უპარტიომ— ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს ბოლშევიკური ტემპებისათვის ბრძოლაში, ხუთწლედისათვის ბრძოლაში.

ცენტრალური ამოცანაა ტეხნიკის დაუფლება

მიმდინარე წელს ჩვენ შეუდექით დიდ და ძნელ ამოცანების შესრულებას. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე შევსძელით მათი შესრულების უზრუნველყოფა. ამჟამად შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ამ ამოცანების შესრულების დაწყებისთანავე თანდათან გამოაშკარავდა უდიდესი დეფექტები ჩვენს სამეურნეო მუშაობაში. ერთი რამ უკვე სავსებით აშკარაა: ძველებურად მუშაობა აღარ შეიძლება. ჩვენ მუშაობის არც ერთ დარგში არა გვაქვს ისეთი გაკვალული გზა, რომლითაც შესაძლებელია შეუფერხებლად წინსვლა დასახულ მიზნისაკენ. სამეურნეო პირობები ბევრ რამეში არსებითად შეიცვალა, განსაკუთრებით სოცალიზმის მშენებლობის ტემპების გაძლიერებასთან დაკავშირებით. ყველაზე მეტ სისუსტეს და დაბრკოლებებს ჩვენ ამჟამად განვიცდით იმ დარგებში, სადაც სამეურნეო ამოცანები სწრაფი ტემპებით იზრდებიან, სადაც ჩვენ დავაგვიანეთ სამეურნეო აპარატის მუშაობის გარდაქმნა. ამის მაგალითს პირველ ყოვლისა წარმოადგენს რკინის გზის ტრანსპორტი, აგრეთვე დონბასის ქვანახშირის მრეწველობა.

დავიწყებ ტრანსპორტით. თქვენ იცნობთ სახალხო კომსართა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის შესახებ. აღნიშნული მიმართვა მიღებულ იქნა ამ საკითხის სერიოზულად დამუშავების შემდეგ ცენტრალურ კომიტეტთან მოწყობილ სპეციალურ თათბირებზე. ამ თათბირებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სამეურნეო მუშაკებმა, პროფესიონალისტებმა და პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ამ თათბირებზე საფუძვლიანად განხილულ და შეფასებულ იქნა რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის დეფექტები და მტკივნეული ადგილები.

რა გამოირკვა რკინის გზის ტრანსპორტზე? გამოირკვა, რომ თავის დროზე აქ დაშვებულ იქნა შეცდომა ერთი ღონისძიების განხორციელებაში. რამდენიმე წლის წინად ცალკე გზებზე ცდის სახით შემოღებულ იქნა ორთქლმავლების ეგრედწოდებული გაუპიროვნებული მიმოსვლა. ეს ცდა შემდეგ სხვა გზებზედაც გავრცელდა. ამან საგრძნობი ზიანი მიაყენა ორთქლმავლების პარკს. გაუპიროვნებული მიმოსვლის პირველი ცდები რომ თავის დროზე სათანადოთ ყოფილიყო შესწავლილი და შემოწმებული, ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ გაუპიროვნებული მიმოსვლის ფაქტიურად განხორციელებისადმი, ჩვენ არ გვექნებოდა ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც გვაქვს ამჟამად, რომლებიც დაგროვდნენ მთელ რიგ წლების განმავლობაში. ორთქლმავლების გაუპიროვნებული მიმოსვლა ე. ი. ისეთი წესი, რომლის დროს საორთქლმავლო ბრიგადები არ არიან მიმაგრებულნი განსაზღვრულ ორთქლმავლებზე, გატარებულ იქნა ფართო მასშტაბით სათანადო მომზადების გარეშე. ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი უარყოფითი, პირდაპირ დაუშვებელი ფაქტები რკინის გზებზე, გაუპიროვნებული მიმოსვლის განხორციელებისაგან საგრძნობლად დაზარალდა ჩვენი ორთქლმავლების პარკი, რომ არაფერი ვთქვათ შრომის დისციპლინის გაუარესებაზე.

რკინის გზებზე გაუპიროვნებული მიმოსვლის არასწორად გატარების მაგალითიდან სჩანს ჩვენი სამეურნეო აპარატის მუშაობის დამახასიათებელი დეფექტები და სისუსტე. უდიდესი ღონისძიებაც კი ვერ გავატარეთ ჩვენ სათანადო მომზადებით, მისი პირველი შედეგების შემოწმებით. თუ რამდენად თავი იჩინა ამ ღონისძიების გატარების დროს ზოგიერთ ჩვენ სამეურნეო ორგანოების არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ სჩანს იქიდან, რომ უკანასკნელ დრომდე გზათა სახალხო კომისარიატში, და თვით რკინის გზების გამგეობებშიაც, ზოგჯერ არ იცოდნენ უმნიშვნელოვანესი ფაქტები ორთქლმავლების მდგომარეობის შესახებ ადგილებზე.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. ამ ცოტა ხნის წინად სახალხო კომისართა საბჭოში გზათა სახალხო კომისარიატმა წარმოადგინა ცნობა „ავადმყოფი" ორთქლმავლების შესახებ სამხრეთის გზაზე, ცნობის მიხედვით სამხრეთის გზაზე თებერვალში იყო 16 პროცენტი „ავადმყოფი" ორთქლმავალი. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ეს ციფრი სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ანდრეევმა და გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მირონოვმა, რომელნიც იყვნენ სამხრეთის რკინის გზაზე, წარმოადგინეს მათ მიერ მიღებული ცნობები „ავადმყოფ" ორთქლმავლების შესახებ. გამოირკვა, რომ სამხრეთის რკინის გზაზე თებერვალში ავადმყოფი ორთქლმავალი იყო არა 16, არამედ 41 პროცენტი. ამ ფაქტიდან და მსგავს ფაქტებიდან სახალხო კომისართა საბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა გააკეთეს სათანადო პრაქტიკული დასკვნები. ამის შესახებ საკმაოდ გარკვევით არის ნათქვამი ცნობილ მიმართვაში რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ.

ზემოდაღნიშნული ფაქტი გვავალებს გავაძლიეროთ ბრძოლა ერთ-ერთი ჩვენი მტკივნეული ადგილის წინააღმდეგ. ზემოდნათქვამიდან სჩანს, რომ ჩვენს სამეურნეო მუშაობაში ასეთ მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს შესრულების შემოწმების უქონლობა. შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა იმის შესახებ, თუ როგორ უგულოდ და უყურადღებოდ ეკიდებიან ჩვენი ორგანოები შესრულების შემოწმების საქმეს. ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვერ შევურიგდებით, ჩემის აზრით საბჭოების ყრილობას არ შეუძლია არ სცნოს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება შესრულების კომისიის შექმნის შესახებ მიღებულ იქნა თავის დროზე. ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს ამხ. ლენინის მითითება, რომ ფაქტიური შესრულების შემოწმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

„ეს არა რამდენიმე თვის, არა ერთი წლის, არამედ რამდენიმე წლის საქმეა". (ლენინი, ტომი 18, ნ. მეორე, გვ. 17).

ამის შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა და შესრულების შემოწმება პრაქტიკულად ბევრ შემთხვევაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ტარდება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოვაგვარდეთ ფაქტიური შესრულების შემოწმების საქმე. მე შემდეგ მომიხდება ლაპარაკი იმის შესახებ თუ რას გვასწავლიან რკინისგზის ტრანსპორტის შემოწმებასთან დაკავშირებით გამორკვეული ფაქტები. ეხლა კი უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტებიდან გამომდინარეობენ დასკვნები, რომელნიც ეხებიან არა მარტო რკინის გზის ტრანსპორტს.

ეხლა ავიღოთ დონბასის მაგალითი. ცნობილია, რომ სამეურნეო მუშაობა დონბასის ქვანახშირის მრეწველობაში ძალზე მოიკოჭლებს. დონბასის საკითხს მნიშვნელობა აქვს არა მარტო უშუალოდ სამეურნეო, არამედ აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისითაც. პარტიამ დონბასის მექანიზაცია ქვანახშირის მრეწველობის ძირითად გადაუდებელ ამოცანად სცნო. სწორად და დროულად იყო თუ არა დასმული ეს ამოცანა, ადასტურებს თუ არა პრაქტიკა ამ ამოცანის გატარების საჭიროებას, იწონებს თუ არა მის დასმას მუშათა კლასი? ამ კითხვებზე შეგვიძლია სავსებით გარკვეულად. უყოყმანოდ უპასუხოთ: დიახ, ამოცანა დასმულია სწორად, ამოცანა დასმულია დროულად, პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა ამ ამოცანის განხორციელების საჭიროება, მუშები პარტიის ამ გადაწყვეტილებას სავსებით იწონებენ. მიუხედავად ამისა, ქვანახშირის ამოღების საქმე დონბასში არ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად, პროგრამა არ სრულდება და თვით მექანიზაციაც ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება.

ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე გამოაშკარავდა დონბასში შემჭრელი მანქანების და ჩაქუჩების მექანიკური მოწყობილობის ცუდათ გამოყენების აღმაშფოთებელი ფაქტები. ჯერ კიდევ მაშინ მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლებამ დონბასის ყველა ორგანიზაციების მუშაობის დაუყოვნებლივ გარდაქმნა და მექანიკური მოწყობილობის სწრაფად გამოყენების უზრუნველყოფა ქვანახშირის მრეწველობაში, მაგრამ საქმე მეტად ნელი ტემპით მიდის წინ. აი შემჭრელი მანქანების და მექანიკურ ჩაქუჩების გამოყენების მაგალითი: ირკვევა, რომ 1931 წლის იანვრის განმავლობაში დონბასში გამოუყენებელი დარჩა 20 პროცენტი მძიმე შემჭრელი მანქანები, 42 პროცენტი მსუბუქი შემჭრელი მანქანები და 42 პროცენტი მექანიკური ჩაქუჩები. ვფიქრობ, რომ ეს საკმარისია.

დავსვათ მეორე კითხვა, გამოვძებნეთ თუ არა ჩვენ დონბასში პრაქტიკული გზა მომქმედი მექანიკური მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის? პრესიდან ვიცით, რომ ამ მხრივ ბოლო დროს ჩვენ თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ. საკმარისია მივუთითოთ ამხ. კარტაშევის, კასაუროვის, ფილიმონოვის და ლიბკარდტის წინადადებების პრაქტიკულად გატარების მაგალითებზე. მაღაროებში უკვე პრაქტიკულად ტარდება ამხ. კარტაშევის, კასაუროვის და ფილიმონოვის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს შემჭრელი მანქანების განუწყვეტელ მუშაობას მაღაროში, აგრეთვე ამხ. ლიბკარდტისა მეთოდი კონვეიერების სწრაფად გადატანით. ამ მეთოდების განხორციელებას საუკეთესო შედეგები მოჰყვა, რაც სჩანს „პრავდა"-ს (27 თებერვლის) შემდეგ ცნობიდან: „ცნობები განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლის ეფექტიურობის შესახებ სტალინის რაიონის 21 მაღაროში. ახალ სისტემაზე გადასვლამდე თვითეულ ჯგუფში დღე-ღამეში იძლეოდა 4.707 ტონას, გადასვლის შემდეგ კი—6.986 ტონას ე. ი. 37 პროცენტით მეტს. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 30,6 პროცენტით, მუშა ძალის ღირებულება თვითეულ ტონაზე შემცირდა 25 პროცენტით.

„პრავდა"-ს იმავე დეპეშაში ნათქვამია: „კრასნოდონის მაღაროებში გამგეობამ აქ ბოლო დროს კარტაშევის სისტემაზე გადაიყვანა კიდევ ორი მექანიზაციაქმნილი მღვიმე. ამ სისტემაზე გადასვლის პირველსავე დღეს მოგვცა არნახული ამოღება. მე-17 ნომრის მაღაროს მეორე მღვიმემ, რომელიც ამხ. კარტაშევის სისტემაზე გადასვლამდე დღე-ღამეში 60 ვაგონეტს იძლეოდა, გადასვლის შემდეგ აიყვანა ნაყოფიერება 225-230 ვაგონეტამდე. პირველი ნომრის მაღაროს მეცამეტე მღვიმემ ნაყოფიერება 120 ვაგონეტიდან აიყვანა 345 ვაგონეტამდე". შეიძლება კიდევ მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა. ამხ. კარტაშევის, კასაუროვის, ფილიმონოვისა და ლიბკარდტის მშვენიერი ინიციატივა ჯეროვნად შეაფასეს ცენტრალურმა ორგანოებმა და საბჭოთა ხელისუფლებამ. ეს ამხანაგები, როგორც შრომის ნამდვილი გმირები, ცაკ-ის მიერ დაჯილდოვებულ იქნენ ლენინის ორდენით. ქვანახშირის ამოღების მექანიზაციის ამ ახალ წინადადებებს უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ დონბასის მაღაროებში. მაგრამ როცა ფაქტიურად იწყებენ მექანიზაციას, ირკვევა ის განსაკუთრებული უმსგავსო მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონია წინად ამ საქმისათვის მომზადებაში.

აი, მაგალითი. წავიკითხავთ ამხ. ჩუდოვის მიერ გადმოცემულ იმ ლენინგრადელ მუშათა ჯგუფის წერილს, რომლებიც ამჟამად დონბასში იმყოფებიან. აი, რას სწერენ ისინი: „ჩვენ, ზეინკლებმა, ვასილიევმა, სოკოლოვმა, მატუჩენკომ, ეგოლნიკოვმა, კრაეუხოვმა და აბრამოვმა, რომლებიც მობილიზაციის წესით გაწვეულნი ვართ ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის დონბასში, — როცა მივედით ზოლოტონკოვის მაღაროთა სამმართველოს რაიონში, სადაც არის მაღაროები №№ 3, 5, 13 და 14,—გამოვარკვიეთ, რომ ნახშირის ამოღების საქმეში შესრულებულია მხოლოდ დავალების 50 პროცენტი. ასეთი მოვლენა აბსოლუტურად დაუშვებელია და საფრთხეს უმზადებს მრეწველობას საერთოდ და ლენინგრადისას კერძოდ". როგორც ნამდვილი ლენინგრადელები, ისინი, რასაკვირველია, ლენინგრადს არ ივიწყებენ და, ცხადია, კარგადაც იქცევიან (ხმა ადგილიდან: „ყოჩაღ, ბიჭებო".). შემდეგ ეს ჯგუფი მექანიზაციის შესახებ სწერს: „ერთად-ერთ გამოსავლად, რაც ხელს შეუწყობს ამ მეტად სერიოზული ჩამორჩენის ლიკვიდაციას, უნდა ჩაითვალოს მაღაროების მექანიზაცია, რისთვისაც ჩვენ, უნდა ვიფიქროთ, მოვედით აქ, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ არ ვიცით, რით გავატაროთ ეს მექანიზაცია, რით ვიმუშაოთ—არ მოიპოვება არავითარი იარაღი".

იარაღის უქონლობასთან დაკავშირებით, ისინი სწერენ:

„რა გასაკვირველია, თუ საჭდევი მანქანა, 18 საათის ნაცვლად, მუშაობს მხოლოდ 4 საათს დღე-ღამეში, დანარჩენ დროს კი ხდება მათი შეკეთება პირველყოფილი წესით".

ამის შემდეგ წერილი შეიცავს თხოვნას, —გაუგზავნონ ლენინგრადიდან სამი უბრალო ჩარხი (სახვრეტი, სარანდავი და სახარატო) და გარკვეული რაოდენობის იარაღი, თვით მარილის მჟავეც კი—66 ლიტრა.

წერილი ასე თავდება:

„თუ ლენინგრადის პარტორგანიზაცია ყოველ ზომას მიმართავს და ამ უბრალო იარაღს გამოგზავნის, ჩვენ, კომუნისტები, პირობას ვიძლევით, ჯერ ერთი, მთელი ეს მოწყობილობა დავდგათ დამკვრითი წესით, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ ამ მუშაობისათვის ჩვენ ფულს არ მოვთხოვთ მაღაროების სამმართველოს, და, მეორე—ჩვენ აბსოლუტურად პასუხს ვაგებთ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის".

აი, ნამდვილი პროლეტარების, ნამდვილი ბოლშევიკების ხმა! (ტაში).

ეს ჯგუფი ლენინგრადის ორგანიზაციას შედარებით უბრალო დახმარებას სთხოვს. ამ ამხანაგების და დონბასის მექანიზაციაზე მომუშავე ყველა სხვა მუშაკებისათვის დახმარების აღმოჩენა ყველა ჩვენგანის მოვალეობას შეადგენს.

ლენინგრადელი ამხანაგების წერილიდან სჩანს, თუ რამდენად ცუდად იყვნენ მომზადებული მაღაროების მექანიზაციისათვის ჩვენი სამეურნეო ორგანოები დონბასში. სჩანს ისიც, რომ დღემდე მომზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამავე დროს კი ქვანახშირი ჩვენ ძალიან გვესაჭიროება, ქვანახშირზეა დამოკიდებული მრეწველობის მთელი რიგი დარგების მუშაობა. არ შეიძლება არც იმის თქმა, თითქოს არ ვიცოდეთ, პრაქტიკულად რა შეადგენს ჩვენს ახლანდელ ამოცანას დონეცის ქვანახშირის მრეწველობის წინ წაწევის საქმეში.

კარტაშევის მეთოდი მეორე მშვენიერი საქმეა. ახლო მომავალში ჩვენ ალბად მოწმენი ვიქნებით ქვანახშირის ამოღების მექანიზაციის მეთოდების შემდგომი განვითარებისა.

ეხლა საქმე ქვანახშირშია, იმაში, რომ შევძლოთ მექანიზაციის ამოცანის შესრულება და ჯეროვნად და სწრაფი ტემპით მოვაწყოთ ის, რისთვისაც განაწილებულ უნდა იქნან ადამიანები, ავამუშაოთ უკვე არსებული მოწყობილობა, გადავლახოთ აპარატის სხვათა შორის თვით მაღაროს აპარატის, სიზანტე და რუტინა. მხოლოდ უიმედო ოპორტუნისტი, რომელიც დაბრკოლებას წააწყდება, შეუდგება თავის დასაძვრენის ძებნას უკან დასახევად. ბოლშევიკისთვის შეუძლებელია ლაპარაკი არა თუ უკან დახევაზე, არამედ ტემპების ოდნავ შენელებაზე ისეთი ამოცანების განხორციელების საქმეში, როგორიცაც დონბასის მექანიზაცია წარმოადგენს.

დონბასის მექანიზაციის ამოცანა მარტოოდენ სამეურნეო საქმე არ არის. ეხლანდელ პირობებში ეს უაღრესად პოლიტიკური ამოცანაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუყოვნებლივ შეუდგებით მექანიზაციის, როგორც მსხვილი და გადაუდებელი პოლიტიკური ამოცანის, განხორციელებას, თუ ამ საქმეს მოვანდომებთ მთელ ძალას და გამოვიჩენთ ბოლშევიკურ შეუპოვრობას,—მხოლოდ მაშინ დავძლევთ ჩვენ ამ საქმეს. დაძლევით კი უნდა დავძლიოთ, ყოველი პირობის გარეშე, ისიც რაც შეიძლება საჩქაროდ. ქვემოდ შევჩერდები იმაზე, თუ რა ძირითადი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ დონბასის მექანიზაციის გატარების მაგალითიდან,—დასკვნა, რომელიც მარტო დონბასს არ შეეხება.

იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ ამ ძირითად დასკვნას, მოვიყვან უკვე ცნობილ ფაქტს გიგანტის მშენებლობის 10 თვით ადრე დამთავრების შესახებ. ქარხანა აგებულ იქნა ამერიკული ტემპით. მაგრამ ცნობილია აგრეთვე წარმოების ორგანიზაცია სტალინგრადის სახარატო ქარხანაში. საქმე იქ დღემდე ვერ არის კარგად. რამდენიმე თვეა უ[illegible] რაც ქარხანა ვერ ასრულებს საწარმოო პროგრამას.

გამოირკვა, რომ ჩვენ უფრო წარმატებით მოვახერხეთ ახალი უდიდესი ქარხნის აგება, ვიდრე თვით წარმოების მოწყობა. ჩვენ აქ წავიბორძიკეთ, ამ საქმეში ჯერ კიდევ სუსტნი აღმოვჩნდით. უდიდესი მასშტაბის სამშენებლო ამოცანებს ჩვენ თავი გავართვით და, შედარებით, არც ცუდად. სულ სხვაა ახალი რთული წარმოების მოწყობა. აქ თავი იჩინა ჩვენმა საწარმოო სისუსტემ, ჩვენმა ტექნიკურმა ჩამორჩენილობამ.

ამრიგად, უნდა გამოვიყვანოთ საერთო დასკვნა აღნიშნული ფაქტებიდან. მე მხედველობაში მაქვს ის ფაქტები, რომლებიც ეხებიან ტრანსპორტს, დონბასს და სტალინგრადის ქარხანას. ეს საერთო დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს, თუ საკითხს დავსვამთ ამნაირად: „რ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სათანადოდ ვებრძოლოთ დეფექტებს რკინის გზის ტრანსპორტზე, რომ უზრუნველვყოთ ამ ტრანსპორტის ისეთი მუშაობა, რათა იგი შეეფერებოდეს მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის ამოცანებს?" —პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: დავეუფლოთ საქმის ტექნიკას, გავხდეთ ნამდვილი ბატონ-პატრონები საწარმოო-ტექნიკურ საქმეებში და გადავიქცეთ რკინის გზის ტრანსპორტის ნამდვილ სპეციალისტებად.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ შევძლოთ მექანიზაცია დონბასში? ეს ხომ გადაუდებელი ამოცანაა. პასუხი სავსებით ნათელია: დონბასის ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციის საქმეს, ისინი არ უნდა დაეყრდნონ მარტოოდენ ძველ სპეციალისტებს, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, ჩაუკვირდნენ საქმის ტეხნიკას, ჩააბან და წაახალისონ სამთამადნო საქმისა და მისი ახალი ტექნიკის ნამდვილი სპეციალისტები და თვითონ გახდნენ ქვანახშირის მრეწველობის საქმის სპეციალისტებად და ბატონ-პატრონებად. არ არის საჭირო გამეორება, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადაიჭრას ამოცანა ისეთი ქარხნების წარმოების სრული მოგვარების შესახებ, როგორიცაა არის სტალინგრადის სატრაქტორო გიგანტი.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს მრეწველობას არა აქვს დიდი მიღწევები ისეთ საკითხებში, როგორიცაა არის ცალკე დარგების მექანიზაცია და წარმოების ტექნიკის დაუფლება. ჩვენ გვაქვს ამის ღირსშესანიშნავი მაგალითები. მშვენიერ მაგალითად ჩაითვლება მექანიზაციის განხორციელება ბაქოს და გროზნოს ნავთის მრეწველობაში. აქ მექანიზაცია გატარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში. და აი, ეხლა აშკარა გახდა, რომ ქვანახშირის მრეწველობამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ შეასრულა ხუთწლიანი გეგმის პირველი 2 წლის დავალება, ხოლო ნავთის მრეწველობამ საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ნავთის მრეწველობის ზრდის ეხლანდელი დიდი ტემპი შეუძლებელი იქნებოდა, რომ აქ თავის დროზე სათანადო ენერგიით არ გატარებულიყო საწარმოთა მექანიზაცია.

მეორე მაგალითი: ყველა ხედავს „დნეპროსტროი"-ს მშენებლობას, ოდესღაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობდით „ვოლხოვსტროი"-ს აგებით, რომელიც არ შეიძლება არ მივაკუთვნოთ უდიდეს ელექტროსადგურების რიცხვს. 1932 წელს დაიწყებს მუშაობას ელექტროფიკაციის გიგანტი—დნეპროსტროი. ამ მშენებლობის ტემპი დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოთ ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. წარმატების მიზეზი უნდა ვეძიოთ სამშენებლო საქმის მექანიზაციის ამერიკული წესით განხორციელებასა და ჩვენს საკუთარ ბოლშევიკურ ენერგიაში, ყოველ შემთხვევაში ამერიკელი ინჟინერის კუპერის დახმარებით, რომ არ ჩაგვეტარებია „დნეპროსტროი"-ს სამუშაოების მექანიზაცია, ჩვენ ვერ მივაღწევდით ისეთ შედეგს, როგორსაც წარმოადგენს ბეტონის წყობის მსოფლიო რეკორდი—ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ტემპისათვის.

ბოლოს, მარცვლეულის ტრესტი. მარცვლეულის ტრესტი მუშაობას შეუდგა ორ წელიწად-ნახევრის წინად. სოფლის მეურნეობის ძველი ტიპის მცოდნენი, როგორნიც არიან მაკაროვი, იაშიკო, დოიარენკო და სხვები, პირდაპირ შეუძლებლად სთვლიდნენ დასახული პროგრამის შესრულებას. დოიარენკო ამბობდა: „ბუნება არ დაუშვებს მარცვლეულის ტრესტის ამოცანების შესრულებას დასახული ტემპებით", მიუხედავად ამისა, ჩვენ არა თუ ვასრულებთ ამ ამოცანებს, არამედ ვასრულებთ მათ უფრო მცირე ვადებში. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა მეურნეობებში ჩატარებულმა მექანიზაციამ. უნდა ითქვას, რომ მარცვლეულის ტრესტმა და მისმა ადგილობრივმა მუშაკებმა მექანიზაციის საქმეს ხელი მოჰკიდეს, როგორც ძირითად ამოცანას, და ამით წინასწარვე გადასწყვიტეს საქმის წარმატებით დამთავრება.

ნავთის მრეწველობის, „დნეპროსტროი"-სა და მარცვლეულის ტრესტის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რის მიღწევა შეუძლიათ ბოლშევიკებს, როცა ისინი უშუალოდ ჰკიდებენ ხელს საქმის ტექნიკის დაუფლებას, წარმოების ძირითად საკითხებს, საჭირო მუშაკთა მუშაობის სათანადო ადგილებზე წესიერად განაწილებას.

ეს მაგალითები, როგორც, მეორეს მხრით, ტრანსპორტის, დონბასისა და სტალინგრადის ქარხნის მაგალითები, გვიჩვენებენ, რომ შეუძლებელია მრეწველობის გაშლის თანამედროვე ტემპების შესრულება, თუ არ დავეუფლეთ საქმის ტექნიკას, და არ გავიცანით გადამწყვეტი მნიშვნელობის საწარმოო საკითხები. ბოლშევიკური ტემპი და ტექნიკის დაუფლება განუყრელად დაკავშირებულია ერთი მეორესთან.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ აგრეთვე, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა ხდება წარმოების ძველი საფუძვლების რადიკალურად გარდაქმნა და მიმდინარეობს ურთულესი წარმოების შექმნა, შეუძლებელია ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაობა, თუ არ დაეუფლე დაკისრებულ საქმის შინაარსს და არ გახდე ნამდვილი სპეციალისტი საწარმოო-ტექნიკურ საკითხებში. რეკონსტრუქციის პერიოდში ვერ დაეპატრონები საწარმოო-ტექნიკურ საკითხებს, თავს ვერ გაართმევ დაკისრებულ სამეურნეო მუშაობას. ჩვენ ჯერ კიდევ გვესაჭიროება ამის განსაკუთრებულად აღნიშვნა, მაგრამ ჩვენს მეურნეობაში მავნებლობის უკვე გამოაშკარავებულმა ფაქტებმა ბოლო უნდა მოუღონ ყოველ გაუგებრობას ჩვენს დასკვნებში სამეურნეო მუშაობის ძირითადი ამოცანების შესახებ. მავნებლობის ფაქტებმა აშკარად დაგვანახვეს, ზოგჯერ ბოლშევიკები როგორ სათამაშო იარაღად ხდებოდნენ მავნებელ-თეთრ-გვარდიელთა ხელში. ჩვენ უკვე საკმარისად დაგვაჯერეს მავნებლებმა ჩვენი სისუსტისათვის საწარმოო საკითხებში, ჩვენი ტეხნიკური მოუმზადებლობისათვის. სად გინდა, რომ არ ცდილიყვნენ მავნებლები ხელი შეეშალათ ჩვენი საქმიანობისათვის, ამას ისინი სჩადიოდნენ ჩვენი სისუსტისა და ჩვენი დეფექტების გამო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ლენინის მითითება იმაზე, რომ „გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის „აუცილებლად წარმოადგენს არნახული გამწვავებული ბრძოლის პერიოდს" (ლენინი: „სახელმწიფო და რევოლუცია"). იმ სასტიკ პასუხს მიუხედავად, რომელიც მავნებელთა ბანდებმა მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ აღმოფხვრილ იქნენ მთელი რიგი მთავარი მავნებლური ბუდეები, ჩვენ ჯერ კიდევ ისევ მოგველის უსასტიკესი ბრძოლა კლასობრივ მტერთან და მის აგენტურასთან ჩვენს აპარატში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბოლშევიკი გახდება თავისი საქმის ბატონ-პატრონი, თავისი მუშაობის სპეციალისტი, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას კისერი მოუგრიხოს ყველა მავნებელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, და საბოლოოდ უზრუნველყოფს საბჭოთა ხელისუფლება ამ მავნებელთა მიერ ზურგში დანის ჩაცემისაგან.

უნდა გავიხსენოთ—რას გვასწავლიდა ლენინი სპეციალისტებისადმი დამოკიდებულების საკითხში. აი, ლენინის სიტყვები:

„მათი (ბურჟუაზიული ინტელიგენტების) საბოტაჟი უნდა დავძლიოთ და ისინი, როგორც ფენა ანუ ჯგუფი, დავუმორჩილოთ

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლებას, ხოლო მათგან, თუ ჩვენ, კომუნისტები, ყმაწვილის ასაკისა არა ვართ და ყმაწვილის გაგებას არ ვიჩენთ, უნდა ვისწავლოთ, ვინაიდან უდიდეს საწარმოთა მუშაობის მოწყობის საკუთარი გამოცდილება, იმ საწარმოთა, რომლებიც ემსახურებიან მრავალ მილიონ მოსახლეობას, პროლეტარიატის პრაქტიკასა და პროლეტარიატის ავანგარდს არ მოეპოება. რუსეთის საუკეთესო მუშებმა გაიგეს ეს. მათ იწყეს სწავლა კაპიტალისტ—ორგანიზატორებთან, ინჟინერ-ხელმძღვანელებთან, ტექნიკოს-სპეციალისტებთან" (ტომი 22, გვერდი 525).

მრავალ შემთხვევაში ლენინი იმეორებდა ამავე აზრს, იმას, რომ არა თუ უნდა გავსტეხოთ ბურჟუაზიული სპეციალისტების საბოტაჟი და მათი მუშაობა დაუქვემდებაროთ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ უნდა ვისწავლოთ კიდეც მათგან.

აი, კიდევ ამონაწერი ლენინის ერთ-ერთ გამოსვლიდან იმავე თემაზე:

„ჩვენ უნდა ვმართავდეთ იმ კლასიდან გამოსულთა დახმარებით, რომელიც უკვე დავამხეთ, იმათ დახმარებით, რომლებიც გაჟღენთილნი არიან თავიანთი კლასის ცრუმორწმუნეობით და რომლებიც ჩვენ უნდა გარდავქმნათ. ამასთან ერთად ჩვენ უნდა შევარჩიოთ ჩვენი მმართველნი საკუთარი კლასის რიგებიდან. ჩვენ მთელი სახელმწიფო აპარატი უნდა მოვანდომოთ იმას, რომ სასწავლებელი, სასკოლო განათლება და პრაქტიკული მომზადება—ყოველივე ეს მიმდინარეობდეს კომუნისტების ხელმძღვანელობით პროლეტარებისათვის, მუშებისა და მშრომელი გლეხობისათვის" (ტომი 25, გვერდი 106).

აქედან ერთხელ კიდევ ჩანს, —თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი საკუთარი კადრების მომზადების საკითხს სამეურნეო მშენებლობის ამოცანების დასაუფლებლად ჩვენს ქვეყანაში.

მას შემდეგ 10 წელზე მეტმა განვლო. განვლო საკმაო დრომ, რომ სერიოზულად წავწეულიყავით წინ ამ საქმეში. მაგრამ ეს საქმე ასე ადვილად არ კეთდება. ამხ. სტალინი აბსოლუტურად მართალი იყო, როდესაც ამას წინად სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკთა კონფერენციაზე აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პარტიის მიერ დასახული ამოცანა—ჯერ-ჯერობით არ ჩავრეულიყავით საქმის ტექნიკაში და შევესწავლა ეს ტექნიკა და წარმოების მართვის სიბრძნე, მრავალ შემთხვევაში პრაქტიკულად დამახინჯებით სრულდებოდა, და, საერთოდ, ეს ამოცანა აქამდე დამაკმაყოფილებლად არ არის გადაჭრილი. ამავე დროს ასეთი მდგომარეობის მოთმენა აღარ შეიძლება. აი, რატომ ეძლევა უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა ამხ. სტალინის დასკვნებს აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ამხ. სტალინი ამბობდა: „დროა პირი ვიბრუნოთ ტექნიკისაკენ. დროა უკუვაგდოთ ძველი ლოზუნგი, დრომოჭმული ლოზუნგი ტექნიკაში ჩაურევლობის შესახებ, დროა თვითონ გავხდეთ სპეციალისტებად და საქმის მცოდნეებად, თვითონ გადავიქცეთ საქმის ნამდვილ ბატონ-პატრონად".

იმავე სიტყვაში შემდეგ აღნიშნულია:

„ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. დროა ბოლშევიკები თვით გახდნენ სპეციალისტებად. რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს".

უნდა ვაღიაროთ, რომ ამხ. სტალინის ამ სიტყვებში ჩამოყალიბებულია ჩვენი ცენტრალური ამოცანა მიმდინარე პერიოდისათვის. ამ ცენტრალურ ამოცანას გამოხატავს ლოზუნგი: ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. ეს ნიშნავს, რომ პარტია მოითხოვს ყველა ჩვენგან—შევისწავლოთ დაკისრებული საქმე, ჩავუკვირდეთ მის შინაარსს, დავეუფლოთ საწარმოო-ტექნიკურ საკითხებს და გავხდეთ ნამდვილ ბატონ-პატრონებად და სპეციალისტებად ჩვენს მუშაობაში. ამაშია საქმის მთელი მდგომარეობა.

ტექნიკის დაუფლების ლოზუნგი სწორედ რომ დროულია. მუშაკთა მასებში მან ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა სამრეწველო რაიონების მრავალ საწარმოში გაიშალა ბრძოლა ამ ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ამ ლოზუნგის განხორციელებამ წინ უნდა წასწიოს ჩვენი მუშაობა და აიყვანოს იგი უფრო მაღალ საფეხურზე. ამავე დროს არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ეს ლოზუნგი პირდაპირ ცხვირში ხვდება მთელი სიმკაცრით ბიუროკრატიზმის იარებს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, როდესაც, შახტის საქმესთან დაკავშირებით, პარტიამ უდიდესი მუშაობა გაშალა ტექნიკური კადრების მომზადების დარგში, ჩვენ დიდ ცვლილებას მივაღწიეთ ამ მხრივ. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებიდან და ტექნიკუმებიდან კურსდამთავრებულთა გამოშვებამ ამჟამად რამდენჯერმე გადააჭარბა იმას, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ორი წლის წინად. მრეწველობაში საგრძნობლად გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის კადრები, უმთავრესად ახალგაზრდობის ხარჯზე. მიმდინარე წლის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი მრეწველობაში გვეყოლება შედარებით (თვითეულ 100 მუშაზე) 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1927 წელს. სამეცნიერო მუშაკთა კადრი მრეწველობაში მარტო წარსული წლის განმავლობაში გაიზარდა 110 პროცენტით, ხოლო სამეცნიერო-საგამოკვლევო ორგანოებში მუშაკთა საერთო რიცხვი 106 პროცენტით გადიდდა. შემდეგში ენერგიულად უნდა ვაწარმოოთ ეს მუშაობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მომხდარი გარდატეხა ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში და, პირველ ყოვლისა, ტექნიკური კადრების მომზადებაში მუშათა კლასის რიგებიდან წარმოადგენს იმის ერთ-ერთ მაგალითს, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კულტურული რევოლუცია. უკანასკნელ წელს კულტურულ მუშაობას ნამდვილი ბოლშევიკური ტემპების ხასიათი ეძლევა. ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს, მაგალითად, შემდეგში: თუ 1928 წელს ყოველი სახის სწავლა-განათლების საქმეში ჩაბმული იყო 14,8 მილიონი კაცი, 1930 წელს ჩაბმულია უკვე 47,1 მილიონი კაცი. ამ ორი წლის განმავლობაში მუშაობამ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ სრულიად განსაკუთრებული ტემპით წაიწია წინ, იგი დაახლოებით გაიზარდა 13-ჯერ. ჩვენ წარმატებით ვანხორციელებთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას. ამ მხრივ მარტო მიმდინარე წელს პირველდაწყებით სწავლებაში ჩაბმულთა რიცხვი 44,5 პროცენტით გადიდდა; ჩვენის აზრით, საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნის განხორციელება განუყრელად დაკავშირებულია მთელს ჩვენს ბრძოლასთან სოციალიზმის მშენებლობის 5 წლიანი გეგმისათვის.

ყოველივე ეს ჰქმნის წინასწარ პირობას იმისათვის, რომ ლოზუნგი ტექნიკის დაუფლების შესახებ გადაიქცეს ნამდვილ მამოძრავებელ ძალად მასებში. წინ უნდა მიდიოდნენ და საქმის სათავეში უნდა იდგნენ ბოლშევიკები.

სამეურნეო მუშაობის ზრდა და იქ მომხდარი ცვლილება იწვევს სხვადასხვა გარდაქმნას. ამასთან შედარებით, საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა მთელი რიგი უდიდესი ღონისძიებანი მთელი მუშაობის გარდასაქმნელად მის ორგანოებში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს დადგენილებას ოლქების გაუქმების და რაიონის, როგორც სოფლად სოციალისტური მშენებლობის ძირითადი რგოლის, განმტკიცების შესახებ. ეს სახელმწიფო აპარატს და ყველა ჩვენს ორგანოებს უახლოებს მასებს, მაგრამ ამასთან ზემდგომ ორგანოებს აკისრებს ახალ, უფრო რთულ, მოვალეობას ხელმძღვანელობის საქმეში.

ამასთან ერთად უკანასკნელ დროს ერთგვარი გარდაქმნა ჩვენს ცენტრალურ ორგანოებშიაც მოხდა. როგორც მოგეხსენებათ, მთავრობის დადგენილებით გაყოფილ იქნა ორი კომისარიატი, ამასთან დაკავშირებით შექმნილი მომარაგების სახალხო კომისარიატი გადაიქცა უდიდეს საწარმოო კომისარიატად. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ახლა საშუალება მიეცა უკეთესად მოაგვაროს თავისი საქმე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დიდი სიძნელეებიც ახლავს. გარდა ამისა, როგორც ვიცით, გზათა სახალხო კომისარიატიდან გამოყოფილ იქნა წყალთა ტრანსპორტის კომისარიატი. ეს და სხვა ცვლილებანი წარმოადგენენ იმის გამოხატულებას, რომ ჩვენი სამეურნეო მშენებლობა იზრდება და ეს ზრდა მოითხოვს მთელ რიგ საორგანიზაციო ხასიათის ცვლილებებს სამეურნეო აპარატში.

პარტიამ წამოაყენა საბჭოების გარდაქმნის ლოზუნგი რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით. ამ ლოზუნგს ფართოდ გამოეხმაურნენ მასები. უკანასკნელმა საარჩევნო კამპანიამ ამ ლოზუნგით ჩაიარა. საბჭოებში შევიდნენ მოწინავე მუშებისა და გლეხების, პირველ ყოვლისა კი სოფლის საუკეთესო დამკვრელებისა და კოლმეურნეების ახალი კადრები. ჩვენს ამოცანას შეადგენს— ნამდვილად განვახორციელოთ საბჭოების მუშაობის გარდაქმნა და ამით ავსწიოთ საბჭოების, როგორც პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლების, როლი სოფლად.

ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიღწევია თავი ახალი ეკონომიური პოლიტიკისათვის მისი თავისებურებებით. როგორც მარქსისტები, ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმას, რომ თუმცა სოციალიზმის პერიოდში შევედით, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაგვიწყვეტია კავშირი ყოველივე იმასთან, რაც გუშინ არსებობდა ჩვენში. საჭიროა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხში, ამ პოლიტიკის ეხლანდელ სტადიაში სათანადოდ გავუწიოთ ანგარიში მის კონკრეტულ თავისებურებებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ლენინი ამბობდა: „ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ჩვენ დავუთმეთ გლეხს, როგორც ვაჭარს, კერძო ვაჭრობის პრინციპს. ეხლა ჩვენ გამოვნახეთ კერძო ინტერესის, კერძო სავაჭრო ინტერესის შეერთების საშუალება, ამ ინტერესის საერთო ინტერესებისათვის დაქვემდებარების საშუალება, რომელიც წინად ბევრი სოციალისტისათვის თავსამტვრევი იყო" (ტ. მე-14, ნაწ. II, გვ. 139).

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა ის აღარ არის, რაც პირველ პერიოდში იყო. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის უშუალო მშენებლობის პერიოდში, და ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მივაღწიეთ სოციალისტური სექტორის უეჭველად გაბატონებულ მდგომარეობას სახალხო მეურნეობაში.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს აგრეთვე ის, რასაც ლენინი ამბობდა კომუნიზმის პირველი პერიოდის შესახებ. ამ მხრით ეხლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამხ. ლენინის შემდეგ სიტყვებს „სახელმწიფო და რევოლუცია"-დან:

„კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში (რომელსაც ჩვეულებრივად სოციალიზმს უწოდებენ) „ბურჟუაზიული უფლება" უქმდება არასავსებით, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიღწეულია ეკონომიური გადატრიალება, ე. ი. მხოლოდ საწარმოო საშუალებათა მიმართ. „ბურჟუაზიული უფლება" სცნობს მათ ცალკე პირთა კერძო საკუთრებად. სოციალიზმი ხდის მათ თავის საკუთრებად. ამდენად და მხოლოდ ამდენად უქმდება „ბურჟუაზიული უფლება". მაგრამ იგი მაინც რჩება მის სხვა ნაწილში. რჩება, როგორც საზოგადოების წევრებს შორის პროდუქტების განაწილების, შრომის განაწილების რეგულიატორი (განმსაზღვრელი). „ვინც არ მუშაობს, მან არ უნდა სჭამოს",—ეს სოციალისტური პრინციპი უკვე განხორციელებულია. „შრომის თანასწორი რაოდენობისათვის —პროდუქტების თანასწორი რაოდენობა",—ეს სოციალისტური პრინციპიც უკვე განხორციელებულია, მაგრამ ეს კიდევ არ არის კომუნიზმი, ეს კიდევ არა სპობს ბურჟუაზიულ უფლებას, რომელიც არათანასწორ პირებს შრომის არა თანასწორი (ფაქტიურად არათანასწორი) რაოდენობისათვის პროდუქტების თანასწორ რაოდენობას მისცემს".

„სახელმწიფო და რევოლუცია" ლენინმა დასწერა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე. ლენინი ლაპარაკობდა კომუნიზმის პირველ ფაზაზე—სოციალიზმზე, ეყრდნობოდა რა მხოლოდ თეორიულ საფუძვლებს. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ ჩვენს ქვეყანაში დაადასტურა, რომ ლენინის თეორიული ანალიზი, რომელიც მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ეყრდნობა, სავსებით ძალაში რჩება. ლენინის ამ მითითებას ამჟამად განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ავიღოთ მაგალითი საკოლმეურნეო მშენებლობიდან. ყრილობის განსახილველად წარმოდგენილ თეზისებში საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ კოლმეურნეების შემოსავლის განაწილება არა კოლმეურნეების შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ სულადობის მიხედვით ჩათვლილია საკოლმეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ნაკლად. ამ საკითხში საჭიროა სრული გარკვეულობის შეტანა. უნდა ვიცოდეთ, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ბოლშევიკური გაგება მოითხოვს კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილებას ნამდვილად დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და არა სულადობის მიხედვით, როგორც ამას მოითხოვენ ეხლა კულაკები და კულაკის დამქაშები სოფლად. თუ კოლმეურნეობის პროდუქტის წილის მიღებას მჭიდროდ არ დავუკავშირებთ დახარჯულ შრომას, მის ნამდვილ ნაყოფიერებას, თუ ასე არ მოვიქცევით—ჩვენ არ გვექნება საკოლმეურნეო მოძრაობა ამ პრინციპის თანმიმდევრობით განხორციელებლად, რა თქმა უნდა, არტელის წესდების ყველა დანარჩენ მითითებებთან შეფარდებით, საკოლმეურნეო მშენებლობის ჩვენი პოლიტიკა იქნება არა ნამდვილად ბოლშევიკური, არამედ წვრილ-ბურჟუაზიული, და იგი ნამდვილად ხელს შეუწყობს არა საბჭოთა ხელისუფლებას სოციალიზმის მშენებლობაში, არამედ კულაკობას მის ბრძოლაში კოლმეურნეობების წინააღმდეგ.

ავიღოთ მაგალითი მრეწველობის დარგიდან. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა მუშაობს ცენტრის მიერ მოცემული გეგმით. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა უარვყოთ სამეურნეო ანგარიში მრეწველობაში? სრულიადაც არა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ უკეთესი ანგარიში, უკეთესად უნდა ვიცოდეთ პროდუქციის ნამდვილი თვითღირებულება, ამა თუ იმ სამეურნეო ხარჯის ნამდვილი მომგებიანობა სახელმწიფოსათვის. ვინც ამ საკითხს არ აქცევს ყურადღებას სამეურნეო მუშაობაში, ვინც არ აწარმოებს ანგარიშს საწარმოში, სამეურნეო გაერთიანებაში, იგი ნამდვილად ბიუროკრატიული აპარატის ტყვეა, იგი ბოლშევიკურ სამეურნეო ხელმძღვანელობას სცვლის მუშაობის ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ მეთოდებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ მრეწველობაში მტკიცედ გავატაროთ სამეურნეო ანგარიში მიღებული გეგმის შესრულების საფუძველზე.

ხელფასის პოლიტიკაში ჩვენ იმ თვალსაზრისს ვადექით და ვადგივართ, რომ თანდათანობით გავადიდოთ მუშებისა და მუშაკების ხელფასი. ამ პრინციპს განსაკუთრებული მზრუნველობით ვახორციელებდით ყველაზე უფრო დაბალი ხელფასის მქონე მუშათა კატეგორიების მიმართ და ეს სავსებით სწორია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ გათანასწორების ხაზი სამუშაო ხელფასში მაღალკვალიფიციურ მუშებსა და ახლად მიღებულ მუშათა კადრებს შორის? რა თქმა უნდა, არა. პრაქტიკაში კი ხშირად ჰქონდა ადგილი დამახინჯებას უხეში გათანასწორების მხრით. არსებითად ეს ხაზი გათანასწორებისაკენ თავიდან ბოლომდე წვრილ-ბურჟუაზიულია და მას საერთო არაფერი აქვს ლენინიზმის პოლიტიკასთან. თუ სასტიკ ბრძოლას არ გამოვუცხადებთ ამ თავიდან ბოლომდე წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს, ისე ვერ უზრუნველვყოფთ მეურნეობის განვითარების ნამდვილად ბოლშევიკურ ტემპებს. ამ თვალსაზრისით უკანასკნელ პერიოდში შეტანილ იქნა სხვადასხვა შესწორებანი შრომის ხელფასის პრაქტიკაში. ამ შესწორებებს ეკუთვნის ის გადაწყვეტილებანი, რომლებითაც რკინის გზაზე გაუდიდდათ ხელფასი მემანქანეებს, მემანქანეების თანაშემწეებს და სხვებს, მდინარის ტრანსპორტზე—კაპიტნებს, მიწის ამოსაღები იარაღის გამგეებს, მექანიკოსებს, აგრეთვე ცეცხლფარეშებს. აღვნიშნავ აგრეთვე გადაწყვეტილებას ქვანახშირის მრეწველობის იმ მუშათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კატეგორიების ხელფასის გადიდების შესახებ, რომლებიც მიწის ქვეშ მუშაობენ. ამ შესწორებების შეტანა სამუშაო ხელფასის პრაქტიკაში აუცილებელი იყო.

არა მარტო ხელფასის ხაზით, არამედ მომარაგების ხაზითაც პარტიამ გარკვევით მიუთითა მუშათა ცალკე კატეგორიების მიმართ უპირატესობის დაწესების აუცილებლობაზე. ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელი გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებში ლაპარაკია სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის იმგვარად გარდაქმნაზე, რომ უსათუოდ უზრუნველყოფილ იქნან „პირველ რიგში სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი დარგები და მომარაგების საქმე დაუკავშირდეს საწარმოო გეგმების შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლას, შრომის სოციალისტური ფორმების—სოცშეჯიბრების, დამკვრელობის და სხვ. წაქეზებას". ცუდია მხოლოდ ის, რომ დღემდე ცოტა რამ გაკეთდა ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად; ამავე დროს ამ გადაწყვეტილებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამეურნეო მუშაობის ბოლშევიკური ტემპების განხორციელებლად... (გამოტოვებულია).

ჩვენ ამ პოზიციაზე ვდგავართ ეხლაც.

ჩვენც ვფიქრობთ აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეს პოზიცია პოლიტიკურად გამართლებულია მოვლენების მსვლელობით.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში ორ პრინციპიალურად საწინააღმდეგო საზოგადოებრივი სისტემის—კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების—არსებობის აუცილებლობაზე, —აქედან ჩვენი დასკვნა გამოგვყავს.

ჩვენი დასკვნა ის არის, რომ აღნიშნული ისტორიული პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი სისტემის გამარჯვების უზრუნველსაყოფად. კლასობრივი მტერი ამოცანად ისახავს—დედამიწის პირიდან აჰგავოს საბჭოთა წყობილება, სოციალიზმის წყობილება. ორი მსოფლიო უპირისპირდება ერთმანეთს. ამ მსოფლიოთა შორის სწარმოებს და ვითარდება ბრძოლა. ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში, საერთაშორისო ბრძოლა კომუნიზმის საქმისათვის, მარქსის, ენგელსისა და ლენინის საქმის სრული გამარჯვებისათვის (მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციით თავდება).

ათი წლის თავის შედეგები და ჩვენი პოლიტიკური ხაზი

ჩვენი ყრილობა ხვდება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის ათი წლის თავს. რადგან ეს ამავე დროს არის სოციალისტური მშენებლობის პირველი ათი წლის თავიც მშვიდობიან პირობებში, ამიტომ მათ შედეგებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენს ამოცანას შეადგენდა, ასე ვთქვათ, გაგვეტარებია ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სათანადოდ შეგვემცირებია კერძო — კაპიტალისტური სექტორი სახალხო მეურნეობაში. აი, ეს ციფრები. კერძო სექტორის წილი ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციაში, წვრილ მრეწველობასთან ერთად, 1921 წელს შეადგენდა 36 პროც.-ს, 1930 წელს—5 პროცენტს. ამ ორ პოლიტიკურ ხაზს შორის ყოველთვის შეურიგებელი ბრძოლა იყო. ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა ამჟამადაც. ამ ბრძოლის აზრი შემდეგია. ჩვენს პარტიას აღებული ჰქონდა და ამჟამადაც აღებული აქვს გეზი სოციალიზმის გამარჯვებისაკენ და კაპიტალიზმის ნაშთების განადგურებისაკენ. ჩვენს მტრებს აღებული ჰქონდათ გეზი საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიულ გადაგვარებისაკენ, სოციალისტური ელემენტების განადგურებისაკენ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ ნიადაგი ეცლებათ ფეხქვეშ—უცხოეთის შეიარაღებულ ინტერვენციისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის პირობებში კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ აშკარად ვერ იწარმოებდა, მაგრამ ამ ელემენტების შემოტევა თავის პოლიტიკურ გამოხატულებას ჰპოვებდა არა მარტო მუშების გარკვეულ ფენებში, არამედ პარტიის განსაზღვრულ ნაწილს შორისაც კი, ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად, ხან ერთი სახით, ხან კიდევ მეორე სახით. გაიმარჯვა ლენინურმა პოლიტიკამ, პოლიტიკამ შეურიგებელი ბრძოლისა ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომლებიც გამოხატავენ, თუმცა სხვადასხვა ფორმით, ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატის ავანგარდის ზოგიერთ ფენებზე.

ლენინური პოლიტიკის გამარჯვებას მჭევრმეტყველურად მოწმობს მრავალი ფაქტი.

მოვიყვან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო - საგეგმო კომისიის ცნობებიდან რამდენსამე ციფრს, რითიც ხასიათდება საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდა წარსული პერიოდის განმავლობაში—1921 წლიდან 1930 წლამდე.

ამ პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავალი გაიზარდა 4-ჯერ, მრეწველობის (ცენზიანის) საერთო პროდუქცია გაიზარდა $12\frac{1}{3}$-ჯერ, ნათესის მთელი ფართობი —1 ნახ.-ჯერ, რკინის გზების ტვირთმიმოქცევა უფრო მეტად, ვიდრე 6-ჯერ.

რამდენიმე ციფრი ნათელჰყოფს იმას, თუ როგორ იზრდება სოციალისტური სექტორის მნიშვნელობა... (გამოტოვებულია) ნათესი ფართობის ხაზით კერძო სექტორის წილი ამ პერიოდის განმავლობაში დაეცა 99-დან 67 პროცენტამდე. საქონლის ბრუნვაში (საცალო) კერძო სექტორის წილი დაეცა 75-დან 5,5 პროცენტამდე. ეს ციფრები მოწმობენ სოციალიზმის ძლევამოსილებას.

კიდევ რამდენიმე ცნობა მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ.

ინდუსტრიალური მუშების რიცხვი 21-30 წლის პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 2.430 ათასიდან 6.359 ათასამდე. ერთი მუშის შრომის ხელფასი (საშუალო თვიური) ცენზიან მრეწველობაში გადიდდა 14-დან 80.4 მანეთამდე, ე. ი. თითქმის 6-ჯერ. ერთი მუშის გამომუშავება (საშუალო თვიური) გადიდდა 5-ჯერ.

ასეთია მთავარი ციფრობრივი ცნობები.

განვლილ პერიოდში უდიდესი ცვლილება მოხდა ჩვენი ქვეყნის არა მარტო მეურნეობაში, არამედ სოციალურ ფენებშიაც.

რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას და დაეპატრონა წარმოების საშუალებებს, იგი აღარ არის მუშათა კლასი ამ სიტყვის წმინდა მეცნიერული მნიშვნელობით. როგორც ხელმძღვანელმა ძალამ საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ძლევამოსილად შენდება სოციალიზმი, პროლეტარიატმა ჩვენს ქვეყანაში ამ ხნის განმავლობაში განვლო ისეთი პერიოდი, როცა ის არა თუ საგრძნობლად გაიზარდა და შეივსო ახალი ელემენტების ხარჯზე, არამედ გადაიქცა ისეთ საზოგადოებრივ ფენად, რომლის დაბრუნებას კაპიტალიზმის მონის წინანდელ მდგომარეობაში ვერავითარი ბურჟუაზია ვეღარ შესძლებს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გლეხი მეტ წილად რჩებოდა წვრილ მესაკუთრედ. ბოლოს გლეხობაშიაც მოხდა გარდატეხა, და გლეხურმა მასამ იწყო საკოლმეურნეო მასად გადაქცევა. სწორედ ამით დაიწყო წინანდელი გლეხის საზოგადოებრივი სახის შეცვლა. მართალია, ნელა მიმდინარეობს წვრილი მესაკუთრის საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციების და ჩვეულებებისაგან თავის დაღწევა, მაგრამ მაინც ჩვენი კოლმეურნე გლეხი უკვე დიდი ხანია ის აღარ არის, რაც წინად იყო. კოლმეურნისაგან იქმნება ახალი სოციალისტური ტიპის საზოგადოებრივი მეურნე და ამ კოლმეურნეებს ვეღარ დაუბრუნებთ წვრილ-ბურჟუაზიულ ცხოვრებას. ისინი ისწრაფვიან წინ, სოციალიზმისაკენ.

ღრმა ცვლილებები მოხდა ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასის წრეშიაც. მას სხვადასხვა მხრიდან გამოერეცხა ფეხვები და უკვე ხდება მათი ამოძირკვა. ჩვენი ქვეყნის შიგნით მას არ გააჩნია საიმედო დასაყრდენი. აი აქედან წარმოიშვა იმედის დამყარება გარეშე იმპერიალისტურ ძალებზე, გეზი ინტერვენციისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რამზინის, გრომანის და სხვათა პროცესებმა გამოააშკარავეს განსაკუთრებული პოლიტიკური და მორალური გახრწნის ფაქტები ამ წრეში. ამ პროცესების „გმირები" საცოდავად გამოიყურებიან, ისინი უკვე განადგურებულნი არიან რევოლუციის მიერ. ასეთია ეს უკანასკნელი ნაშთები მომაკვდავი ბურჟუაზიისა, რომლის შიგნითაც გახრწნის პროცესი ჯერ კიდევ იძლევა ასეთ აყროლებულ პროდუქტებს.

ამგვარად, განვლეთ უდიდესი გზა. ჩვენ უკვე ვემყარებით სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც მივაღწიეთ პირველი ათი წლის მუშაობის დროს, მშვიდობიან პირობებში მუშაობის დროს.

მიუხედავად ამისა, ჩვენს წინაშე დასახულია ბევრად უფრო დიდი ამოცანები. ახალი ათი წელი, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით, წარმოადგენს იმ გარდამწყვეტ პერიოდს, რომლის განმავლობაშიაც ჩვენ არა თუ უნდა დავეწიოთ, არამედ უნდა გავუსწროთ კიდეც ტექნიკურად და ეკონომიურად კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (ტაში).

კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნების ტექნიკურად და ეკონომიურად დაწევისა და მათი გასწრების ამოცანა ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოგვაგონებს, რომ ამჟამად ბოლშევიკებისათვის ცენტრალურ ამოცანად გადაიქცა ტექნიკის დაუფლება, ბატონ-პატრონად გადაქცევა პრაქტიკული და თეორეტიული მუშაობის ყველა დარგებში და მომზადება ჩვენი რიგებიდან სპეციალისტების, ამასთან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის. მეტად დიდია ახალი ეკონომიური პოლიტიკის ათი წლის განმავლობაში მიღებული წარმატებები და შედეგები. ეს კი მშრომელთა ფართო მასებს უნერგავს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ბოლშევიკური მოვალეობა: ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ „თავბრუდახვევას წარმატებისაგან", რაც სახიფათოა მოწინავე მებრძოლისათვის.

არ შეიძლება დავივიწყოთ სირთულის ელემენტები გარდამავალ პერიოდში, რომლის მთავარ დამახასიათებელ მხარეს შეადგენს სოციალიზმის ზრდა. სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა სტადიაში სირთულის ელემენტებს, ცხადია, სხვადასხვა ხასიათი აქვთ. აქ საჭიროა კონკრეტულ გარემოებათა სწორი აღრიცხვა. არ უნდა დავეყრდნოთ საერთო ფორმულებს და რეცეპტებს, ანგარიში უნდა გავუწიოთ პერიოდის თავისებურებებს, რაიონის და მშენებლობის დარგის თავისებურებებს.

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო

ამხ. იაროსლავსკის გამოსვლა

მოსკოვი, 12 მარტი. 10 მარტის დილის სხდომაზე დიდი სიტყვით გამოვიდა ამხანაგი იაროსლავსკი.

უღრმესი კრიზისი, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობაში, წარმოადგენს მთელი მათი პოლიტიკის შედეგს. სამეურნეო კრიზისი, უმუშევრობა და მასების გაღატაკება—ეს მოვლენები გუშინდელი დღის შედეგს არ წარმოადგენენ. ვინ არ იცის, რომ მასები კაპიტალისტურ ქვეყნებში მრავალი წლების განმავლობაში განიცდიან შიმშილს, მრავალი წლების განმავლობაში ისინი იძულებით შრომას ეწევიან კაპიტალისტურ ფაბრიკებში, რომლებიც მეტ წილად საკატორღო ადგილებს წარმოადგენენ. აი, საიდან მომდინარეობს ეს ბურჟუაზიის ზიზღი ჩვენდამი, საბჭოთა კავშირისადმი, განგაში საბჭოების წითელი იმპერიალიზმისა და დემპინგის შესახებ. აი, საიდან მომდინარეობს მთელი ეს დაუცხრომელი შეიარაღება და ინტერვენციის გეგმები, აი, რით აიხსნება მთელი ჩვენი საბჭოთა სისტემის, მთელი ჩვენი საბჭოთა სინამდვილის გმობა და ცილისწამება. ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მუშა, ყველაზე ჩამორჩენილი მშრომელი მალე გაიგებს, რომ ყველა ეს ზღაპრები და ცილისწამება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნაკარნახევია მხოლოდ კლასობრივი სიძულვილით, იმ სურვილით, რომ მომზადებულ იქნას ნიადაგი საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ჩვენ კი ვივლით ჩვენი გზით, რაც არ უნდა ილაპარაკონ ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა, ვინაიდან ჩვენი გზა არის ერთად-ერთი სწორი გზა, რაც გამართლებულია პროლეტარული დიქტატურის 13 წლის არსებობით.

მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა განმტკიცდნენ ახალ ბაზაზე, კოლექტივიზაციისა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე და თვით სოფლის მეურნეობის უკვე დაწყებული ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. მუშათა კლასი, რომელიც დაქსაქსული და დასუსტებული, წელში გასწორდა და ბუმბერაზული ძალა შეიძინა. ჩვენი პარტია გაიზარდა, მან თავის რიგებში ჩააბა მილიონ ნახევარი მუშა. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი უარი ვთქვათ ამ გზაზე და გადავსინჯოთ იგი, თუნდა მისი რომელიმე ნაწილიც კი.

რა გვესაჭიროებოდა ჩვენ ამ გზაზე? ჩვენ გვესაჭიროებოდა, პირველ ყოვლისა, ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობა. აქ არის მრავალი უპარტიო ამხანაგი, ისინი ხანდახან საკითხებში ვერ ერკვევიან, თუ პარტია რატომ ებრძვის ასე სასტიკად იმ წევრებს, რომლებიც მერყეობას იჩენენ. პროლეტარული დიქტატურისა და კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ ჩვენი პარტიის სიწმინდე ყოველგვარ გადახრისაგან და მოვკვეთოთ მას ისინი, ვინც მიდის ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ვალდებულნი ვართ შევაკავშიროთ ჩვენი პარტია ლენინური პროგრამის ერთი აზრით გაგების საფუძველზე. უნდა დავიცვათ უსასტიკესი პარტიული დისციპლინა ჩვენს საკუთარ რიგებში. მაგრამ უნდა მოვითხოვოთ აგრეთვე, რომ მშრომელთა რიგებშიაც დაცულ იქნას შრომის მტკიცე სოციალისტური საბჭოთა დისციპლინა. ყოველგვარი დაუდევრობა და ყოველგვარი უთაურობა, რომელიც თავს იჩენს არა მარტო ცალკე პარტიულ ფენებში, არამედ კოლმეურნეობაში, საწარმოში, საამქროში, დაზგასთან და დაწესებულებაში საშიშია ჩვენი საქმისათვის, ისევე საშიშია, როგორც ცალკე კომუნისტების დაუდევრობა ჩვენი პარტიის რიგებში. ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს—სწორი პოლიტიკა გლეხთა მასებისა და მშრომელთა ძირითადი მასის მიმართ. ეს პოლიტიკა იცვლის თავის ფორმებს.

ჩვენ ამჟამად ვამბობთ, რომ ჩვენ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ კოლმეურნე გლეხთა მასები. ჩვენ უნდა ვეცადოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ამ დასაყრდენს წარმოადგენდეს არა მარტო გლეხობის ერთი მესამედი, არამედ დანარჩენი ორი მესამედიც, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობენ და იცდიან.

პროლეტარული დიქტატურის მეორე მხარეს, ლენინური პოლიტიკის მეორე მხარეს, წარმოადგენს ექსპლოატატორების დაუნდობელი შემუსვრა და დაუნდობელი შემუსვრა ყველა იმათი, ვინც ებრძვის მთელი ჩვენი საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გვავალებს ჩვენ: გადავათვალიეროთ ყოველგან—ხომ არ ვანდობთ ოპერატიულ ფუნქციებს ჩვენს აპარატში ისეთ ადამიანებს, რომლებიც ეჭვით უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას აღიარებენ მხოლოდ კბილთა ღრჭენით. შეიძლება ერთი ორი წლით დააგვიანა ჩვენი 5 წლიანი გეგმის გამარჯვება იმან, რომ ჩვენ დროზე ვერ აღვკვეთეთ მავნებლობა ჩვენი უაღრესად მნიშვნელოვანი სამეურნეო ორგანოებიდან. მაგრამ სწორედ ეს გვავალებს—უაღრესი ყურადღებით მოვეპყრათ მუშათა და გლეხთა წრიდან ჩვენი საკუთარი სოციალისტური კადრების შექმნისა და მომზადების ამოცანას. ამხ. სტალინმა თავის დროზე და სისწორით აღნიშნა, რომ მოწინავე ტექნიკის დაუფლებას ჩვენ უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დავამთავრებთ ჩვენი 5 წლიანი გეგმის საქმეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ 1932 წელს დავამთავრებთ 5 წლიან გეგმას და ამაში არავითარი ეჭვი არ გვეპარება. მაგრამ ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ჩვენ ბუმბერაზულ ნაბიჯს ვსდგამთ წინ იმისათვის, რომ შემდგომ 1933 წელს შეტევა უფრო დიდი ფრონტით ვაწარმოოთ მთელ იმ მშრომელთა მასასთან ერთად, რომელიც შემოვა კოლმეურნეობებში, და მთელ ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოსთან ერთად დავიწყოთ უფრო ფართო შეტევა ახალი 5 წლიანი გეგმის შესრულებისათვის, რომლითაც დამთავრდება სოციალიზმის მშენებლობა.

შემდეგ საჭიროა გულდასმით შევამოწმოთ ყველა ჩვენი დადგენილებანი. თქვენ იცით, რომ სწორედ ამისათვის მოვახდინეთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის ზედა ფენის გარდაქმნა, შევქმენით შესრულების კომისია. შესრულების კომისია საჭიროებს მხარის დაჭერას ქვევიდან, მილიონიანი მასების მხარის დაჭერას, რომ ქვედა საფეხურის კონტროლის ყველა ფორმები ნამდვილად მოგვარდეს ისე, როგორც საჭიროა. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და გავიმარჯვებთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, ჩვენი გამარჯვება იქნება ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების უაღრესად დაჩქარება. ჩვენი გამარჯვება სწყვეტს საკითხს ორი სისტემის შესახებ.

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუ განუხრელად ვივლით იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია ლენინის მიერ, იმ გზით, რომელსაც ანხორციელებს ჩვენი ბოლშევიკური პარტია, თუ გადაჭრით და განუხრელად ვიბრძოლებთ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ამ სწორი გზიდან ჩვენ გადაცდენას, განსაკუთრებით მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ, როგორც ეს დამტკიცდა უკანასკნელი ამბებით, პირდაპირ კულაკურ აგენტურას ჩვენი პარტიის რიგებში, მუშათა კლასის რიგებში, თუ ჩვენ შევძლებთ უფრო მეტად განვამტკიცოთ კავშირი გლეხობის ფართო მშრომელ მასებთან იმ მომენტიდან, როდესაც გაქრება განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის, თუ ჩვენ შევძლებთ სისწორით გავატაროთ ბოლომდე ნაციონალური პოლიტიკა! (ადს).

ამხ. ტერ-გაბრიელიანის სიტყვა

ამხანაგებო, სანამ მოკლედ დავახასიათებდე სომხეთის ხუთწლედის განხორციელებას, საჭიროდ მიმაჩნია რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა სომხეთი 10 წლის წინად. ეს იყო სიღატაკის უკანასკნელ დონემდე მიყვანილი ქვეყანა, მოკლებული ყოველგვარ მრეწველობას, სრულიად განადგურებული სასოფლო მეურნეობით და 50.000-მდე ობლად დარჩენილი ბავშვით.

10 წლის განმავლობაში მეურნეობა სავსებით იქნა აღდგენილი. კაპიტალური დაბანდებათა ხაზით ჩვენ ხუთწლედს უკვე 1931 წელს ვამთავრებთ, ე. ი. სამი წლის განმავლობაში. ხუთწლედით გათვალისწინებულ 264 მილიონ კაპიტალური დაბანდებიდან ჩვენ 1931 წელს ვხარჯავთ 256 მილიონ მანეთს. ყოფილ რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილ რაიონებში დიდძალი სახსრების დაბანდების შედეგად სახალხო მეურნეობა გაიზარდა 74 პროცენტით და მრეწველობის პროდუქცია—26 პროცენტით. 1931 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიაღწევს 56 პროცენტს და მრეწველობა—44 პროცენტს. შემდეგ წელში, ეს ურთიერთ დამოკიდებულება არსებითად შეიცვლება. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა სომხეთი 1932 წელს გადაიქცევა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. საკმარისია აღვნიშნოთ ერთი უდიდესი ფაქტორი—ჩვენი ენერგეტიული შესაძლებლობანი. 1934 წელში სომხეთის მოსახლეობის თვითეულ სულზე მოიწევს იმოდენა ელექტროენერგია, რამდენიც შვეციაში. რაც შეეხება სახალხო განათლებას, 1931 წელს ჩვენ სკოლებში ჩავაბამთ სასკოლო ჰასაკის ბავშვთა და ამ ჰასაკს გადაცილებულთა 95 პროცენტს, უმუშევრობას სომხეთში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირშიც, ადგილი არა აქვს, პირიქით, არის საშიშროება, რომ განვითარების სწრაფ ტემპებს და სომხეთის სახალხო მეურნეობაში ჩადებულ დიდძალ სახსრებთან დაკავშირებით, ჩვენ მუშა-ხელის ნაკლებობის წინაშე კი დავდგებით. ასეთია პასუხი ჩვენი მტრებისადმი, რომლებიც ლაყბობენ იმის შესახებ, რომ სომხეთი ახლა კინაღამ დამშეულიც კი იყოს.

ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ გვაჩნია სუსტი მხარეებიც. ესაა რკინის გზის და შარა გზის ტრანსპორტი. აქ ჩვენ ჩამორჩენილი ვართ საბინაო მშენებლობის დარგშიც, საკმარისია აღინიშნოს, რომ ერევანში—სომხეთის დედა-ქალაქში—ომამდე 25.000 მცხოვრები ითვლებოდა. ომისა და ყოველგვარი ნგრევის შემდეგ, როცა საბინაო მეურნეობა დაეცა, ამჟამად ჩვენ დედა ქალაქის მოსახლეობა 93.000-ს უდრის. აშკარაა, რომ ამ მძიმე საბინაო მდგომარეობიდან ჩვენ ვერავითარი ჩვეულებრივი დაბანდებანი ვერ გამოგვიყვანენ, თუ განსაკუთრებულ ზომებს არ მივმართეთ.

ამხ. ტერ-გაბრიელიანი აღნიშნავს, რომ მშენებლობის ერთ-ერთ მტკივან ადგილს სომხეთში წარმოადგენს კავშირგაბმულობა. ოლქების ლიკვიდაციის შემდეგ რაიონებთან კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის თხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობას—მიაქციოს ყურადღება კავშირგაბმულობის გაძლიერებას არა მარტო სომხეთში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც.

დასასრულ ამხ. ტერ-გაბრიელიანი აცხადებს: მე მსურს ამ ტრიბუნიდან განუცხადო ყველა ჩვენს მტრებს, განსაკუთრებით ევროპის იმპერიალისტებს, რომლებიც სომეხი ხალხის სისხლით ხშირად ეწეოდნენ სპეკულიაციას და რომლებიც ახლაც, მუშების და გლეხების მიერ რკინის ცოცხით მათი განდევნის შემდეგაც, მზად არიან სომეხთა სისხლით სპეკულიაცია გასწიონ, —მე მსურს განუცხადო მათ, რომ საბჭოთა სომხეთი ახლა მარტო არ არის. ის იმყოფება შრომის დიდი რესპუბლიკის სისტემაში, მას იცავს საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმია. ამ არმიის დახმარებით ჩვენ შევძლებთ გამანადგურებელი პასუხი გავსცეთ ყველა იმათ, ვინც შეეცდება სომხეთის მშრომელთა სისხლის კვლავ დაღვრას.

ამხ. მამულიას სიტყვა

(ა.-კ. წარმომადგენლობა მოსკოვში)

ამხანაგებო! უდიდესი მიღწევები 5 წლიანი გეგმის განვლილი ორი წლის განმავლობაში სავსებით ცხადია და არავისში ეჭვებს არ იწვევს. 1931 წლისათვის მიღებული ძირითადი დავალებებით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო სწრაფი ტემპები ყველა მის გადამწყვეტი მნიშვნელობის ძირითად დარგებში. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ამ ორი წლის განმავლობაში გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში განვლილი ორი წლის განმავლობაში ჩვენ 180 მილიონი მანეთით გავადიდეთ, ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის ზრდამ მიაღწია 51 პროცენტს, ნაცვლად 45 პროცენტისა მთელ კავშირში 1931 წლისათვის კაპიტალის დაბანდება ამიერ-კავკასიის მრეწველობაში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ნაკლები რაოდენობით არის გათვალისწინებული. კაპიტალის დაბანდება გაიზარდა: რუსეთის ს.ფ.ს. რ-ში 159 პროცენტით, უკრაინაში—160 პროცენტით, შუა აზიის რესპუბლიკებში—120 პროცენტით, ამიერ-კავკასიაში—110,5 პროცენტით. მართალია, ასეთი დაბალი მატება ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ჩვენ უკვე დავამთავრეთ აზნავთის—ამ უმნიშვნელოვანესი ჩვენი საწარმოს, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მრეწველობაში,—რეკონსტრუქცია ამერიკის უმაღლესი ტექნიკის საფუძველზე, საბჭოთა კავშირში ყველაზე შეგვიძლია ვიამაყოთ აზნავთით.

მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მრეწველობის მშენებლობის ჩამორჩენას ამიერ-კავკასიაში, რომელსაც დიდი სიმდიდრე მოეპოვება. ჩვენ მოგვეპოვება ნავთი, ნახშირი, რკინისა და სპილენძის მადანი. თუ აზნავთს არ ჩავთვლით, ჩვენ არა საკმარისი ყურადღება მივაქციეთ ნავთის სხვა საბადოებს აზერბეიჯანსა და საქართველოში. განსაკუთრებით ფართო პერსპექტივებს გვისახავს შირაქის ნავთის საბადო, სადაც უკვე ორი წელიწადია კვლევა-ძიებას სწარმოებს. დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება ჩვენში ქვა-ნახშირის საქმე. ნელი ტემპით მიმდინარეობს ტყვარჩელის მშენებლობა, სადაც მოიპოვება საუცხოვო ხარისხის საკოქსებელი ნახშირის დიდი მარაგი. უფრო ცუდ მდგომარეობაშია სპილენძის საქმე, რითაც მდიდარია ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა.

ამხ. მამულია ჩერდება ნაკლოვანებებზე და აღნიშნავს საგეოლოგო-საგამოკვლევო სამუშაოების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. 5 წლიანი გეგმით, ამიერ-კავკასიის საგეოლოგო-საგამოკვლევო სამუშაოთათვის 9.200.000 მანეთი, სრულებით არ არის საკმარისი. ადგილი აქვს დიდ დეფექტებს ჩვენს მშენებლობაში, პირველ ყოვლისა, პროექტების შედგენის საქმეში. ჩვენ ორი-სამი წლობით ვადგენთ შედარებით მცირე ობიექტების პროექტებს, მაგალითად: ზაზის კომბინატისა და ქარსახკალის ელექტროსადგურის პროექტებს. ამ ელექტროსადგურის პროექტს ორი წელიწადია ადგენს საკავშირო ორგანიზაცია „გეტ"-ი, მაგრამ პროექტი კიდევ არა გვაქვს. ასეთსავე მდგომარეობაშია ქაღალდის ფაბრიკის აგების საქმე. საჭიროა ბოლოს წესიერად იქნას დაყენებული პროექტების შედგენის საქმე საბჭოთა კავშირში.

დასასრულ, მამულია ჩერდება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტრანსპორტზე. იგი აღნიშნავს ბაქო-ჯულფის რკინის გზის დამთავრების საჭიროებას 1931 წელს და შავი ზღვის რკინის გზის დამთავრებას ოჩემჩირამდე ტყვარჩელის შტოის გაყვანით. ტრანსპორტის უქონლობის გამო, ჩვენ თავის დროზე ვერ შევუდექით ტყვარჩელის ნახშირის ექსპლოატაციას. იგი წინადადებას იძლევა აგრეთვე დაჩქარებულ იქნას ამ.-კავკასიის რკინის გზების ელექტროფიკაცია და გაძლიერდეს ურელსო გზების მშენებლობა.

ამიერ-კავკასიის სახელით ამხანაგი მამულია ესალმება საბჭოთა მთავრობის ყველა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი საკავშირო მშენებლობის უდიდესი ძირითადი ობიექტების უზრუნველყოფისაკენ, კერძოდ, ურალ-კუზნეცკის კომბინატის მშენებლობის უზრუნველყოფისაკენ (ადს).

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ

ამხ. იაკოვლევის მოხსენება საბჭოების მე-6 საკავშირო ყრილობაზე

ამხ. იაკოვლევი თავის მოხსენების დასაწყისში ამბობს, რომ რადგან საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ცალკე დარგებზე დაწვრილებით შეჩერდებიან თანამომხსენებლები, ამიტომ მის ამოცანას შეადგენს გააშუქოს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ზოგიერთი ძირითადი საკითხი.

მთავარ ყურადღებას ამხ. იაკოვლევი აქცევს შემდეგ საკითხებს: 1) საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შედეგები საბჭოების ყრილობამდე; 2) მთავარი დეფექტები მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში და მათი შემდგომი ამოცანები; 3) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ძირითადი დეფექტები და მშენებლობის ამოცანები ამ დარგში; 4) საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საკითხი.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა ჩვენ დიდი ტემპებით დავიწყეთ 1928 წლიდან, როცა დამთავრდა აღდგენის პერიოდი მრეწველობაში და შევუდექით ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. სწორედ მაშინ, 1928 წლის აპრილში, ამხ. სტალინმა შემოიტანა წინადადება მარცვლეულის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ იმ ანგარიშით, რომ ამ მეურნეობებს სამი-ოთხი წლის შემდეგ მოეცათ ასი მილიონი ფუთი სასაქონლო პური. ეს წინადადება პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო, და უმოკლეს ვადაში გაჩაღდა მუშაობა ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

შემდეგ იაკოვლევი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მარცვლეული მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობის იდეას კულაკები, ბურჟუაზიული მეცნიერები და მემარჯვენე ოპორტუნისტები. სწორედ მემარჯვენე გადახრის ხელმძღვანელი ამხ. ბუხარინი აცხადებდა მაშინ, რომ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მხოლოდ 5-10 წლის შემდეგ მოგვცემენ სასაქონლო პროდუქციას, ბურჟუაზიული სპეციალისტები ერთხმად ამტკიცებდნენ მარცვლეულის მსხვილი მეურნეობების სწრაფად მოწყობის სრულ უაზრობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათი ცნობილი წარმომადგენელი პროფ. დოიარენკო, რომელიც მავნებელი აღმოჩნდა, ამტკიცებდა, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ტემპები საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში განუხორციელებელია, რადგან წვრილ მეურნეობებსაც კი სასაქონლო პროდუქციის მოცემა შეუძლიათ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დღიდან მათი არსებობისა.

მტრების წინასწარმეტყველებანი უარყოფილ იქნა გამოცდილებით. ჯერ კიდევ 1930 წელს მარტო მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებმა მოგვცეს 101 მილიონი ფუთი პური, 1931 წელს საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოგვცენ 190-195 მილიონი ფუთი პური. ამგვარად უარჰყო სინამდვილემ უბადრუკ წინასწარმეტყველთა მტკიცებანი.

შემდეგ ამხ. იაკოვლევი ამბობს, თუ როგორ ვითარდებოდა 1930 წელს, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ქსელი. ტრესტ „სკოტოვოდში", რომელიც 1929 წლის დამლევს მოეწყო, ერთი წლის განმავლობაში პირუტყვის რიცხვმა 1.200 ათასამდე მიაღწია. 1930 წლის აპრილში, ამხ. სტალინის წინადადებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სვინოვოდ"-ს ტრესტის მოწყობის შესახებ. ერთი წლის ვადაში „სვინოვოდ"-მა მოაწყო 350 საბჭოთა მეურნეობა 218 ათასი ღორით. დადგენილება ერბო-კარაქის ტრესტის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა 1930 წლის ივლისში. ამავე წლის დამლევს მან მოაწყო 52 საბჭოთა მეურნეობა 50 ათასი პირუტყვით.

ამავე დროს იწყება მუშაობა ტექნიკური კულტურების მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად ბამბისა და სელის დარგში. არას ვამბობთ „სოიუზსახარ"-ზე, რომლის საბჭოთა მეურნეობანი ყველაზე უკეთესად მოწყობილი, საუკეთესო მოსავალს იძლევიან და ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ მეურნეობებს წარმოადგენენ.

ასეთია—ამბობს ამხ. იაკოვლევი,—მარცვლეულის, პირუტყვის და ტექნიკური კულტურების, ფაბრიკების გაშლის ტემპები ჩვენს ქვეყანაში. ის, რაც სრულიად წარმოუდგენელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, შესაძლებელი გახდა საბჭოთა ქვეყანაში. ეს არის მთავარი ფაქტი.

შემდეგ ამხ. იაკოვლევი შეჩერდა იმ ძირითად დეფექტებზე მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენ უნდა გავაჩაღოთ ბრძოლა, რათა ამ ბრძოლაში აღვზარდოთ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კადრები. მომხსენებელი ამ დეფექტებს ჰყოფს სამ ჯგუფად: მანქანების ცუდად გამოყენება, მოსავლის აკრეფის ცუდი ორგანიზაცია და აგროტექნიკის არასაკმაოდ შეთვისება.

ამხ. იაკოვლევი ამბობს: არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში ტრაქტორი მუშაობს 2.000-2.500 საათს წელიწადში, ნაცვლად 400-600 საათისა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. მაგრამ ეს მიეწერება ჩვენი საბჭოთა წყობილების უპირატესობას და ჩვენი მეურნეობების ფარგლებს, ვინაიდან ჩვენი სამეურნეო საწარმოები (საბჭოთა მეურნეობა) ათჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ეგრედწოდებული მსხვილი, ნამდვილად კი, ჩვენ საწარმოებთან შედარებით, წვრილი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტური საწარმოები. დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 1930 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ მთელი სატრაქტორო პარკის 87 პროცენტს კაპიტალური რემონტი დასჭირდა.

ამასთან დაკავშირებით ამხ. იაკოვლევი აღნიშნავს შემდეგი ამოცანების განსაკუთრებულ მნიშვნელობას:

1) სასტიკი ბრძოლა—მკაცრ დასჯამდე სასამართლოს წესით—მათ წინააღმდეგ, ვინც დანაშაულებრივად ეპყრობა ტრაქტორს, ვინც ამტვრევს ტრაქტორს, ვინც ტრაქტორს უყურებს, როგორც „სახაზინო ქონებას", რომლის მიმართაც ყველაფერი დასაშვებია.

2) ყოველ ტრაქტორზე მიმაგრებულ უნდა იქნას ორი-სამი ტრაქტორისტი, რომლებიც პასუხს აგებენ იმისათვის, თუ რა მდგომარეობაში ჩააბარებენ ისინი ტრაქტორს სასოფლო-სამეურნეო წლის დამთავრებისას.

3) სარემონტო სახელოსნოების მუშაობა ისევე უნდა მოეწყოს, როგორც ფაბრიკებშია მოწყობილი მუშაობა. დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როცა სარემონტო სახელოსნოები გაფაციცებით მუშაობენ თვენახევრის წინ თესვის დაწყებამდე, წლის დანარჩენი თვეების განმავლობაში კი მუშაობენ ზანტად და ხშირად სრულიადაც არ მუშაობენ.

4) ტრაქტორისტების მუდმივი კადრების შექმნა, რაც უეჭველად დაკავშირებულია მათი სწავლების ვადის გაგრძელებასთან და მათი კვალიფიკაციის აწევასთან.

„ჩვენ ეხლა უკვე ვიცით,—ამბობს ამხ. იაკოვლევი,—რამდენი ტრაქტორისტი დაგვჭირდება 1933 წელსაც კი. ჩვენ ერთი წლის განმავლობაში შეგვიძლია მოვამზადოთ საჭირო რაოდენობის და კვალიფიკაციის ტრაქტორისტები".

მოსავლის აკრეფის დეფექტების შესახებ ამხ. იაკოვლევი განსაკუთრებით აღნიშნავს იმას, რომ მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს კომბაინის მოხმარა. იყო ისეთი საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებშიაც ნამდვილი პანიკა გამოიწვია კომბაინმა. ამხ. იაკოვლევი მიუთითებს იმ საბჭოთა მეურნეობებზე, რომლებშიაც კომბაინი უქმად იყო გაჩერებული, ხოლო პურს მკიდნენ სამკალი და ძნის შესაკრავი მანქანებით. ამავე დროს არიან ისეთი საბჭოთა მეურნეობები, სადაც კომბაინი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა და ისეთ სარეკორდო შედეგებს იძლეოდა, რომლებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ—საშუალოდ ერთ კომბაინზე დღე-ღამეში მოდიოდა 33 ჰექტარი.

ბოლოს, ამხ. იაკოვლევი ჩერდება აგროტექნიკის საკითხებზე მარცვლეულის მეურნეობის დარგში.

საბჭოთა მეურნეობები წარმოიშვნენ იმ აგროტექნიკოსებთან ბრძოლაში, რომლებმაც თავიანთი სწავლა გამოიყენეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წინააღმდეგ და რომელთაც სურდათ ჩაეშალათ საბჭოთა მეურნეობების საქმე, მიუთითებდნენ რა ჩვენს ქვეყანაში მსხვილი მეურნეობის განუხორციელებლობაზე.

ამხ. იაკოვლევი მეტად მკაცრად აკრიტიკებს იმ მუშაკებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია მეურნეობის აშენება ერთი სტანდარტის მიხედვით (აგროტექნიკის მხრივ) ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, და დასცინის იმათ, რომელთაც სურთ ყველგან იქნეს ან წმინდათ დასვენებული მიწა, ან ყველგან უარყოფენ ბალახის თესვას.

რაიონის მიხედვით, აგროტექნიკისა და გლეხების გამოცდილების საფუძველზე საჭიროა მთელ რიგ თავისებურებათა შეტანა მეურნეობის კონსტრუქციაში. მხოლოდ მჩატე აზროვნებას შეიძლება მიეწეროს ყოველგვარი ცდა—გამოცხადებულ იქნას აგროტექნიკა „ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობად".

ამრიგად, ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევითვისოთ მეურნეობის გაძღოლის მთელი ტექნიკა.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია ამოცანა—დაამზადონ 1931 წელს 190-195 მილიონი ფუთი სასაქონლო პური, 1932 წელს—290 მილიონი ფუთი, 1933 წელს—400 მილიონი ფუთი.

ამ ციფრებისა და ფაქტების მიხედვით, ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ ლოზუნგის ტექნიკის დაუფლების შესახებ განსაკუთრებით საჭიროა სწორედ მსხვილი სასოფლო მეურნეობის დარგში, ვინაიდან აქ თუ არ დავეუფლეთ მანქანას, თუ მთლიანად არ დავეუფლეთ კომბაინს, თუ არ დავეუფლეთ აგროტექნიკას, თუ მოკლე ვადაში არ მოვამზადეთ ჩვენი სპეციალისტების კადრები, ისე, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ გამოვიყენებთ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მოიპოვება მარცვლეულის მსხვილ მეურნეობაში, ჩვენს საბჭოთა პირობებში.

თავისი მოხსენების შემდგომ ნაწილში, რომელიც უმთავრესად მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს ეხებოდა ამხ. იაკოვლევი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გადაუდებელ საკითხებს:

1) კადრების საკითხი. მომხსენებელი ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ ის მუშაობა კადრების დარგში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ.

ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში შევსძელით 25 ათასი საშუალო კვალიფიკაციის მუშაკის მომზადება. 1930 წლის შემოდგომაზე თითქმის ათჯერ გავადიდეთ ერთბაშად მიღება მეცხოველეობის ტექნიკუმებში, მაგრამ ეს მაინც არ კმარა, ვინაიდან ძველი კადრები სრულიად არ მოგვეპოვება მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობისათვის, ამიტომ საჭიროა კადრების სასწრაფოდ მომზადება. ამ ამოცანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ რესპუბლიკების რაიონებისათვის, სადაც მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების უდიდესი მშენებლობაა გაშლილი, („სკოტოვოდი" ყაზაკსტანშია) და სადაც აუცილებლად უნდა შევქმნათ კადრები ადგილობრივ ერებიდან.

2) მეორე საკითხი, რომელიც ცალკე გამოჰყო ამხ. იაკოვლევმა, არის პირუტყვის საკვებ ბაზის საკითხი. ამხ. იაკოვლევი დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ პირუტყვის საკვების რა რესურსები უნდა შეიქნას იმისათვის, რომ გამოვკვებოთ საბჭოთა მეურნეობებში არსებული ჯოგი. ლაპარაკია იმაზე, რომ 1933 წელს უნდა მომზადდეს ერთი მილიარდი ფუთი უხეში საკვები, 900 მილიონი ფუთი ნოყიერი საკვები (კარტოფილი, სილოსი), 100 მილიონი ფუთი ძლიერი საკვები, (ამასთან დასილოსებული საკვების მიმართ ეს მხოლოდ საჭირო საკვების მეხუთედ ნაწილს შეადგენს).

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი რაოდენობის საკვების აკრეფას, დაგროვებას და გადამუშავებას, დასჭირდება მანქანა.

3) წყლის საკითხი. მომხსენებელი განსაკუთრებით აღნიშნავს წყლის საკითხის თავისდროზე გადაჭრის მთელ მნიშვნელობას. წელს უკვე ითხრება მთელ საბჭოთა მეურნეობებში 20 ათასი ჭა. მომავალ წელს საჭირო იქნება დაახლოებით 100 ათასი ჭის ამოთხრა.

4) ამხ. იაკოვლევი შეჩერდა მექანიზაციის პროგრამაზე მეცხოველეობის დარგში. იგი ამბობს, რომ სრულიად უაზრო იქნება მსხვილი მეურნეობის აშენების იმედი უმექანიზაციოდ. არ შეიძლება რამდენიმე ასი მილიონი ფუთი ნოყიერი საკვების აკრეფა ისე, თუ არ გვექნება კარტოფილის და ჭარხლის ამოსაღები მანქანები. ამ საკვების დასამზადებლად საჭიროა მთელი რიგი მანქანები, დაწყებული კოპტონის, ძირეების და ჩალის საჭრელი მანქანებით, სილოსის მოსამზადებელი მანქანით და გათავებული საკვების მოსამზადებელი მანქანით, რომელიც გამოცდილ იქნა მრავალ საბჭოთა მეურნეობაში და რომელმაც საუცხოვო შედეგი მოგვცა. ბოლოს, წყლის მისაღებად საჭიროა მილები და ტუმბოები, განსაკუთრებით ქარის მამოძრავებლები, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ არ ექცევა ჯერჯერობით ყურადღება.

ამხ. იაკოვლევი განყოფილებას მეცხოველეობის შესახებ ამთავრებს საბჭოთა მეურნეობების დარაიონების გეგმით. იგი ცალკე გამოჰყოფს იმ რაიონებს, სადაც მდებარეობენ უმთავრესად პირუტყვის, ცხვრის, ღორის და მეწველი ძროხების ფაბრიკები, და ტექნიკური კულტურების რაიონებს.

იმ განყოფილებას, რომელიც შეეხება საბჭოთა მეურნეობების დეფექტებს და ამ მეურნეობების ახალ ამოცანებს, ამხ. იაკოვლევი ამთავრებს საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამოცანების განსაზღვრით... (გამოტოვებულია). ეს ნიშნავს იმას, რომ ისეთი დირექტორი, რომელსაც თავი მარტო მთესველად მიაჩნია, ე. ი. ისეთი დირექტორი, რომელმაც თესვა იცის და რომელიც აკრეფასა და პროდუქციის ჩაბარებაზე არ ზრუნავს,—ასეთი დირექტორი უვარგისი დირექტორია. ამჟამად, საერთოდ, საბჭოთა მეურნეობის და, კერძოდ, მისი დირექტორის მუშაობის საზომს წარმოადგენს არა ის—რამდენი ჰექტარი დათესა და რამდენი პირუტყვი მოამრავლა, არამედ ის—რა შედეგი მოჰყვა ამ თესვას, რამდენი გადაეცა სახელმწიფოს, როგორ შესრულდა სამრეწველო-საფინანსო გეგმა, როგორია პროდუქციის თვითღირებულება და როგორია მისი ღირსება. პროდუქციის ჩაბარების საკითხი ძირითადი საკითხია ყველა საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამას ამხ. იაკოვლევმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმიტომ, რომ წელს ცოტა არ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა მეურნეობებმა მოსავლის აკრეფას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს. მათ ვერ გაიგეს, რომ მოსავლის აკრება წარმოადგენს მთელი სას.-სამეურნეო კამპანიის ყველაზე ვიწრო, ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე გადამწყვეტ მომენტს.

ბოლოს, ამხ. იაკოვლევი შეჩერდა საბჭოთა მეურნეობების როლზე ჩვენს ქვეყანაში.

იგი დაწვრილებით შეეხო იმას, თუ რა დახმარებას უწევენ გლეხებს საბჭოთა მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობების როლს, როგორც არა მარტო სასაქონლო ფაბრიკების, არამედ მსხვილი მეურნეობის ნიმუშების, ახალი ტექნიკის მაგალითების როლს, რომელთა საფუძველზედაც გლეხობა სწავლობს მსხვილი მეურნეობის უპირატესობას.

საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენს ისეთ საწარმოს, რომლის გამოცდილების საფუძველზედაც გლეხთა მასა ამოწმებს მსხვილი მეურნეობის უპირატესობას.

სწორედ ამიტომ,—ამბობს ამხ. იაკოვლევი,—საბჭოთა მეურნეობების რაიონებში ჩვენ კოლექტივიზაციის ყველაზე დიდი პროცენტი გვაქვს.

ამასთან ერთად ამხ. იაკოვლევი მკაცრად აკრიტიკებს „მემარცხენე" „თეორეტიკოსებს"; მათ არ ესმით მთელი ის განსხვავება, რომელიც განვითარების ეხლანდელ საფეხურზე არსებობს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. მათ წამოაყენეს საბჭოთა მეურნეობებისათვის კოლმეურნეობების დაქვემდებარების იდეა.

ამხ. იაკოვლევს მოჰყავს ორი შემთხვევა ყაზაკსტანში, როდესაც საბჭოთა მეურნეობამ თავის შემადგენლობაში იწყო მახლობელი კოლმეურნეობების „მიღება". ასეთი საქციელი,—ამბობს ამხ. იაკოვლევი,—არის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ხაზის დარღვევა და ანტიბოლშევიკური საქციელი. ბოლო უნდა მოეღოს ასეთი საქციელის თვით შესაძლებლობასაც კი. ამასთან დაკავშირებით, ამხ. იაკოვლევმა გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ მე-16 პარტიული ყრილობის დადგენილებამ გაჰკიცხა ასეთი მისწრაფება—კოლმეურნეობების დაქვემდებარება საბჭოთა მეურნეობებისათვის. მან წაიკითხა მისი მოხსენების გამო შედგენილი თეზისების ნაწილი, სადაც გადაჭრით გაკიცხულია ამგვარი ანტიბოლშევიკური საქციელი.

ჩვენ შევქმენით სასოფლო-სამეურნეო წარმოების დედამიწაზე არ ნახული ტიპი, დავანახვეთ ინდივიდუალურ გლეხებს მსხვილი მეურნეობის უპირატესობა და ამით გავუადვილეთ მათ კოლექტივიზაციის გზაზე დადგომა. საბჭოთა მეურნეობები ვითარდებოდნენ და მაგრდებოდნენ კულაკებთან, ბიუროკრატებთან, მავნებლებთან და მემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლაში.

ამხ. იაკოვლევმა თავის მოხსენების დასასრულს რწმენა გამოსთქვა, რომ კოლმეურნე გლეხები, ღარიბი და საშუალო გლეხები შემდეგში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას უფრო მეტის ენერგიით დაუჭერენ მხარს, ვიდრე დღემდე უჭერდნენ, უფრო გაბედულად უკუაგდებენ კულაკებს, ბიუროკრატებს, მავნებლებს და მემარჯვენე ოპორტუნისტებს (ადს).

მზადება წითელი არმიის ქართული ნაწილების ათი წლის თავისათვის

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს და უჯრედების მდივნებს

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების არსებობის ათი წლისთავის (30 მარტი) დღესასწაულთან დაკავშირებით, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. მოეწყოს ყველა საწარმოებში, ქარხნებში, რაიონულ ცენტრებში და სოფლებში პარტუჯრედების და კომკავშირის კრებები მუშების, კოლმეურნეების და ყველა მშრომელთა ფართო მონაწილეობით; ამ კრებებზე დაისვას საკითხი საქართველოს მუშების და გლეხების შეიარაღებული ბრძოლის შესახებ მენშევიკურ მთავრობასთან (აჯანყებები დუშეთში, საჩხერეში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, ოსეთში, პარტიზანთა მოქმედება ლეჩხუმში და სხვ.) და ამიერ-კავკასიაში გაბატონებულ ინგლისელ და გერმანელ იმპერიალისტებთან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა წითელი არმიის ქართულ ნაწილებს.

2. ათი წლის თავის დღესასწაულს უნდა დაუკავშირდეს ომის საფრთხის გაძლიერებას, მენშევიკების „საკავშირო ბიუროს" და მეორე ინტერნაციონალის კონტრ-რევოლუციონური მუშაობის გამოაშკარავებას და უნდა განიმარტოს, თუ როგორ ამზადებენ ქართველი მენშევიკები იმპერიალისტებთან ერთად ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

3. ათი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარდეს მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის და მის ქართულ ნაწილთა, როგორც მსოფლიო ოქტომბრისთვის მებრძოლთა, ინტერნაციონალური ამოცანების პოპულიარიზაცია.

4. განემარტოს მშრომელთ, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართული ნაწილების არსებობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარების საუკეთესო ნიმუშია. ქართულ ნაწილებში შეიარაღებულ ქართველ მშრომელებთან ერთად არიან საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა მშრომელნი, რომელნიც მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთლიან მჭიდრო-ინტერნაციონალურ ოჯახს შეადგენენ (ოსური, სომხური, თურქული ასეულები, გერმანული, სვანური და აჭარელი ჯგუფები, აფხაზური ესკადრონი).

5. ფართოდ გაეცნოს მშრომელთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის დანომრილ და ქართულ ნაწილების უდიდესი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

6. ათი წლისთავთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაძლიერდეს ყურადღება როგორც ქართულ, ისე დანომრილ ნაწილების წითელ ყაზარმისა და წითელარმიელებისადმი, კიდევ უფრო მეტი სიყვარულით და მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ მათ და მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ ისინი ფაბრიკებს, ქარხნებსა და კოლმეურნეობებს.

7. ყველა სოფლებში უნდა ჩატარდეს ცვალებადელთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულ წითელ-არმიელთა სპეციალური კრებები იმ მიზნით, რომ ისინი კიდევ უფრო ფართოდ იქნან ჩაბმულნი კოლმეურნეობებში და აქტიურ მუშაობაში.

საქ. კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და რაიონულმა აღმასკომებმა, იმ რაიონებში, სადაც ხდება ტერიტორიალურ ნაწილების შეკრება, უნდა გააძლიერონ ყურადღება შეკრებათაშორისო მუშაობისადმი (სამხედრო კუთხეების და სასწავლო პუნქტების მოწყობა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სხვ.).

1931 წლის ბიუჯეტში შეტანილ იქნას სპეციალური სახსრები შეკრებათაშორისო მუშაობის უზრუნველსაყოფად.

8. მთელი მუშაობა ათი წლისთავის ჩასატარებლად წარმოებულ უნდა იქნას წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის ოჯახებისთვის რეალური დახმარების გაწევის თვალსაზრისით.

9. 25-დან 30 მარტამდე ყველა კლუბებში, ლენინის კუთხეებში, წითელ კუთხეებში და სოფლის სამკითხველოებში უნდა ჩატარდეს საუბრები და საზეიმო კრებები.

10. წითელი არმიის ქართული ნაწილების ათი წლისთავს მიეცეს მასიური პოლიტიკური კამპანიის ხასიათი, დარაზმულ იქნას საქართველოს მშრომელთა ფართო მასების ყურადღება საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცების, ქართული დივიზიის ნაწილების საბრძოლო მომზადების გაძლიერების, თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის გამოცოცხლების და მშრომელთა საუკეთესო შვილების მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო სკოლებში გაგზავნის საკითხების გარშემო.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი:
ს. მამულია.

სასურსათო წიგნაკების გამოცვლა დამთავრდება პირველ აპრილამდე

მთელ ამიერ-კავკასიაში დაიწყო მოსახლეობის აღწერა და მასთან ერთად სამზადისი სასურსათო წიგნაკების შესაცვლელად. მოსახლეობის აღმწერი ამიერ-კავკასიის შტაბის ცნობით, აღწერა ამიერ-კავკასიაში უნდა დამთავრდეს 25 მარტამდე. ახალი სასურსათო წიგნაკებით აღწერის კამპანია უზრუნველყოფილია. სასურსათო წიგნაკების გამოცვლა დამთავრდება პირველი აპრილისათვის. წიგნაკების გადაცვლა იწარმოებს საბინაო ამხანაგობების საშუალებით წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით და არ გამოიწვევს არავითარ რიგებს. ახალი სასურსათო წიგნაკები ხმარებაში იქნება შემოღებული ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე. (ადს).

მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი საქართველოში

(ინსტიტუტის საზეიმო გახსნაზე)

10 მარტს მოეწყო საქართველოს მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის საზეიმო გახსნა.

ვრცელი მოხსენებით, რომელიც 2 ნახ. საათს გაგრძელდა, გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ფილიპე მახარაძე. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო მარქსიზმის რაობასა და მის ისტორიას. მან აღნიშნა, რომ მარქსიზმი წარმოადგენს კაცობრიობის შემეცნების მთელი განვითარების სინტეზს და რომ იგი ამავე დროს მუშათა სოციალისტური მოძრაობის პრაქტიკიდან წარმოიშვა.

შემდეგ ამხ. მახარაძე დაწვრილებით ანალიზს უკეთებს მარქსიზმის განვითარების გზებს დასავლეთ ევროპაში და რუსეთში. იგი ფარდას ხდის ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების, როგორც იმპერიალიზმის ლაქიების, ნამდვილ სოციალურ ბუნებას და უჩვენებს აუდიტორიას თუ როგორ აყალბებენ ეს გამყიდველები მარქსიზმის რევოლუციონურ სულს.

ამხ. მახარაძე ხაზს უსვამს დასავლეთში მარქსიზმის განვითარების ორ ეტაპს—პირველი ინტერნაციონალის ეტაპს და მეორე ინტერნაციონალის ეტაპს. პირველი ინტერნაციონალი, რომელსაც უშუალოდ მარქსი და ენგელსი ხელმძღვანელობდენ, რევოლუციონური მარქსიზმის პოზიციებზე იდგა, მეორე ინტერნაციონალი კი ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის ჭაობში ჩაეშვა. აქ მომხსენებელმა საფუძვლიანად დაახასიათა ოპორტუნიზმის სოციალური ბაზა დასავლეთში.

შეეხო რა მარქსიზმის განვითარებას რუსეთში, ამხ. მახარაძემ აღნიშნა, რომ შექმნილ ისტორიული პირობების მეოხებით რუსეთის მუშათა კლასს წილად ხვდა გამხდარიყო მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის ავანგარდათ. ამიტომაც რუსეთის მუშათა მოძრაობის ბელადი ვ. ი. ლენინი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი შეიქნა. ლენინი აღმოჩნდა მარქსის იმ ერთად ერთ მიმდევრად, რომელმაც, არა მარტო შეითვისა თავის დიდი მასწავლებლების დიდი იდეები, არამედ შემდეგ განავითარა, გაალრმავა მარქსიზმი და აიყვანა იგი ახალ უმაღლეს საფეხურზე. ლენინმა მიიღო მარქსიზმი არა როგორც დოგმა, არამედ როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. მან მსოფლიო ოპორტუნიზმის სასტიკ, გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად მოგვცა კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის—იმპერიალიზმის გენიალური ანალიზი და დაამუშავა პროლეტარიატის დიქტატურისა და ნაციონალურ-კოლონიალური მოძრაობის თეორია. როდესაც ვლაპარაკობთ ლენინიზმზე, [illegible] იგი მარქსიზმისათვის დაგვეპირისპირებია. „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი" (სტალინი).

ამხ. მახარაძე საფუძვლიანად ეხება მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებას რევოლუციის შემდეგ, სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპს და მსოფლიო მუშათა მოძრაობის თანამედროვე ამოცანებს. იგი ხაზს უსვამს კლასთა ბრძოლის გამწვავებასა და კონტრ-რევოლუციონური ელემენტების გამოცოცხლებას რეკონსტრუქტიულ პერიოდში, რასაც მოწმობს „სამრეწველო პარტიის" და მენშევიკების „საკავშირო ბიურო"-ს პროცესები, კონდრატიევშჩინა და სხვ.

ორ ფრონტზე ბრძოლა იდეოლოგიის სფეროში მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული ორ ფრონტზე ბრძოლასთან პოლიტიკაში. რევოლუციონური თეორიისა და რევოლუციონური პრაქტიკის განუყრელი მთლიანობა—მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველია.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა და პროპაგანდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჰპოულობს მავნებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში. მომხსენებელი ეხება მავნებლობას მეცნიერებაში, იგი ხაზს უსვამს ბურჟუაზიული მეცნიერების არა ობიექტიურ, ტენდენციურ-კლასობრივ ხასიათს და აღნიშნავს, რომ მავნებლები ცდილობდნენ „ობიექტივიზმის" საფარ ქვეშ გაეპარებიათ თავიანთი კონტრ-რევოლუციონური იდეოლოგია.

თავის მოხსენებას ამხ. მახარაძე ამთავრებს იმ ამოცანების ჩამოთვლით, რომელიც სდგას საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის წინაშე. „პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების მეთოდოლოგიურ საფუძვლების გამოაშკარავება და დაუზოგავი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიის, კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკის (ნაშთების) და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ; მთლიანი მარქსისტულ ლენინური მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა საქართველოს ყველა დაწესებულებებისადმი, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხების დამუშავება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე; მარქსისტულ-მეცნიერულ კადრების მომზადება მუშებისა და კოლმეურნეთა წრიდან; შემდგომი ბრძოლა კონტრ-რევოლუციონურ რამზინშჩინისა, კონდრატიევშჩინის და სხვ. წინააღმდეგ, ბრძოლა ნაციონალიზმთან და ინტერნაციონალიზმის პროპაგანდა—აი ინსტიტუტის ძირითადი ამოცანები—ამთავრებს მოხსენებას ამხ. მახარაძე.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ: საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის სახელით ამხ. კოტე გორდელაძე, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. ის. იზმაილოვი, სტალინის სახელობის ქარხნის მუშების სახელით—ამხ. კარტოზია (მუშა), საფინ. კოოპ. ინსტიტუტიდან—ამხ. ალ. ერქომაიშვილი, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკის" რედაქციიდან ამხ. კილეროგი. საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სახელით პროფ. ბერიტაშვილი, პედაგ. ინსტიტუტის სახელით—ამხ. ვაშაყმაძე, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან—ამხ. ბრეგვაძე, სამეცნიერო დაწესებულების სახელით—დოც. ნიორაძე, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტების სახელით ამხ.—მშვენიერაძე, ამიერ-კავკასიის [illegible] ინსტიტუტის სახელით—ამხ. გიგენავა, „26" კომუნარების სახელობის ქარხნის სახელით—ამხ. ჩოდრიშვილი (მუშა). ინსტიტუტმა მიიღო წერილობითი მისალმებანი და დეპეშები, მათ შორის საკავშირო კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმისაგან, უკრაინის განათლების კომისარიატისაგან—უკრაინის მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტიდან და სხვ.

თავის სიტყვაში ამხ. კ. გორდელაძე შეეხო ინსტიტუტის წინაშე დასმულ იმ ამოცანებს, რომელთაც სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი დღის წესრიგში უყენებს მეცნიერებას, როგორიცაა მარქსისტულ-ლენინური კადრების მომზადება მშრომელ მასებიდან, ჩვენი მშენებლობის პრაქტიკული პრობლემების მეცნიერული დამუშავება და სხვ. საქართველოს კ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი—განაცხადა ამხ. გორდელაძემ—სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს, რომელიც უნდა გახდეს პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლად იდეოლოგიის ყველა დარგში.

ამხ. იზმაილოვმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებმაც უნდა შექმნან ასეთი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, რაც შესაძლებელს გახდის საკ. კომუნ. აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის გახსნას და ამით ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ კულტურულ თანამშრომლობას.

პროფ. ბერიტაშვილმა და დოც. ნიორაძემ მიუთითეს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მეცნიერების საუკეთესო ნაწილი გარკვეულად დადგა დიალექტიურ მატერიალიზმის ნიადაგზე და აღუთქვამენ ინსტიტუტს, რომ იმუშავებენ მისი ხელმძღვანელობით.

ოვაციებით შეხვდა აუდიტორია მუშა კარტოზიას მოხდენილ სიტყვას. ორატორმა განაცხადა, რომ მუშებს სავსებით შეგნებული აქვთ მეცნიერების უდიდესი როლი სოციალიზმის აშენებაში, მაგრამ ამავე დროს იციან, რომ მეცნიერება კლასიური ხასიათისაა, რომ საჭიროა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ძირიანფესვიანად დანგრევა. მეცნიერების ყველა დარგის მარქსისტულ ლენინური დამუშავება. მუშები მოითხოვენ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისაგან ბოლშევიკურ ბრძოლას კონტრ-რევოლუციონური იდეოლოგიის წინააღმდეგ, მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ და მასთან ერთად მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერულ კადრების მომზადებას.

ამხ. ვაშაყმაძემ დასვა საკითხი რეკონსტრუქციის ხანაში „აზრების და თავების რეკონსტრუქციის" შესახებ. მან მიუთითა მეცნიერულ მუშაკებს, რომ ვინც ვერ შესძლებს ან არ მოისურვებს თავის იდეოლოგიურ ხაზის გადასინჯვას, ის ვერ გამოდგება სოციალიზმის მშენებლობაში. მისალმებებში საპასუხო სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. კ. შარია. ამხ. შარიამ განაცხადა, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა კისრულობს განახორციელოს მის წინაშე პარტიის და ხელისუფლების მიერ დასმული ამოცანები და გამოსთქვა იმედი, რომ მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი გადაიქცევა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის ცხოვრებაში გატარების მტკიცე საფუძვლად. იდეოლოგიის ყველა დარგში ინსტიტუტი—განაცხადა ამხ. შარიამ—გაუწევს ხელმძღვანელობას და დახმარებას ყველა იმ მეცნიერულ მუშაკებს, რომლებიც გულახდილად დადგებიან მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე და იმუშავებენ სოციალიზმის მშენებლობის დარგში.

ამხ. მოსე გოგიბერიძე აცნობს კრებას ინსტიტუტის სტრუქტურას და მუშაობის გეგმას და აქვეყნებს ინსტიტუტის ახლად არჩეულ ნამდვილ წევრების სიას. ინსტიტუტის ნამდვილ წევრებად არჩეული არიან: 1) ივანე ბერიტაშვილი (ბიოლოგია), 2) ალექსანდრე ჯავახიშვილი (გეოგრაფია), 3) ნიკო მუსხელიშვილი (მათემატიკა), 4) აკადემიკოსი ლ. პისარჟევსკი (ქიმია), 5) ალ. ჯანელიძე (გეოლოგია), 6) თვალჭრელიძე (მინერალოგია), 7) რ. აგამალიანი (ეკონ. მეცნიერება), 8) გიგო ხათაძე (ისტორია), 9) მოსე გოგიბერიძე (ფილოსოფია), 10) ნიკო კიკნაძე (პუბლიცისტიკა), 11) გ. თავზარაშვილი (პედაგოგიკა), 12) გიორგი ვაწაძე (ბიოლოგია), 13) მიხ. კილეროგი (ისტორია). 14) ისმ. იზმაილოვი (ეკონ. მეცნ.), 15) გრ. კვიცარიძე (ეკონ. მეცნ.).

თბილისის საბჭოს სექციები

შეუდგნენ მუშაობას

11 მარტს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების პირველი საორგანიზაციო სხდომები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სექციის სხდომაზე წევრთა დასწრება არ იყო დამაკმაყოფილებელი. წევრთა ერთი ნაწილი თავის მოვალეობას სათანადოთ ვერ ეპყრობა. ამიტომ გადაწყდა, ის წევრები, რომელნიც სექციების მუშაობაში არ გამოიჩენენ უნარს და სხდომებს არ დესწრებიან, გაწვეულნი იქნებიან უკან და მათ მაგიერ აირჩევენ აქტიურ დეპუტატებს.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა:

მუშათა მომარაგების სექცია

სექციამ დაამტკიცა თავის დებულება და აირჩია ბიურო. ბიუროს თავმჯდომარედ გამოყოფილია ამხ. მ. ცინცაძე. მუშათა მომარაგების სექცია სოც. შეჯიბრებაში გაჰყვა სასოფლო-სამეურნეო სექციას და შეფობა აიღო სოფ. მარტყოფზე.

მ.-გ. ინსპექციის სექცია

საორგანიზაციო საკითხების განხილვის შემდეგ მ.-გ. ინსპექციის სექციამ აირჩია ხელმძღვანელი ბიურო, რომლის თავმჯდომარედ გამოყოფილია ამხ. ბ. ალადაძე. სექციამ სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია საფინანსო სექცია და სოფლად სოციალისტური მშენებლობის გაძლიერების მიზნით, შეფობა აიღო სოფ. ლილოზე.

სატრანსპორტო სექცია

წელს პირველად ჩამოყალიბდა სატრანსპორტო სექცია. ამ სექციას დიდი მუშაობა მოუხდება ტრანსპორტის მოწესრიგებისათვის. გამოყოფილი იქნა 4 დარგობრივი ჯგუფი: ტრამვაის, რკინის გზის, ავტო-გარაჟის და კადრების. სექციამ შეფობა აიღო სოფ. თელეთზე და კუმისზე, სადაც ახლო ხანში მოეწყობა სექციის წევრთა ექსკურსია. მუშაობის უკეთ წარმოების მიზნით, იმავე სექციამ სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია კომუნალური სექცია. ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ს. დოლიძე.

სოცყოფითი და შრომის დაცვის სექცია

სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ჯანმრთელობის სექცია. არჩეული იქნა ბიურო ამხ. გ. სიხარულიძის თავმჯდომარეობით. სექციამ შეფობა აიღო სოფ. მამკოდაზე. სექცია დაყოფილია ჯგუფებად.

სამრეწველო სექცია

სამრეწველო სექციამ განიხილა და დაამტკიცა თავის მოქმედების დებულება. შემდეგ გამოყოფილი იქნა ჯგუფები დარგების მიხედვით და აირჩიეს ბიურო 9 წევრის შემადგენლობით. ბიუროს თავმჯდომარედ გამოყოფილია ამხ. ტ. ხარაზიანი.

სექციამ სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია განათლების სექცია და აიღო შეფობა ავჭალაზე.

სას.-სამეურნეო სექცია

შეფობა აიღო დიღომზე და სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია მუშათა-მომარაგების სექცია. შემდეგ არჩეული იქნა ბიურო და გამოჰყვეს ჯგუფები.

სამხედრო სექცია

სამხედრო სექცია პირველად დაარსდა. ამ სექციის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის თავდაცვითი უნარიანობის ამაღლებას და ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველებას. ბიუროში შედის 7 კაცი. თავმჯდომარედ გამოყოფილია ამხ. ი. ხელაშვილი.

საქ. ს. მ. უ. საბჭოს აპარატის წმენდა

27 თებერვალს, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. არუთინოვის მოკლე საინფორმაციო მოხსენების შემდეგ დაიწყო საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თანამშრომელთა წმენდა. სანამ გამწმენდი კომისია შეუდგებოდა თავის მუშაობას, მოსმენილი იქნა ამხ. საბაშვილის მოხსენება და მუშათა ბრიგადის წევრების თანამოხსენებები. საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობის შესახებ.

მუშათა ბრიგადის წევრების თანამოხსენებიდან გამოირკვა, რომ საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სექტორებში თანამშრომლებს შორის არ არის განაწილებული შრომა, ქაღალდების გადაწყვეტას ბიუროკრატიული ხასიათი აქვს, ხშირად კონფლიქტებს აქვს ადგილი ტრესტებთან, ზოგიერთ სექტორებში ზედმეტი შტატია, არ აქვთ მუშაობის გეგმები, არ წარმოებს მუშათა გამომგონებლობის სწორი აღრიცხვა, სექტორები ვერ ხელმძღვანელობენ ავტონომიურ რესპუბლიკებს, არ არის მოწესრიგებული მუშათა მომარაგების საქმე, ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატება თანამშრომლების სისტემატიურად დაგვიანებაში, გაცდენებში, ზოგიერთი სექტორები მთლიანად არ ასრულებენ ზემდგომ ორგანოების დირექტივებს, არ სწარმოებს კადრების გეგმიანად მომზადება, ზოგიერთი სექტორები დროულად არ აძლევენ ტრესტებს დირექტივებს და სხვ.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ გამოიძახეს მთავარი ბუღალტერი გიორგი კანდელაკი. იგი თანამშრომლებს თავის ნებაზე უმატებს ჯამაგირს; იყო შემთხვევა, როდესაც მუშგლეხინმა სმუსი-ს თანამშრომელთა შტატი შეამცირა 20 პროც., ხოლო მოქალ. კანდელაკმა კი შემცირებულ პირების ჯამაგირი მიუმატა დანარჩენ თანამშრომლებს, აგრეთვე თითოეულს 100 მან. მოიმატა. სექტორში არ აქვს მუშაობის გეგმა, თანამშრომლებს შორის არ არის განაწილებული შრომა, კომკავშირელ თანამშრომლებთან არამეგობრულ დამოკიდებულებაშია. იყო შემთხვევა, როდესაც მან მოხსნა ბუღალტერი ხიზანაშვილი და მის ალაგზე პროტექციით მიიღო მოქ. ჩხარტიშვილი. მას ახასიათებენ, როგორც ბიუროკრატს და სუსტ ხელმძღვანელს.

სიმონ ჩხეიძე მუშაობს იურისკონსულტად. მას არა აქვს მუშაობის გეგმა, ტრესტებთან არაა მტკიცედ დაკავშირებული, იგი არ ასრულებს გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებებს. მაგ., იყო შემთხვევა, როდესაც 25 ნოემბერს პრეზიდიუმმა მას დაავალა შეედგინა ყველა სექტორებისათვის ინსტრუქციები და ლონისძიებანი, მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქცია.

ამით დამთავრდა გამწმენდი კომისიის 3 სხდომა. წმენდა გრძელდება.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მომუშავე კადრების და საჭაპანზიდვო მუშა-ძალის შეკრეფისა და ამ კადრებით და მუშა ძალით სამეურნეო ორგანოების შევსების შესახებ

„მუშა-ძალის მიზიდვის წესის შესახებ" გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის მარტის 3-ის თარიღის და 82 №-ის დადგენილების საფუძველზე — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და განსაზოგადოებული სექტორის სხვა სამეურნეო ორგანოებს დაუყოვნებლივ მოაწყონ,—შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების წესისამებრ,—მომუშავე კადრებისა და საჭაპანზიდვო მუშა-ძალის შეკრეფა და ამ კადრებით და მუშა-ძალით თავის ქვემდებარე საწარმოთა და მშენებლობათა შევსება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს სასწრაფო წესით განსაზღვროს მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის შეკრეფის ადგილები ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ამ უკანასკნელთა განცხადების მიხედვით თანაც უზრუნველჰყოს ყველა დაკვრითი მშენებლობის სრული დაკმაყოფილება რიგს გარეშე და გამოარკვიოს ის წყარო რითაც დაფარულ უნდა იქნეს მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის დეფიციტი

დაევალოს განსაზოგადოებული სექტორის სამეურნეო ორგანოებს 5 დღის ვადაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, წარუდგინონ საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს განცხადებანი იმ მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის შესახებ, რაც მათთვის საჭიროა 1931 სამეურნეო წელს.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან, მომარაგების სახალხო კომისარიატთან და განსაზოგადოებული სექტორის სხვა მსხვილ ორგანიზაციებთან ერთად, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამეურნეო მუშაობას ეწევიან,—განსაზღვროს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ერთგვაროვან სამუშაოთა ერთნაირი შეფასება და შეიმუშაოს ლონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს მუშა-ძალის დენადობა და საუწყებათაშორისო კონკურენცია ამ მუშა-ძალის შეკრეფის საქმეში.

4. პასუხისმგებლობა მუშა-ძალის არა თავის დროზე შეკრეფისა, მისი არასწორი გამოყენებისა და აგრეთვე საწარმოში, სამუშაოში და მშენებლობაში იმაზე მეტი მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის დაგროვებისათვის, რაც გეგმით გათვალისწინებულია,—დაეკისრება სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ბ. ბობია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. მესხი.

1931 წ. მარტის 13
თბილისი.

ვიბრძვით რიონჰესის ვადამდე დამთავრებისათვის

ოზურგეთი, 13 მარტი (საკ. კორ.) კომკავშირის ოზურგეთის რაიკომი შეუდგა კომკავშირელთა მობილიზაციას. რიონჰესის სამუშაოებზე გასაგზავნათ. დღეს რიონჰესში გაიგზავნა 34 კომკავშირელი. ენთუზიაზმი დიდია. საზეიმო სხდომაზე მობილიზაციაქმნილ კომკავშირლებმა ფიცი დასდეს, რომ აქტიურად ჩაებმებიან სოც. შეჯიბრებასა და დამკვრელობაში და ბოლშევიკურად იბრძოლებენ რიონჰესის ვადამდე დამთავრებისათვის.

მუშა-ხელის თავმოყრა რიონჰესისათვის გრძელდება.

ტ. აცანელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება კატეგორიულ წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, დღეს, დილის 11 საათზე გამოცხადდენ ცეკაში (ოთახი № 49) ამხ. ავეტისოვთან, ამხ. იოსებ გელაშვილი (ტრამვაი), ევსტაფი მალრაძე („გრუზდორტრანს"-ი), სერაფიონ ლოლიძე (საქ. სახდაზღვევა), დიმიტრი გურგენიძე (მემინდვრეობის კავშირი), მათე ხუჭუა (ს.ს.მ.უ. საბჭოს საამშ. მასალათა ტრესტი), ა. თენეიშვილი (კომუნ. ბანკი), ალექსანდრე აფაქიძე (თბ. ალმასკომი), მილოსი ჩხიკვიშვილი (წით. ჯვრის კომიტეტი), აბგარ დავრიშევი (მშენებელთა ჯგუფკომი № 3), ტიგრან ოგანოვი (საქ. სნაბტორგი), მიხეილ დარჩია (კომუნალურ მუშაკთა ცენტრ. გამგეობა), ეპიფანე დუდუჩავა (ცეკავშირი), ქვერიანე ჯაში (საქ. სნაბტორგი), გერასიმე ახვერდოვი (საქ. გზატრანსი), ირაკლი დავითაშვილი (განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა), დავით ჭყონია (სმუს საამშენებლო მასალათა ტრესტი), ალექსანდრე ეჯოშვილი (სახკინმრეწვი), ვარლამ ბოკერია, მიხეილ სარიშვილი (თბ. ალმასკომი), სოლომონ დოლიძე („ახალმშენი"), დიმიტრი ლეჟავა (ქიმიური კომბინატი), ფილიპე დოლიბაშვილი (მე-47 შრომის სკოლა), ბესარიონ კიკვაძე (მერძეობა-მესაქონლეობის კავშირი), ივანე სარქისოვი („ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა).

— : —

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილებაში (ოთახი № 51) დღეს, დილის 11 საათზე ამხ. აფციაურთან უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: გიორგი დოლენჯაშვილი, გიორგი ჩიხლაძე, ტარიელ ხოშტარია, ე. დამენია, ხ. ავეტისოვი, ბოგდანოშვილი, მილოსი ჩხიკვიშვილი და ედუარდ მისკინი.

— : —

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტმას განყოფილებაში დღეს, შუადღის 1-ლ საათზე მოწვეულია თათბირი პირუტყვის დამზადების მსვლელობის შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ლიცინოვი („სოიუზმიასო"-ს საქ. კანტორა), ანბერკი ურუშაძე (საქ. მომარაგების კომისარიატი), შაბანოვი (საქ. მეწსახკომი), ხუხუა (საქ. კოლმეურნეობათა ცენტრი) კუხალეიშვილი (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), მაკალსკი („სოიუზხლებ"-ი), მ. ცინცაძე (თბ. ალმასკომი) და საქ. მუშგლეხინის სას.-სამ. ჯგუფის წარმომადგენელი.

---

15 მარტიდან „სოიუზტაბაკ"-ის აპარატის გამწმენდი კომისია შეუდგება „სოიუზტაბაკ"-ის ა.-კ. კანტორის

საჯარო წმენდას

წმენდა იწარმოებს 1-ლ სახ. ფაბრიკის შენობაში საღამოს 7 საათიდან, ვაგზლის ქ. № 18.

გამწმენდი კომისია.

---

15 მარტიდან. საღამოს 6 საათზე, წითელ ჯვრის ცეკას დარბაზში (კრილოვის ქუჩა № 15)

დაიწყება საქ. წითელი ჯვრის ცეკას და მის დაწესებულებათა თანამშრომლების

საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ აცილება და რაიმე მასალები აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომლებზე, დაესწრონ წმენდას, ან გამოგზავნონ ასეთები გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

3—1 ნ. 569 გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე ა. ხუბოვი.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 14 მარტს	კვირას 15 მარტს	ორშაბათს, 16 მარტს
მე-16 აბონ მე-9 წარმ. ალ. პირაგოვის მონაწილ. **ტრილბი**	ფატმა მუხტაროვას გამოსათხოვარი გამოსვლა ნ. ნ. ხერედას მონაწ. მე 8 აბ. მე-6 წარმ. **კარმენი**	პრემიერა აბონემენტის გარეშე ახალი ქართული ოპერა **905** მუს. კ. მელვინეთ-უხუცესის დადგმა აკ. ფალიევასი

რ. ლიუქს სახ. კინო (ყ. მინიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.
არაჩვეულებრივი მხატვრ. ფილმი „სოიუზკინო"-ს გამოშვება
ქალაქები და წლები
მთ. როლში ბერნგარდ გეტცკე.

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
ახალი მხატვრული ფილმი „სოიუზკინო"-ს გამოშვება
არის კაპიტანი
რეჟისორი ა. ივანოვი.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.	ახალი მხატვრული ფილმი **კაცი მარტო დარჩა**
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.	მილი ტაუტ-კორსო, ფ. ნიკიტინი მხატვრულ სურათში **სწრაფი სიცოცხლე**
სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30. III—9, IV—10-30.	მხატვრული ფილმი **კვალ და კვალ** პროგრამის გარეშე „მუშა ქალი და ს.ს.რ.კ. თავდაცვა".
საზამთრო დარბაზი I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.	საზღვარგ. მხატვრული სურათი **„11 ეშმაკი"**

დღეს, 14 მარტს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში I-ლ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლის სასარგებლოთ გაიმართება
დიდი მხატვრული კონცერტი
მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.
კონცერტის საერთო ხელმძღვანელი კ. ფოცხვერაშვილი.
დასაწყისი ზუსტად 8 საათზე. ბილეთები შესასვლელთა გარდა გაყიდულია. 1688

ქართული სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
14 მარტს
მე-13 აბონ. მე-7 წარმოდ.
ლიანდაგი მეშვიდე
სავალდებულოა საბონემენტო საფასურის მე-5 შემოსატანის დაფარვა.

სახელმწ. ცირკი
უკანასკნელი დღეები ერნესტ შუს გასტროლებისა მისი 7 ლომით და პირველი სენსაციური სანახაობა ცეკვა ლომებს შორის
შეასრულებს უშიშარი მოცეკვავე ქალი ანიტა კნი. ახალი დებიუტები: 9 დანვინტი, არაბული დასი. ბიმ ბომის შეუცვლელი გასტროლები. ახალი რეპერტუარით, მონაწილეობა სახელმწიფო ცირკის მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო ღიაა 11 ნახ. საათიდან 2 საათამდე და საღ. 5 საათიდან. ანონსი კვირას, 15 მარტს გრანდიოზული დილის წარმოდგენა, დასაწყ. დილის 2 საათზე. ნ. 589

ამ დღეებში
კინო სპარტაკში
ახალი საბჭოთა ფილმი
აზერბეიჯანის კინომრეწველობის ტრესტის ნაწარმოები
მეორე კომკავშირული
ნ. 598

საჭიროა
გამოცდილი მეშანქანე
ქართული ენის კარგი მცოდნე
„უნდერვუდის" მანქანაზე სამუშაოდ.
იკითხეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში. უფ.

მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
ყველა საგნებში: შვიდწლედების მოწაფეებისათვის, საბუღალტერო კურსებზე, შვიდწლედებში, მუშფაკებში და ტეხნიკუმებში მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სუსტებს. მისამართი: გოგებაშვილის მე-2-ე შესახვევი № 20 (ყოფილი პეტროვის მე-2 შეს. ბელინსკის ქუჩიდან). დილით 10—2 და საღ. 4—6 ს.-დე. 3—2 1759

გაერთიანებულია 3 არტელი
„შეკავშირება", „პროგრესი" და „კომუნა"
„შეკავშირების"-ს
სახელით. მიმდ. წლის 1 მარტიდან, თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, გვაცნობეთ ა. წ. 20 მარტამდე. 1912

ვასწავლი
მათემატიკას
ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკას და ვამზადებ მოწაფეებს უმაღლეს სასწავლებლისათვის, სამხედრო აკადემიაში, ყველა სპეც. დარგზე პროფ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ უნივერ., საბუღალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1—7 საათამდე. 3—2 1350

დაიკარგა

სახლიდან გასული ხონის მეოთხე უბნის მცხოვრები

ფილიპე როსტომის-ძე უგლავა

ფერად წითური, ტანათ საშუალო, ულვაშებით 40 წლის, ტანზე აცვია შინელი და შავი ბლუზა შარვალი, მნახველს ვთხოვთ აცნობოს ხონის მილიციას. ნ. 59

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ვანო და ხიტო გორდეზიანები, ბებია ალეთი გორდეზიანისა, სოლომონ, მარო და შალიკო ჯანდაგაშვილები აუწყებენ, ნათესავთ და მეგობართ, რომ 12 მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი

პატარა ოთარი

გამოსვენება 14 მარტს, 4 ნახ. საათზე, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე, რკ. გზ გადაღმა. 904

სანდრო და სონო გარსიაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პატარა

ოთიკო გორდეზიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14 მარტს, 4 ნახ. საათზე, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე რკ. გზ. გადაღმა. 1904

მელიტონი და ეკატერინე დვალები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ ვანო გორდეზიანის პატარა

ოთარის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14 მარტს, 4 ნახ. საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე, რკ. გზის გადაღმა. 1903

დამწუხრებული ძმები: ბენია, იოსებ, გალაქტიონ და ვარლამ ხუციბერიძეები, რძლებით: გაიანე, კესა და თინათინ, სიძეები: ბაგრატ კოჩიაშვილი, ვასილ ბეშენაძე, მეუღლეებით: სონიჩქა და დომნა შვილებით იუწყებიან, რომ 9 მარტს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნინა (ნინიკო) ანდრიას ასული ხუციბერიძე

1933

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ძმა გ. ხუციბერიძე, მეუღლით თინათინ და პატარა შვილი თოდარით აუწყებენ ნათესავ, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და მუდამ დაუვიწყარი

ნინა (ნინიკო) ანდრიას ასული ხუციბერიძე

დაკრძალვა კვირას, 15 მარტს, სოფ ბობოთში (ტყიბულის რაიონი).

გალაქტიონ ხუციბერიძის ახლობელი ამხანაგები: ი. ყიფიანი, შ. გაბრიაძე, ი. გეტაძე, უ. კაპანაძე, დ. სალაძე და შ. ბუბაშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მისი დის

ნინა ხუციბერიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო 1862

უახლოესი მეგობრები ამბაკო კაკაურიძე, აბესაძე, ჭიჭალაძე, იოაკიმე გამყრელიძე, გვეტაძე, ნანაძე, თორჩხიძე, გამყრელიძე, გელაშვილი, გუჯაბიძე იუწყებიან, რომ შაბათს, 14 მარტს, კოჯნარში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას მეგობარ

სანდრო დოლონაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 588

სას.-სამ. ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები: ნიკოლოზ გელაშვილი, ვანდოსანიძე, ბუხნიკაშვილი, კუპრაძე, ბუცხრიკიძე, ხიორაძე, ჯანელიძე იუწყებიან, რომ შაბათს, 14 მარტს, სოფ. კოჯნარში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ამხანაგ

ალექსანდრე სევასტის-ძე დოლონაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. ნ. 588

დამწუხრებული დედა ელისო, ძმები ლეო და კუკური კორძაიები, თინა და სოფო გელაშვილები იუწყებიან, რომ 15 მარტს, ნაშ. 4 საათზე, სოფ. საჭილაოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მამია ბიქტორის-ძე კორძაიას

ხსოვნის აღსანიშნავათ. 1892

ღრმათ დამწუხრებული დედა პელაგია შვილებით: ეთი, არტემ, მატრონა, რძალი ნინა და დიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი სიძის

ნიკანდრო ანდრიას-ძე გვალიას

გარდაცვალებას. 188

გაუბედურებული მეუღლე ცაბუ შვილებით: ნინა, ნათელა და ხუჭა გვალიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი ქმრის და მამის

ნიკანდრო ანდრიას-ძე გვალიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. [illegible]. 1887

დამწუხრებული ეთი ბედია მეუღლე ნინათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას სიძის

ნიკანდრო ანდრიას-ძე გვალიას

უდროოდ გარდაცვალებას. 1887

ღრმად დამწუხრებული ძმები: ირაკლი, გოგია და ელენე მგელაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი

შალიკო ლავრენტის-ძე მგელაძის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ცხინვალის ქუჩა № 3. 1898

ატელიე „წითელი მეწაღე"-ს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამხ. ირაკლი მგელაძის ძმის

შალიკო ლავრენტის-ძე მგელაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1898

ლენა შანიძის ას. ჭეიშვილი ქმრით, ედუსია ლორია და ვიქტორ კაციტაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი და საყვარელი მეგობრის, ძვირფასი ადამიანის

მარიამ იულოს ას. ბაჟუნაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1870

მაკვანეთის 4 წლედის მასწავლებლები და უახლოესი მეგობრები: ევდუკი კალანდარიშვილი, აქვსენტი [illegible], ივანე ჩხაიძე, ნესტორ ბერსენაძე, ივანე ბილიხოძე, ილარიონ ბაბილოძე, ნინა სიხარულიძე, ეკატერინე გვარჯალაძე მწუხარებას გამოსთქვამენ მაშიკო ბაჟუნაიშვილის დის

მარიამ ბაჟუნაიშვილის

გარდაცვალების გამო. ნ. 593

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალათი, შვილები: გრიშა და ვალია იუწყებიან საყვარელი ქმრის და მამის

ვასილ გიორგის-ძე კეკენაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს. გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე ნაშუად. 2 ს. 1911

დამწუხრებულნი გიორგი და ოლღა შვილებით: სიმონი და ლუბა გოგავები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი სიძის

ვასილ გიორგის-ძე კეკენაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს. 1911

გაუბედურებული მეუღლე ოლია, დაობლებული შვილები: ლამარა და ჯიძი დანელიები იუწყებიან, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

არკადი (კაკო) კირილეს-ძე დანელია

დაკრძალვა შაბათს, 14 მარტს, 4 საათ., ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან ტურგენევის ქ. № 2. 1889

ბიძაშვილები: მიშა და ბუხა ცაგურიები, შვილებით გივი და კუკურით, დუნია ზაქარაია დასტირიან საყვარელი სიძის

კაკო კირილეს-ძე დანელიას

უდროოდ დაკარგვას. 1874

გაუბედურებულნი: მამა კირილე, გაზრდილი ფაჩუ, ძმა ალექსანდრე (სანდრო) მეუღლით მარგალიტათი და დები: ანეტა, აგრაფინა, მანია, იულია, ბებე და მარო იუწყებიან, რომ 11 მარტს, გარდაიცვალა ძვირფასი

არკადი (კაკო) დანელია

გამოსვენება ბინიდან—ტურგენევის ქუჩა № 2, ვერის ახალ სასაფლაოზე 14 მარტს, 4 საათზე. 1877

თავზარდაცემული დედა დეპინე, დები: ოლიმპიადა კანდელაკი შვილებით, პალინა და დანიკა მემარიაშვილები მეუღლეებით აუწყებთ ნათესავ მეგობრებს, რომ ქუთაისის ოლაქიურის სასაფლაოზე 15 მარტს, 5 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი

ვერიჩკა მემარიაშვილი-ლვაბერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1894

დამწუხრებულნი ქმარი სანდრიონი, შვილი ტუტუ, გაზრდილი თამარა, მაზლები და რძლები მეუღლებით ლვაბერიძეები იუწყებიან, რომ 15 მარტს, 5 საათზე ქუთაისში ოლაქიურის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ვერიკო ლვაბერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1894

ოლღა, ალექსანდრე და ქეთო ნემსიწვერიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 15 მარტს ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება უძვირფასესი

ნელი შუშანიას

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი. 1915

კვირას, 15 მარტს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი პატარა

ნელიკო შუშანიასი

რასაც აუწყებს საზოგადოებას, მეგობრებს და ნაცნობებს თამარი, გრიშა, ზურიკო და ციალა ნემსიწვერიძეები. 1895

დამწუხრებულნი ცოლი ანეტა, შვილები: ალექსანდრე, ქრისტინე, მარგალიტა. პეპი და ეკო, სიძეები: ასლამ და ტრიფონ აუწყებენ საზოგადოებას მათი უსაყვარლესი

რამინ დავითის-ძე ვეფხვაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ს. სარგვეში, 15 მარტს. 1899

სას.-სამ. ინსტ. სტუდენტები: ა. ნატროშვილი, ა. ლაშხი, პ. გოგიბერიძე, ა. ბერუჩაშვილი, ა. ბერაძე, ლ. იმნაძე, ტ. აბაშიძე, ლ. დარსაველიძე, მ. ტუღუში, ა. ვაშალომიძე, ა. სიფრაშვილი, შ. გოლეთიანი, ზ. იმნაძე, ა. გოლეთიანი, ზ. იმნაძე და ა. კაიშაური მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ინსტ. სტუდენტის მარგალიტა ვეფხვაძის მამის

რამინ ვეფხვაძის

გარდაცვალების გამო. 1906

დამწუხრებული შვილი: მიშა ცოლშვილით, ანიცა, მელო ქმარშვილით, ტასო შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მამა

გიორგი ზაქარიას-ძე ედილაშვილი

1884

შვილიშვილები: ელიზა ნანაძე, ბაბო, ელო, ირაკლი ხახუტაშვილები, ლეო, ემიკო და შოთა ედილაშვილები დასტირიან ძვირფას ბაბუას

გიორგი ზაქარიას-ძე ედილაშვილს

დაკრძალვა სოფ. ბოეთში, 14 მარტს. 1884

ძმიშვილები: მიხაკო, ილიაზარ, ალიკი, ნიკოლოზ და ლეონიდე მეგრელიძეები, რძლები ნინო, სოფიო და ნინა, სიძეები და ნინა თოთიბაძისა შვილებით იუწყებიან ძალიან საყვარელ მამიდა

გინატრი მიხეილ მეგრელიძის ასულ გოგიბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 14 მარტს, 4 საათზე, სოფ. ქვენობანი (ხიდისთავი). 1905

დამწუხრებული შვილიშვილები: ქეთიკო, ნადია, პელა, თამარა, კუკური და ცუცუნა, რძალი ქსენია კობალაძეები, სიძეები: [illegible] და [illegible] სიხარულიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ბებია

გინატრი მიხეილის ას. გოგიბერიძისა

დაკრძალვა 14 მარტს, ხიდისთავში (გურია). 1883

თბილისის დეპოს საავტომობილო პარკის კომუჯრედის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოსთქვამენ

ამხ. გიორგი ფარნიაშვილის

ტრაგიკულათ დაღუპვის გამო. გამოსვენება ბინიდან 14 მარტს. პაოლინის ქუჩა № 8, ნაშუადღევის 4 საათზე. 1914

დეპოს და საავტომობილო პარკის გაერთიანებული რკინის გზის კავშირის ადგილკომი აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ამხანაგი

გიორგი (გენო) დავითის-ძე ფარნიაშვილი

გამოსვენება შაბათს, 14 მარტს, 4 ს. ანტონოვის ქუჩის ზემო პარკის ქუჩა № 8. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1890

გულდათუთქული მშობლები: დედა ოლია, მამა ემილე, დები: ელენე და ეთერი იუწყებიან, რომ კვირას, 15 მარტს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

შალვა ემილეს-ძე ტურაბელიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1871

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი მარო, შვილი ქენია, ძმისშვილები: ილლოს ცოლით აგრაფინათი და სანდრო ბერაიები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე (საშა) პავლეს-ძე ბერაია

დაკრძალვა 4 მარტს, გურიაში, სოფ ჩომეთში. 1875

დამწუხრებული ბიძა იაგორ, ბიცოლა კაკა, შვილები: მარო, დავით, სანდრო, თეოლინე, გერმანე და თამარა, რძლები: ელენე, ანა და ოლია კალანდაძეები თავიანთ შვილებით, სიძე დიმიტრი ხუნდაძე დასტირიან უდროოდ დაკარგულს

გოგონა (ოლღა) ალექსანდრეს ასულს კალანდაძის

ცხედარს 1876

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე ნინო (ნუცა) იოსელიანი აუწყებს საზოგადოებას, რომ 15 მარტს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

კონსტანტინე (კოწია) იოსელიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 189[illegible]

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნინა, შვილები: [illegible] და პატარა ლულუთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასი

სევერიანე ალექსის-ძე ბალავაძის

გარდაცვალებას. 1910

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ძოსე, შვილები: მერი, [illegible] და შუშანა, სიძე ყაისარ ლომინაძე აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს

ქსენია სალუქვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 15 მარტს, სოფ. [illegible]. ნ. 592

გორის 7 წლედის მასწავლებლები: ფილიპე ერაძე, ვახტანგ ჩაგუნავა, მიშა ჩოხელი, მარო ჩიქოვანი, ქეთო წულუკიძე, იოსიმ კუკალია, ვალენტინე მარგველაშვილი, ვანო ჩაბუძე, მილიცა სიმონიძე, რაფიელ ჩიხლაძე იუწყებიან მესამე ჯგუფის მოწაფის პატარა

ცუცა (ეთერი) ჩიხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 594

სამუდამოდ გულმოკლული დედა მანოშა, დაობლებული პატარა ლეილა, ძმები: ალექსანდრე და სევერიანე, რძლები: იულია და ლიუბა, ძმისშვილები: [illegible] და [illegible], მამიდა ივლიტა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ტრაგიკულად დაღუპულ

ლიდიკო (პაჭუ) ბახტაძე-კაჭახიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქალ. ხონში, 15 მარტს. 1880

უსაზღვროდ დამწუხრებული მშობლები: ქისკინე და ანეტა ბერიძეები, შვილებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მარგალიტა ქისკინეს ასული ბერიძე

დასაფლავება 15 მარტს, სოფ. ახალშენში (გურია). 1882

დამწუხრებული მამა ამბაკო, და ნინო, ბიძა ნიკალა, მარგალიტა, ხახიკო, ბებიები: მაშა და ლალო, ბაბუები: თანო და გლახო დასტირიან

გურამ ამბაკოს-ძე სირაძეს

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან, დღეს 5 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1909

თავზარდაცემული მეუღლე თამარ თამაზაშვილი შვილებით, ძმები: გიორგი და მიხეილ, რძლები: ნინა და ნინა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ ალექსის-ძე თამაზაშვილი

დაკრძალვა 15 მარტს, 4 საათზე, ყაზბეგის ქუჩა, № 8, ვერის ახალ სასაფლაოზე. 908

ეფიმე [illegible] ლორთქიფანიძე და მეუღლე ნინა აცნობებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ კვირას, 15 მარტს, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი დაუვიწყარი შვილის

არჩილის

ხსოვნის აღსანიშნავად ქ. სამტრედიაში.

სამშაბათს, 17 მარტს ნაშ. 4 ს. [illegible]

ვენერა ხაბულიანის ასული ზამბახიძის

აკლდამასთან გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი, რასაც იუწყებიან გაუბედურებული მეუღლე ზ. ზამბახიძე პატარა ნანულით, ალექსანდრე და კატო ხაბულიანები. 897

დედა [illegible] კვიტაშვილისა, დები და სიძეები: ბასკურია და კალენიკე საყვარელიძეები, მარგალიტა და გრიშა კიკაიძეები, თამარა და ალექსანდრე ვაშაძეები, კუკური და სანდრო ვაშაძეები [illegible] იუწყებიან, რომ შაბათს, 14 მარტს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უძვირფასესი

ალექსანდრე გრიგოლის-ძე კვიტაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 885

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904